# ლიტერატურული საქართველო

ჩემი ხატია სამშობლო, სახატე — მთელი ქვეყანა

საქართველოს მწერალთა კავშირის ყოველკვირეული გაზეთი

პარასკევი, 15 თებერვალი | № 7 (2786) გამოცემის მე-60 წელი, 1991 | ფასი 40 კაპ.


## წერილი უკრაინელ მწერლებს

ძვირფასო კოლეგებო!

თქვენ შესანიშნავად იცით, რა რთული სიტუაციაა დღეს ეროვნული დამოუკიდებლობის გზაზე რეალურად დამდგარ საქართველოში.

სამწუხაროდ, ისიც გვინდა დავძინოთ, რომ არც თქვენ და არც სხვა რესპუბლიკებში ცენტრალური პრესის, რადიოსა და ტელევიზიის ოფიციალური ინფორმაციების გამო ნათელი წარმოდგენა არა გაქვთ საქართველოს რესპუბლიკაში მიმდინარე პროცესებზე. ახევე დამახინჯებულად გადის ფაქტები უცხოეთში, რაც დიდად გვაღელვებს და გვაშფოთებს.

უბედურება ისაა, რომ ინფორმაციათა გადაცემის საშუალებებით ჩვენ ვერ ვჯობნით და ვერც ვაჯობებთ ცენტრს, იმპერიულ ძალებს, რომელთა ხელშია დღესდღეობით ოფიციალური პრესაც, რადიოც და ტელევიზიაც. იგივე იმპერიული ძალები ცდილობენ უმალვე აღკვეთონ და ჩაახშონ ყველა დემოკრატიული წამოწყება პრესაში, რადიოში თუ ტელევიზიაში. ამის მაგალითები თქვენც მშვენივრად იცით და მათი ჩამოთვლით თავს აღარ შეგაწყენთ.

ამჯერად, ჩვენს სატკივარზე გვინდა გესაუბროთ. ვაითუ, ოფიციალური პრესის, რადიოსა და ტელევიზიის, განსაკუთრებით კი „ვრემიას“ ინფორმაციებმა უკვე შეგიქმნათ არასწორი წარმოდგენები საქართველოს რესპუბლიკაში მიმდინარე პროცესებზე და, ამ შემთხვევაში, კერძოდ, ქართველი ხალხისა და ოსების ურთიერთდამოკიდებულებაზე.

შეიძლება იფიქროთ და იკითხოთ კიდეც, რატომ უჭირავს ცენტრს ყოფილ სამხრეთ ოსეთში მცხოვრები ოსების მხარე, იქნებ მართლა იჩაგრებიან ისინი ქართველების მიერ და იმპერიალისტურ ძალებს გული აუჩუყა ოსთა სავალალო მდგომარეობამ?

არავითარ შემთხვევაში! მათ ისევე არ ეხატებათ ოსები გულზე, როგორც ქართველები. მაგრამ ცენტრს იმპერიის ბედი აწუხებს. ქართული ეროვნული მოძრაობის მიერ გადადგმულმა ენერგიულმა და ეფექტიანმა ნაბიჯებმა, ქართველი ხალხის მიერ ჩატარებულმა მრავალპარტიულმა არჩევნებმა და პირველად საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში ჭეშმარიტად დემოკრატიული გზით ეროვნული პარლამენტის არჩევამ წონასწორობიდან გამოიყვანა ისინი. გამოიყვანა და... უკვე მერამდენედ მიმართეს ეთნოკრიზისის ხელოვნურად გაღვივების ნაცად გზას.

ძალზე სამწუხაროა, რომ არც საბჭოეთმა, არც უცხოეთმა არ იცის, რა სახისა და რა რაოდენობის იარაღს ფლობენ ოსი ექსტრემისტები. აღმოჩნდა, რომ მათ რამდენიმე ისეთი სახეობის იარაღიც აქვთ, რომლის არსებობის თაობაზე დღემდე რომ არაფერი იცოდნენ რესპუბლიკის მილიციაში.

რატომ მოგმართავთ თქვენ? რატომ გვინდა მაინცდამაინც ამ წუთში თქვენ გაგიზიაროთ გულისტკივილი?

სამწუხარო ისაა, რომ 11 თებერვალს მოსკოვიდან „ვრემიაში“ გამოვიდა თქვენი თანამემამულე და ჩვენი იმ დღიდან უკვე ყოფილი მეგობარი ბორის ოლეინიკი. იგი, როგორც ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, მოსკოვიდან საქართველოში გამოგზავნილი კომისიის წევრი გახლდათ, რათა შეესწავლა რეალური სიტუაცია შიდა ქართლში, ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში.

იმ გადაცემამდე ბორის ოლეინიკს ვიცნობდით როგორც უაღრესად ნიჭიერ მწერალს, თავისი ერის დიდ პატრიოტს და ინტერნაციონალისტ პიროვნებას, პირდაპირ და პრინციპულ ადამიანს. მით უფრო გულსატკენი და შეურაცხმყოფელი იყო ის ცილისმწამებლური გამოსვლა, ქართველი ხალხის მიმართ ტენდენციური და ბოლმიანი გამოხდომები, რაც მან იკადრა.

ჩვენდა საბედნიეროდ, მწერლის სიტყვას ჯერჯერობით კიდევ აქვს დიდი გავლენა და მით უფრო უნდა მოზომოს ყოველმა ჩვენთაგანმა სათქმელი. თუმცა ბ. ოლეინიკს მოზომვაში როდი შეეშალა, მისი გამოსვლა იყო კარგად მოზომილი და გამიზნული მტრული გამოხდომა ქართველი ერის მიმართ, რომლითაც, ალბათ, მან, როგორც ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ დაიმსახურა კიდეც თავისი შეფების მადლობა.

ბ. ოლეინიკს რომ ჭეშმარიტების გარკვევა და სიტუაციაში ღრმად ჩაწვდომა სდომებოდა, სულ იოლად გაერკვეოდა ერთის შეხედვით რთულ სიტუაციაში; გაიგებდა, რომ ოსები საქართველოში მოსული ხალხი არიან და ამას თვით ცნობილი ოსი მეცნიერებიც არ უარყოფენ, რომ 1920 წელს ცხინვალში მხოლოდ ოთხი ოსური ოჯახი ცხოვრობდა. ხოლო როცა ცხინვალი სტალინისა და ორჯონიკიძის მიერ შეკოწიწებული ავტონომიური ოლქის დედაქალაქად იქცა (მათ ხომ უნდა დაემტკიცებინათ თავიანთი ჭეშმარიტი „ინტერნაციონალური“ თვისებანი), შემდგომ დაიწყო იქ ოსი მოსახლეობის თავმოყრა.

ოლეინიკს რომ ცენტრის საგანგებო დავალება არ ჰქონოდა, ერთ მრავლისმთქმელ რეალობასაც იოლად შეიტყობდა. ყოფილ ავტონომიაში ცხოვრობს 64 ათასი ოსი, მთელს საქართველოში კი გაბნეულია გაცილებით მეტი, 107 ათასი ოსი.

ცენტრის ემისარს რომ მოენდომებინა, განა ვერ გაიგებდა, რომ მთელ საქართველოში გაბნეული 107 ათასი ოსიდან ვერავინ იტყვის, რომ ამ რთულ და დაძაბულ დღეებში, — როცა ოსებმა ჩვენს მიმართ ასეთი არნახული ზიზღი გამოამჟღავნეს და ენით აუწერელი ბოლმა გადმოანთხიეს,— ქართველებს ერთი კაციც კი არ გაუნაწყენებიათ. ბ. ოლეინიკს რომ სდომებოდა, იმასაც მშვენივრად გაიგებდა, ოსთა უდიდესი ნაწილი რომ არ უჭერს მხარს ექსტრემისტების მოქმედებას, რომ თბილისში, გორში, მოსკოვში ოსი მოსახლეობის წარმომადგენლებმა შიმშილობა გამოაცხადეს და მოითხოვეს ოსი ექსტრემისტების სამარცხვინო მოქმედების აღკვეთა.

ამხანაგი ოლეინიკი ჩრდილოეთ ოსეთშიც ბრძანდებოდა და ყოფილ სამხრეთ ოსეთის ოლქშიც. განა ვერ დარწმუნდა, რომ ჩრდილოეთ ოსეთში თითქმის აღარ არსებობს ოსური ენა, რომ იქ არცერთ სკოლაში სწავლება ოსურ ენაზე არ მიმდინარეობს?! საქართველოში კი ყველა სკოლაში, სადაც ოსი ბავშვები სწავლობენ, სწავლება ოსურ ენაზე მიდის. აქვთ ოსური თეატრი, ინსტიტუტი. უკვე გამოსაცემადაა მზად ოსური ენის განმარტებითი ლექსიკონის ოთხტომეული, რახანია გამოვიდა ოსური ლიტერატურის სამტომეული.

1979 წლის აღწერით, ყოფილ ავტონომიურ ოლქში მცხოვრები 65077 ოსიდან მშობლიურ ენას ფლობდა 64267 ოსი. ასეთი მაჩვენებელი არა აქვს საბჭოთა კავშირში არსებულ არცერთ ავტონომიურ ოლქსა თუ რესპუბლიკას.

შედარებისათვის მოგახსენებთ, რა მდგომარეობაა ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში. თუმცა სჯობია, ჩრდილოეთ ოსეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს დავუგდოთ ყური.

«Национальную молодежь, к примеру, лишили родного языка. До прошлого года в Северной Осетии фактически не было ни одной школы с осетинским языком обучения, в городских уроки осетинского языка включались в расписание факультативно. Всякое обращение к этим вопросам рассматривалось отдельными «деятелями» как покушение на интернациональные основы Советского государства».

(„პრავდა“, 11.XII.89).

ცხინვალსა და ოსეთის სხვა რაიონებს ელექტროდენს არ აწვდიანო,—ბრძანა ამხანაგმა ოლეინიკმა. აბა, რა უნდა ვუთხრათ ამ სიტყვების ავტორს? მან რა, ვერ გაიგო, რა ენერგეტიკული კრიზისიც არის დღეს საქართველოში? ვერ გაიგო, რომ წინასწარ შედგენილი გრაფიკით მორიგეობით ეძლევათ ელექტროენერგია საქართველოსა და თბილისის რაიონებს, რომ ჯერჯერობით უკვე დაიხურა 120 ფაბრიკა და ქარხანა? ელექტროენერგიის უკმარისობის გამო მხოლოდ 4 საათს მუშაობს საქართველოს ტელევიზია. ეს ცნობა ხომ რამდენჯერმე სახეზე კმაყოფილებაგადაკრულებმა გადმოსცეს „ვრემიას“ დიქტორებმა. ცხინვალში კი დენი მუდმივად შეუწყვეტეს მხოლოდ იმ ორ ქარხანას, სადაც ოსი ექსტრემისტები იარაღს, ხელყუმბარებს და ფეთქებად ნივთიერებებს ამზადებენ.

ბ. ოლეინიკი რომ ობიექტური სურათის დასახატავად ჩამოსულიყო, ალბათ გაუკვირდებოდა, ოსმა ექსტრემისტებმა ქართულ მიწაზე როგორ ვერ იკმარეს ავტონომიური ოლქი და რა სინდისით, რა ნამუსით, რის საფუძველზე გამოაცხადეს „ოსეთის დემოკრატიული რესპუბლიკა“.

ბატონ ოლეინიკს თბილისში ერთი თავისი კოლეგის ნახვის სურვილი მაინც რომ გამოეთქვა, წაიყვანდნენ და იმ 5 ათასამდე ქართველ ლტოლვილს ანახებდნენ, მშობლიური მიწიდან რომ აყარეს. ქართველები საქართველოში ლტოლვილები არიან, ქართველებს საქართველოში ხოცავენ და სახლებს უწვავენ (უკვე დაწვეს 50-ზე მეტი სახლი), ამაზე მეტი საშინელება კიდევ შეიძლება რამე იყოს?! და ყოველივე ამის შემხედვარეს, შეიძლება პატიოსან კაცს სიტყვა მოუბრუნდეს ქართველი კაცის სასაყვედუროდ?!

ძვირფასო უკრაინელო კოლეგებო, ამ ფაქტებიდან გამომდინარე, გვაქვს თუ არა უფლება ვთქვათ, რომ ბორის ოლეინიკმა საბოლოოდ მიჰყიდა სული საბჭოთა იმპერიას?

ჩვენის მხრივ კი, აი, რა გვინდა მოვახსენოთ ამხანაგ ბორისს: მაშინ, როცა თვით ლუკიანოვიც კი ცდილობს, უკვდავება პოეზიაში მოიპოვოს, თქვენ ნუ მოგხიბლავთ თანამდებობათა ელვარება, რა დიდიც არ უნდა იყოს იგი.

ულრმესი პატივისცემით

ქართველი მწერლები.

## სსრკ კულტურის მინისტრს ნ. გუბენკოს

ბატონო მინისტრო! ხანგრძლივი დროის მანძილზე ლატვიისა და ბალტიის რესპუბლიკებში მიმდინარე დემოკრატიულ პროცესებს ცენტრმა საინფორმაციო სიცრუის კამპანია დაუპირისპირა. კომუნიზმის იდეოლოგიური ბოდვის რეანიმაციის ცდა კანონზომიერად დასრულდა კავშირში გამოცოცხლებული ტოტალიტარიზმის ძალადობრივი აქციით დამოუკიდებელი ლიტვის მოქალაქეთა წინააღმდეგ.

ცენტრის ბრძანებით ჯარისკაცები კვლავ ესვრიან მშვიდობიან მოსახლეობას. ამ დახვრეტით დიქტატურა კლავს დემოკრატიასა და კულტურას, დაღვრილი უმანკო სისხლი სულაც არ უწყობს ხელს ერთა შორის თანხმობის ჩამოგდებას. ლიტვის შემდეგ ჯერი სხვა რესპუბლიკებზეც მიდგება, თანაც არა მარტო ბალტიაში.

მთელი ბალტიის კულტურის მოღვაწენი მშობელ ერებთან ერთად დემოკრატიის მხარეზე არიან. მათი ხმა ესმის ხალხს. ჩვენ დამოუკიდებლობა ვირჩიეთ და ვერავითარი ძალადობა ვერ გვაიძულებს უარი ვთქვათ მასზე. ჩვენ დავიცავთ ჩვენს დამოუკიდებლობას და კულტურას.

ამ ტრაგიკულ სიტუაციაში, როდესაც ანადგურებენ ჩვენს ხალხებს, დანაშაულებრივად მოსჩანს სსრკ კულტურის მინისტრის დუმილი.

ნუთუ კულტურა, რომელსაც წარმოადგენს მინისტრი, მოახლეა ტოტალიტარული დიქტატისა? განა შეიძლება ასეთ კულტურასთან თანამშრომლობა? რას იტყვით, კულტურის მოღვაწეებო?

ლატვიის რესპუბლიკის კულტურის მინისტრი
**რაიმონდ პაულსი**
1991 წლის 15 იანვარი
Аргументы и факты, 3

## დ. კუოლისს, რ. პაულსს, ლ. სუმერას, პ. კრიგერსს

პატივცემულო კოლეგებო!

მოგმართავთ არა როგორც თანამდებობის პირი, არამედ როგორც ხელოვანი, თქვენი თანამოღვაწე, როგორც ადამიანი. გაჭირვებას, უბედურებას, კატასტროფას, თანაგრძნობას, მწუხარებას, — აი, რას ვგრძნობ მთელი ამ დღეების მანძილზე.

მაგრამ, როცა ადამიანებს ადამიანები კლავენ, ზემოთჩამოთვლილ გრძნობებს პროტესტის გრძნობაც შეერევა ხოლმე. უეჭველია, არ შეიძლება როგორც პიროვნების უფლებების შელახვა, ისე შიდაპოლიტიკური პრობლემების გადაჭრა შეიარაღებული ძალებით.

ძნელი დასაჯერებელია, ამ ექვსი წლის წინ ვინმეს ეფიქრა, რომ აზრთა სხვადასხვაობისადმი ჩვევის უქონლობა, საზოგადოების დემოკრატიზაციისათვის გამიზნული სსრკ პრეზიდენტისა და ყველა დონის პარლამენტების ინიციატივები ქვეყანას გამძვინვარებულ, ავადმყოფურ დავამდე მიიყვანდა, რომლის დროსაც სისხლის ზღვები დადგებოდა. ქვეყანა მძიმედაა დაავადებული. მაგრამ დაუშვებელია ავადმყოფობის სიკვდილით მკურნალობა. ისეთი უზარმაზარი შენობის გადაკეთება, როგორიც ჩვენი სახელმწიფოა, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ პირისაგან მიწისა აღვგავოთ ადრე ნაშენები.

ჯერჯერობით ჩვენ არ მივსულვართ უკანასკნელ მიჯნამდე, მაგრამ ხალხი დაღალა მტრობამ, აივსო მისი მოთმინების ფიალა. როგორ ავაცდინოთ ქვეყანას მოსალოდნელი უბედურება? როგორ ჩამოვირეცხოთ სისხლიანი ლაქა, რომელიც უცილობლად შევა ისტორიაში, როგორც მისი ერთი ყველაზე უფრო შავბნელი ფურცელი.

არაფრით არ შეიძლება შედეგის შეფასება მიზეზის გაუანალიზებლად. ვინაა დამნაშავე? რატომ მოხდა უბედურება ვილნიუსსა და რიგაში, და არა რომელიმე N ქალაქში? ვინ წააქეზა ძალადობა? ნუთუ სუმგაითის, ბაქოს, ოშის, თბილისის გამოცდილებამ სულ არაფერი არ გვასწავლა? დაისჯებიან თუ არა დამნაშავენი? ლიტვის პარლამენტმა რატომ მიიღო რუსულენოვანი მოსახლეობის ინტერესის შემლახავი გადაწყვეტილებანი? რატომ არ იღო ყურად მან სსრკ-ს პრეზიდენტისა და სსრკ სახალხო დეპუტატთა ყრილობის წინადადებანი, რომლებიც მის მიერ მიღებულ ზოგიერთ საკანონმდებლო აქტებს ადამიანის უფლებათა დარღვევის საფუძვლად მიიჩნევდნენ? ვის აძლევს ხელს ამჟამად პრეზიდენტის დამხობა და სამოქალაქო ომის ხანძრის გაჩაღება? რა როლი ეკისრება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს და რა მოიმოქმედეს მათ სიმშვიდის შესანარჩუნებლად? რითი გამოვისყიდოთ დაღუპულთა სისხლი? რატომ არ უნდათ ცალკეული რესპუბლიკების პარლამენტებს რეფერენდუმების ჩატარება, რომლებიც კანონიერ საფუძველზე იძლევა საბჭოთა კავშირიდან გასვლის უფლებას და რომელიც ხალხის ნების გამოვლენის ინსტრუმენტს წარმოადგენს? და ბოლოს, სადაა გარანტია, რომ მსგავსი რამ კვლავაც არ განმეორდება?

მსხვერპლი — ეს შედეგია, მიზეზები კი იმ პასუხებშია, რომლებიც ზემოთდასმულ შეკითხვებს უნდა გაეცეს.

დღევანდელის მსგავსი კრიზისი შეიძლება ჩვენი საზოგადოების ცხოვრებაში ისტორიულად გარდაუვალიც იყოს, როგორც გარდამავალი მდგომარეობა: მაგრამ მთელი ძალისხმევა იქით უნდა მივმართოთ, რათა უსისხლოდ იქნას იგი დაძლეული.

მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება უკეთეს დროებაზე ფიქრი. ამიტომაც ყველა რანგის დიპლომატი მოთმინებით უნდა აღიჭურვოს და მზად უნდა იყოს კომპრომისისათვის.

მსოფლიოში მრავალი პრივილეგია არსებობს, მაგრამ ყველაზე აღმაშფოთებელს და ცინიკურს მათ შორის წარმოადგენს პრივილეგია დილეტანტი პოლიტიკოსებისა, რომლებიც ივიწყებენ უბრალო ადამიანების ბედს და მიზნების მისაღწევად ყველა საშუალებას ამართლებენ.

მოდით, თვითოეულმა ჩვენთაგანმა შეიგნო თავისი პასუხისმგებლობა. ნუ დავაყენებთ ადამიანებს არჩევანის წინაშე: ომი თუ მშვიდობა?

სამძიმარს ვუცხადებ რა დაღუპულთა ახლობლებს, ვიმედოვნებ, ვილნიუსსა და რიგაში დატრიალებული იანვრის ღამეების ტრაგედია არ დაგვავიწყებინებს ჩვენს ადამიანურ საწყისებსა და საფუძვლებს და გაკვეთილად იქცევა ყველასათვის, დამნაშავეთა ჩათვლით. არავის არ აქვს ძალადობასთან შეგუების უფლება. დამნაშავენი უნდა დაისაჯონ. სხვანაირად ჩვენ ვერ ჩამოვირეცხავთ სირცხვილს, რომელიც სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე შეგვახსენებს იმას, რომ ყველაფერი არ გავიღეთ მტრობისა და სიძულვილის ასაცილებლად.

კულტურა გამხეცების ანტიპოდია. ალბათ შეუძლებელია შეცდომების სწრაფად გამოსწორება, მაგრამ სწრაფად გააზრებას კი რა უდგას წინ. ინტელიგენცია ვალდებულია ყველაფერი გააკეთოს, რაც კი მასზეა დამოკიდებული, რათა მისთვის დამახასიათებელი სამართლიანობის გრძნობით ხელი შეუწყოს მშვიდობას, რათა აიცილოს მორიგი ძალადობა. აი, რას მოითხოვს ჩვენგან ლიტვის, ლატვიის, ესტონეთის, მთელი საზოგადოების ინტერესები.

**ნ. გუბენკო,**
სსრკ კულტურის მინისტრი
Аргументы и факты, 3

# დიადო საბჭოეთო,
# ეს რა კულტურის მინისტრი გყოლია!

ჩვენს წინაა ორი წერილი; ერთი, რომელიც საბჭოთა კავშირის კულტურის მინისტრს მისწერა ლატვიის რესპუბლიკის კულტურის მინისტრმა რაიმონდ პაულსმა, მეორე კი წარმოადგენს ამ წერილის პასუხს. მისი ავტორი გახლავთ საბჭოთა კავშირის კულტურის მინისტრი ნ. გუბენკო, ხოლო ადრესატები არიან დ. კუოლისი, რ. პაულსი, ლ. სუმერა და პ. კრიგერი.

თავის წერილში რაიმონდ პაულსი აღწერს იმ საშინელ უსამართლობას, რაც ხანგრძლივი დროის მანძილზე ხდება ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში და მას ამთავრებს უაღრესად სამართლიანი შეკითხვით:

„ამ ტრაგიკულ სიტუაციაში, როდესაც ანადგურებენ ჩვენს ხალხებს, დანაშაულებრივად მოსჩანს სსრკ კულტურის მინისტრის დუმილი. ნუთუ კულტურა, რომელსაც წარმოადგენს მინისტრი, მოახლეა ტოტალიტარული დიქტატისა? განა შეიძლება ასეთ კულტურასთან თანამშრომლობა? რას იტყვით, კულტურის მოღვაწეებო?“

როგორც ხედავთ, რაიმონდ პაულსის კონკრეტული ადრესატი სსრკ-ს კულტურის მინისტრია, მაგრამ შემდეგ იგი კულტურის მოღვაწეებსაც მიმართავს, შეიძლება თუ არა ასეთ კულტურასთან თანამშრომლობა.

ჩემს კომენტარს ორ ნაწილად გავყოფ. პირველ ნაწილში შევეცდები გავაშუქო, როგორ შეხვდა ბალტიისპირეთის სისხლიან ამბებს სწორედ მწერლობა, კულტურის მუშაკები, ინტელიგენცია.

„დამნაშავეა რეჟიმი, რომელსაც არ სურს სცენიდან ჩამოსვლა“. — ამ სათაურითაა გამოქვეყნებული წერილი გაზეთ „მოსკოვსკიე ნოვოსტიში“, სადაც მკაფიოდაა დასახელებული ბალტიისპირეთში ძალმომრეობის ადრესატი (20. 1. 91).

წერილში ვკითხულობთ: „მოსკოვსკიე ნოვოსტი“ დღეს შავი სამგლოვიარო ჩარჩოთი გამოდის. ჩვენ ვგლოვობთ ბალტიისპირეთის მსხვერპლთ, მაგრამ მარტო დაღუპულთა გამო არ ვგლოვობთ. 13 იანვრის სისხლიან დილას ვილნიუსში დაიხვრიტა დემოკრატია. პირველი დარტყმა მიაყენეს ხალხის ნებით არჩეულ მთავრობას. ახლა, როცა რეჟიმის უკანასკნელმა ჟამმა დაჰკრა, იგი გადამწყვეტ ბრძოლაზე გადავიდა: ბლოკირებულია ეკონომიკური რეფორმა, რეანიმაციას განიცდის ცენზურა პრესასა და ტელევიზიაში, აქტიურად მოხდა თავზედური დემაგოგიური ფრაზეოლოგია და, რაც მთავარია, რესპუბლიკებს გამოუცხადეს ომი“. მეტ ციტატას აღარ მოვიტან ამ მძაფრი პროტესტით აღსავსე სამართლიანი წერილიდან. ვფიქრობ, ეს ნაწყვეტიც ნათელ წარმოდგენას გვაძლევს ავტორთა უკომპრომისო პოზიციაზე. ავტორები კი არიან ჩვენი ლიტერატურის, კულტურის, ინტელიგენციის სახელოვანი წარმომადგენლები, „მოსკოვსკიე ნოვოსტის“ დამფუძნებელი საბჭოს წევრები; სულ ოცდაათი კაცი.

უფრო მეტი სახელოვანი წარმომადგენელი ჩვენი მწერლობისა, კულტურისა და ინტელიგენციისა — 117 კაცი — აწერს ხელს გაზეთ „არგუმენტი ი ფაქტიში“ დაბეჭდილ წერილს „ინტელიგენციის ხმა“ (№ 8, 1991).

აი, რას ვკითხულობთ ამ წერილში: „... 1985 წლის აპრილში მოსკოვში დაწყებული „პერესტროიკაც“ დახვრეტილი იქნა ვილნიუსში 13 იანვრის ღამეს. მთელი ამ ხნის მანძილზე ჩვენ მხარს ვუჭერდით პრეზიდენტს, ხანდახან თვალსაც ვხუჭავდით მის არათანმიმდევრულ პოლიტიკაზე. ვიმედოვნებდით, რომ იგი დემოკრატიის დასაყრდენად იქცეოდა. ერთგული დარჩებოდა პრეზიდენტის ფიცისა, მაგრამ ვილნიუსში ჩადენილი დანაშაული არ დაუგმია პრეზიდენტსა და სსრკ უმაღლეს საბჭოს. ამის შემდეგ თავის მოტყუება უკვე შეუძლებელია. გადატრიალება უკვე დაიწყო. თუ იგი წარმატებით დასრულდა, ჩვენ კვლავაც გველის ბანაკები, რეპრესიები, შიში, შიმშილი, ნგრევა. მაგრამ არამარტო ეს, — ჩვენი ქვეყანა გადაილობება რკინის ფარდით და იგი მთელი მსოფლიოსათვის ატომურ საფრთხობელად იქცევა“.

ვფიქრობ, რაიმონდ პაულსის შეკითხვას — რას იტყვით, კულტურის მოღვაწეებო, — ღირსეული პასუხი გასცეს ამ ორ წერილზე ხელმომწერმა მწერლებმა, კულტურის მუშაკებმა და ინტელიგენციის წარმომადგენლებმა მთელი საბჭოთა მწერლების, კულტურის მუშაკებისა და ინტელიგენციის სახელით. გამონაკლისებს, რასაკვირველია, არ ვგულისხმობთ, მთელი თავისი შემოქმედება კომუნიზმის ხოტბაზე რომ ჰქონდათ აგებული.

ახლა ვნახოთ, იმავე შეკითხვას რა პასუხი გასცა საბჭოთა კავშირის კულტურის მინისტრმა. მთლიანად იგი ზემოთაა დაბეჭდილი და უკვე წაიკითხეთ. მე მხოლოდ საკვანძო საკითხებზე გავამახვილებ ყურადღებას.

„არაფრით არ შეიძლება შედეგის შეფასება მიზეზის გაუანალიზებლად“, წერს ამხანაგი გუბენკო და ძნელია შეედავო ამ სიტყვების სიმართლეში, გულში გულწრფელი იმედიც კი გიჩნდება, რომ კულტურის მინისტრი სწორად გააანალიზებს უბედურების მიზეზებს. „ვინაა დამნაშავე?“ — კითხულობს იგი და სიხარულის გრძნობა გეუფლება, რომ კულტურის მინისტრი, ამოდენა თანამდებობის მქონე პიროვნება და თვითონ ხელოვანი, კულტურის დარგის მნიშვნელოვანი ფიგურა, ნამდვილად ამხელს ჭეშმარიტ დამნაშავეებს და, როგორც თვითონ ამბობს, მიზეზების გაუანალიზებლად შედეგებს არ შეაფასებს.

„რატომ მოხდა უბედურება ვილნიუსსა და რიგაში, და არა რომელიმე N ქალაქში?“ — აქ პირველად მიყო გულმა რეჩხი. პირველად ვიგრძენი, საით უმიზნებდა კულტურის მინისტრი.

„ვინ წააქეზა ძალადობა? ნუთუ სუმგაითის, ბაქოს, ოშის, თბილისის გამოცდილებამ სულ არაფერი გვასწავლა?“ — კითხულობს ამხანაგი გუბენკო და იქვე გვებადება საეჭვო კითხვა — ვის არ ასწავლა ჭკუა, ჩვენ თუ საკავშირო მთავრობას?

„დაისჯებიან თუ არა დამნაშავენი?“ — აგაშენა ღმერთმა. მართალია, ნ. გუბენკო დამნაშავეებს არ ასახელებს, მაგრამ ჩვენ ხომ გულში როდიონოვს, შავბერტიანებსა და სხვებს ვგულისხმობთ.

კულტურის მინისტრის მომდევნო სიტყვებში ყველაფერი ნათელი გახდა და აშკარად ჩამოყალიბდა მისი პოზიცია, სამწუხარო და სავალალო პოზიცია!

მისახვედრი და გამოსაცნობიც აღარ დაგვიტოვა, ვის მიიჩნევს იგი დამნაშავეებად.

კულტურის მინისტრი აგრძელებს: „ლიტვის პარლამენტმა რატომ მიიღო რუსულენოვანი მოსახლეობის ინტერესის შემლახავი გადაწყვეტილებანი? რატომ არ იღო ყურად სსრკ სახალხო დეპუტატთა ყრილობის წინადადებანი, რომლებიც მის (ლიტვის პარლამენტის. გ. ფ.) მიერ მიღებულ ზოგიერთ საკანონმდებლო აქტებს ადამიანის უფლებათა დარღვევის საფუძვლად მიიჩნევდნენ? ვის აძლევდა ხელს ამჟამად პრეზიდენტის დამხობა და სამოქალაქო ომის ხანძრის გაჩაღება?“

აი, თურმე ვისი და რისი ბრალი ყოფილა, რომ „უბედურება მოხდა ვილნიუსსა და რიგაში და არა რომელიმე N ქალაქში“. ვის და რას წაუქეზებია ისინი? რასაკვირველია, ლიტვის და ლატვიის პარლამენტებს, რომლებსაც ყურად არ უღიათ სსრკ-ს პრეზიდენტის და სსრკ-ს უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა წინადადებანი, მიუღიათ ადამიანის უფლებათა დამრღვევი საკანონმდებლო აქტები, რუსულენოვანი მოსახლეობის ინტერესების შემლახველი გადაწყვეტილებანი. პასუხი გაეცა ამხ. გუბენკოს შემდეგ შეკითხვებსაც: „ვინ წააქეზა ძალადობა“ და „დაისჯებიან თუ არა დამნაშავენი“. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, წამქეზებლები და დამნაშავენი ყოფილან ბალტიისპირეთის რესპუბლიკების პარლამენტები და მთავრობები, რომლებმაც ვერა და ვერ ისწავლეს ჭკუა, და ყურად არ იღეს სუმგაითის, ბაქოს, ოშისა და თბილისის გამოცდილება.

„რით გამოვისყიდოთ დაღუპულთა სისხლი?“ — კითხულობს ბატონი მინისტრი.

„ვინ უნდა გამოისყიდოს დაღუპულთა სისხლი?“ — შეიძლება იკითხოს გულუბრყვილო მკითხველმა.

რასაკვირველია, ბალტიისპირეთის, კერძოდ, ამ შემთხვევაში, ლიტვის და ლატვიის პარლამენტებმა.

„რატომ არ უნდათ ცალკეული რესპუბლიკების პარლამენტებს რეფერენდუმების ჩატარება, რომლებიც კანონიერ საფუძველზე იძლევა საბჭოთა კავშირიდან გასვლის უფლებას და რომელიც ხალხის ნების გამოვლენის ინსტრუმენტს წარმოადგენს? და ბოლოს, სადაა გარანტია, რომ მსგავსი რამ კვლავაც არ განმეორდება?“ — არ ცხრება კულტურის მინისტრი.

ერთი სიტყვით, ამხ. გუბენკომ ყველაფერში ლიტვისა და, საერთოდ, „ურჩი“ რესპუბლიკების მთავრობები დაადანაშაულა.

რა სამწუხაროა, რომ საბჭოეთის კულტურის მინისტრს ერთ უბრალო დეტალშიც კი არ დაუდანაშაულებია სსრკ-ს პრეზიდენტი და საკავშირო მთავრობა. უბრალო დეტალს ვინ დაეძებს, მინიშნებაც კი არ ყოფილა მათი თუნდაც მცირეოდენი, სრულიად უმნიშვნელო დანაშაულისა, არასწორი მოქმედებისა.

წამიერადაც არ გახსენებია, რომ მისმა საყვარელმა პარტიამ, მთავრობამ და პარლამენტმა სამუდამოდ დაგმო სტალინი. ხოლო სტალინის საუკუნის დანაშაული — რიბენტროპ-მოლოტოვის პაქტი, რომელსაც ბალტიისპირეთის ანექსია მოჰყვა, კვლავ ძალაში რჩება.

ამხანაგო გუბენკო, ხომ შეიძლება, რომ დღესვე (რაკი აქამდე ვერ მოხერხდა) გამოვასწოროთ სტალინის დანაშაული და დაუყოვნებლივ გავანთავისუფლოთ ანექსირებული ბალტიისპირეთი?

ვითომ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამ კითხვაზე მაინც გაგვცემთ ნათელ პასუხს?!

ამ პატარა წერილში თუ კომენტარში შევეცადე მკითხველისათვის დამენახვებინა, რომ ერთ მხარეს დგას მწერლობა, კულტურის მუშაკები და ინტელიგენცია, ხოლო მეორე მხარეს კულტურის მინისტრი. მათ შორის კი უზარმაზარი უფსკრულია.

აქეთ სამართლიანობა და ჰუმანიზმია, იქით პრეზიდენტი და მისი მმართველობა. გუბენკომ პრეზიდენტის გვერდით დგომა ამჯობინა. ბუნებრივიცაა, ამხანაგმა გუბენკომ უკვე გაუგო გემო ძალაუფლებას, კომფორტსა და კეთილდღეობას, პოზიციაც ორმაგად ძლიერი დაიჭირა — გორბაჩოვის გულიც მოიგო და იმ მომავალი პრეზიდენტისაც, თუკი გორბაჩოვს სადმე ფეხი წასცდა.

აქედან გამომდინარე, ზოგიერთივით ის კი არ მიკვირს, საბჭოთა კავშირს რატომ ჰყავს ასეთი კულტურის მინისტრი, მე ის გამიკვირდებოდა, სხვანაირი რომ ჰყოლოდა!

**გურამ ფანჯიკიძე**

# „სოვეტსკაია კულტურას" ერთი პუბლიკაციის გამო

გაზეთ „სოვეტსკაია კულტურას" 9 თებერვლის ნომერში პირველ გვერდზე გამოქვეყნებულია შემზარავი სურათი სახელწოდებით „ცხინვალელი დედები", რომელსაც ახლავს ეს ტექსტი:

„ტელეტაიპის ლენტებით და ტელევიზორის ეკრანით მოდის საგანგაშო ცნობები: მდგომარეობა ცხინვალსა და მთლიანად სამხრეთ ოსეთში უაღრესად დაძაბულია. ჩვენმა კორესპონდენტმა ა. ანდრუსენკომ გადმოგვცა ვლადიკავკაზიდან:

„ჩრდილოეთ ოსეთში წარმოიქმნა სერიოზული სიძნელეები სურსათ-სანოვაგესთან დაკავშირებით. ცხინვალელი დაახლოებით ხუთი ათასი ლტოლვილი ვლადიკავკაზის კერძო სახლებსა და საერთო საცხოვრებლებში არიან განსახლებული. მილებულია გადაწყვეტილება, მიმართონ სსრკ უზენაეს საბჭოს, რომ სამხრეთ ოსეთიდან გადმოსულთ მიეცეთ ლტოლვილთა სტატუსი. მთელი რესპუბლიკა ცხოვრობს ცხინვალიდან ცნობების მოლოდინით, ეს ცნობები კი ძალიან არასანუგეშოა. იუწყებიან, რომ საოლქო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის ტორეზ კულუმბეკოვის დაპატიმრებისა და თბილისში გაგზავნის გამო იმართება საპროტესტო მიტინგები, ცხინვალის ახლომდებარე სოფლებიდან გაასახლეს ოსთა ოჯახები, დაიწვა საცხოვრისი სახლი, დაიღუპა 24 ადამიანი. ყველაფერი ეს ამძიმებს ადამიანთა განწყობილებას. მათ უკვე დაკარგეს ძალმომრეობის შეწყვეტის იოტისოდენა იმედიც კი. ლტოლვილები იუწყებიან, რომ სამხრეთ ოსეთი არსებითად მოწყვეტილია გარესამყაროს. იმ სურსათ-სანოვაგის ნახევარი, რომელიც ვლადიკავკაზიდან ცხინვალში იგზავნება, ადრესატამდე ვერ აღწევს. ჩვეულებრივი ამბავი გახდა თავდასხმა ჩრდილოეთ ოსეთიდან მიმავალ მანქანებზე, მათი გაძარცვა და გატაცება.

მთის ხალხთა ასამბლეამ გაავრცელა სსრკ-სა და საქართველოს პრეზიდენტებისადმი მიმართვის ტექსტი. ამ მიმართვის ძირითადი არსი სამხრეთ ოსეთის სუვერენიტეტის აღიარების მოთხოვნაა".

გაზეთ „სოვეტსკაია კულტურას" ზემოხსენებულ სტატიასთან დაკავშირებით ჩვენი კორესპონდენტი დაუკავშირდა საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს პრეს-ცენტრის ხელმძღვანელს, ბატონ ვ. გოგოლაშვილს და განმარტება სთხოვა აღნიშნულ პუბლიკაციაზე.

„წმინდა ადამიანური თვალსაზრისით, რასაკვირველია, ძალიან დასანანია, როცა ადამიანი იძულებულია, დატოვოს თავისი სახლ-კარი და გადაიხვეწოს სადღაც, მაგრამ აღნიშნულ პუბლიკაციასთან დაკავშირებით დასანანი ის არის, რომ ჩვენი მოსკოველი კოლეგები უმეტესწილად ამოდიან არა ადამიანური გრძნობებიდან, არამედ სიყალბისა და ფალსიფიკაციისაგან, რათა ამით მიაღწიონ თავიანთ ბინძურ პოლიტიკურ მიზნებს. ამ სურათისა და სტატიის ავტორს რატომ გამორჩა მხედველობიდან, რომ თბილისში 5 ათასამდე ქართველი ლტოლვილია სამაჩაბლოდან, ოდინდელი ქართული მიწიდან. ან ის რატომ ავიწყდება ზემოთაღნიშნული პუბლიკაციის ავტორს, რომ ყოველ ღამით იწვის ცხინვალში ქართველთა საცხოვრებელი სახლები. ყოველდღიურად ათობით ცხინვალელი ქართველი მირეკავს და მთხოვს ვაუწყო, რა მდგომარეობაშია მათი ბინები, სამწუხაროდ, სანუგეშო ვერაფერი მითქვამს.

სრული უფლება გვაქვს ეჭვი შევიტანოთ ზემოთაღნიშნული ფოტოსურათის რეალურობაში. ამას წინათ გაზეთმა „კომსომოლსკაია პრავდამ" დაბეჭდა ერთი კორესპონდენცია, რომელსაც დაურთო დამწვარი და გაპარტახებული ქართული სკოლის სურათი და მკითხველს ისე წარმოუდგინა, თითქოს ეს დამწვარი სკოლის შენობა ქართული კი არ იყო, არამედ ოსური. კორესპონდენტმა მკითხველებს ისიც დაუმალა, რომ ზემოთაღნიშნული სკოლა დაწვეს გათავხედებულმა ოსებმა, რომელთა ცინიზმი იქამდეც კი მივიდა, რომ აგუზგუზებულ სკოლასთან სახანძრო მანქანა არ მიუშვეს.

სამწუხაროდ, დღეს ჩვენ ფაქტიურად სამი ძალის წინააღმდეგ გვიხდება ბრძოლა — ოსი სეპარატისტების, ჯარისა და საკავშირო მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წინააღმდეგ".

„ლს" რედაქცია

# მცირე განმარტება „პასუხზე"

გენერალი ირაკლი ჯორჯაძე თავის წერილში — „პასუხი შეკითხვებზე („ლიტერატურული საქართველო", 21. 12. 90) არსებითად უპასუხოდ ტოვებს მისდამი დასმულ ჩემს შეკითხვებს (იხ. „ლ. ს.", 13. 07. 90). „პასუხის" დიდი ნაწილი მიძღვნილია საბჭოთა არმიის კეთილშობილურ მისიაზე,. სტალინის დადებითი საქმიანობისადმი, ორგანიზაცია „სტალინის" ამოცანებზე, ლენინ-სტალინის იდეებისადმი გენერალ ი. ჯორჯაძის ერთგულებაზე და ა. შ. ყველაფერს ამას ადვილად შეამჩნევდა მკითხველი და შეიძლებოდა ჩვენც მეტად ამ საკითხს არ დავბრუნებოდით. მაგრამ არის რამდენიმე საკითხი, რომელთა უყურადღებოდ დატოვებამ შეიძლება მკითხველთა ერთი ნაწილი შეცდომაში შეიყვანოს, ამჯერად ერთ საკითხს შევეხები, დანარჩენებზე უფრო ვრცლად, სხვა დროს.

ბატონი ირაკლი ჯორჯაძე დიდადაა გაკვირვებული ჩემი მესამე შეკითხვით — რა კავშირი აქვს 20 და 30-იანი წლების საქართველოში ჩატარებულ მასობრივ რეპრესიებს სტალინის ნათქვამთან „საქართველოს სისხლი უნდა გამოვადინოთ და საქართველო უნდა გადაიხნასო"? ჩემს შეკითხვაზე გენერალი ი. ჯორჯაძე შეკითხვითვე მპასუხობს — „სად სთქვა სტალინმა ეს? ვის დაესიზმრა?" და იქვე დასძენს: „ალბათ ავტორმა ყორანაშვილისა და ლალიძის არქივებით ისარგებლა". ჩემს შეკითხვაში მოტანილი აზრი არაერთი ქართველი ავტორის პუბლიკაციაში გვხვდება, მაგრამ მივმართოთ დოკუმენტს, სადაც შავით თეთრზე წერია: „ამხანაგმა ტროცკიმ, რომელიც ახლახან იმყოფებოდა თბილისში, ასე შეაფასა მდგომარეობა საქართველოში: „22 წელში სტალინი მეუბნებოდა „საჭიროა საქართველოს გადახვნა წალმა-უკუღმა, რათა მოისპოს იქ მენშევიზმის გავლენა და ძალა. ეს სამუშაო ახლა დამთავრებულად უნდა ჩაითვალოს. საქართველო საკმარისადაა გადახნული იმისათვის, რათა აქ მენშევიზმმა ველარ შეძლოს არსებობა" (საქართველოს კპ ცკ-ის პოლიტიკური ანგარიშის მასალები საქართველოს ცკ-ის მე-3 ყრილობისადმი. თბილისი, 1924, გვ. 5. რუსულად). ეს სიტყვები ეკუთვნის საქართველოს კპ ცკ-ის ერთ-ერთ მდივანს ლომინაძეს და გამოქვეყნებულია სტალინის აღზევების დასაწყის პერიოდში. შეუძლებელია ეს მასალები სტალინს არ სცოდნოდა, მაგრამ არც მაშინ და არც შემდგომში მას ეს აზრი ოფიციალურად არსად არ უარუყვია.

ლომინაძის აზრის მართებულობას უნდა ადასტურებდეს საკუთრივ ტროცკის შემდეგი სიტყვები: „საქართველოს ნაადრევმა გასაბჭოებამ გარკვეული პერიოდის განმავლობაში გააძლიერა მენშევიკები და მიიყვანა ფართო მასობრივ აჯანყებამდე 1924 წელში, როდესაც, თვით სტალინის აღიარებითაც, საჭირო გახდა საქართველოს ხელმეორედ გადახვნა" (ლევ ტროცკი, სტალინი, ტ. 2, ვერმონტი, აშშ, 1985, გვ. 49. რუსულად). შეიძლება ოპონენტები შემომედავონ — „აბა ტროცკი რას იტყოდაო". მაგრამ ფაქტია, რომ ასეთი დოკუმენტი არსებობს და მასში გატარებული აზრი, ვიმეორებთ, სტალინს არ უარუყვია. მკითხველს შეუძლია დაუჯეროს ან არ დაუჯეროს ამ დოკუმენტს, თუმცა უარყოფისას სათანადო არგუმენტებია საჭირო. ასე რომ, როცა ამ კითხვას ვსვამდი, არც რაიმე დამსიზმრებია და არც ვინმეს არქივებით მისარგებლია.

მიხეილ მახარაძე

მინდა ამ პატარა ბარათით მივმართო ბატონ ამირან არაბულს, რომლის რეპლიკა „გამკითხავი ჯერჯერობით არ ჩანს" გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს" 16 ნოემბრის ნომერში დაიბეჭდა [illegible], იმდენად, რომ მკითხველი აუცილებლად იფიქრებს: გადაგვარებულან მოხევენი, დაუკარგავთ სახელოვან წინაპართა სიყვარული და პატივისცემა... თებლად, რომ შემდგომ ბრინჯაოს კომპოზიცია შეექმნათ. ეს ასეც მოხდა და თაბაშირის ნამტვრევები, კომპოზიციის დეტალები ხელოსნებმა ძეგლის მახლობლად დატოვეს.

როგორც გადმომცეს, ეს დეტალები უნახავს ყაზბეგის აღმასკომის თავმჯდომარეს, დანანებია და სოფელ ახალციხეში სკოლის ეზოში მიუტანია. ალბათ, იგი ფიქრობდა ამ დეტალებისთვის სათანადო

# მეორე რეპლიკის პასუხი

ახლა კი პირდაპირ რეპლიკას ავტორს მივმართავ: სამწუხაროდ, თქვენ ცდებით, ვიღაც ამ შეცდომაში შეგიყვანათ, ბატონო ამირან, არ აგიხსნათ საქმის ნამდვილი ვითარება. ის, რაც იქვენ ნახეთ და ფირზე აღბეჭდეთ, არაა კულტურის რომელიმე ობიექტიდან გამოტანილი ვაჟა-ფშაველას ბიუსტი. ეს არის დეტალი ფიგურული კომპოზიციიდან, რომელიც დაიდგა დარიალის ხეობაში „თერგდალეულების" სახელწოდებით. ძეგლი მიუძღვნეს იმ ავბედითი ტრაქტატის 200 წლისთავს. ეს თაბაშირის ფიგურა გამოიყენეს ყალიბის გასაკეთებლად... პიედესტალის მოწყობას და გამოყენებას, მაგრამ ეს საქმე დაგვიანდა და თქვენც არ დაახანეთ, ქვეყანას ამცნეთ ჩვენი საქმენი სამარცხვინონი: არიქა, ძეგლები ყრია ტალახშიო.

მწყინს, რომ ყაზბეგში ბრძანდებოდით და არ შემოგვიარეთ, ამას ყველაფერს აგიხსნიდით და მაშინ არც თქვენ ჩავარდებოდით უხერხულ მდგომარეობაში და არც ჩვენ გვატკენდით გულს.

ციცინო ლუდუშაური

ყაზბეგი.

# ილია ჭავჭავაძის „ნახევარძეგლი" ზუგდიდში

1888 წელს ილია ჭავჭავაძე ერთ-ერთ პუბლიცისტურ წერილში წერდა: „ერი თავის გმირების ცხოვრებითა და მაგალითებით უნდა ჰსულდგმულობდეს, თუ მართლა ერობა ჰსურს და აგრეც არის, საცა ერი ერობს. აბა შეხედეთ სხვა ქვეყნებს, ერთი იმისთანა სახელოვანი კაცი არა ჰყოლიათ, რომ მის სახსოვრად ძეგლი არა ჰქონდეთ აღმართული? რისთვის? სულ იმისთვის, რომ დიდმა თუ პატარამ დაიხსომოს თავისი სახელოვანი კაცი, სულ მუდამ თვალ-წინ იყოლიოს და მის მიბაძვას ეცადოს".

მას მერე მრავალი ძეგლი დაიდგა საქართველოში.

ბუნებრივია, დიდი ილიას ძეგლის გახსნა ყველა ზუგდიდელისათვის მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. როგორც იქნა ყველაფერს თავისი სახელი დაერქვა და, ამდენად, ბევრი რამის სწორად შეფასებაც ვისწავლეთ. საზეიმოდ გაიხსნა სამიოდე წლის წინ ილიას ძეგლი. უნდა ითქვას, რომ ზუგდიდელი საზოგადოების გარკვეულ ნაწილში უარყოფითი რეაქცია გამოიწვია ძეგლის ავტორთა მხატვრულმა ჩანაფიქრმა. რა დასამალია და მეც იმათ რიცხვს ვეკუთვნი, რომლებიც შეახსენებენ ძეგლის ავტორთ უდიდესი გერმანელი მოაზროვნის ეფრაიმ გოტჰოლდ ლესინგის ხელოვნების ტრაქტატის ერთ-ერთ საკვანძო საკითხს: „ხელოვნებას აქვს თავისი კანონები, რომლებიც ზომიერებას მოითხოვენ". ილიას პიროვნული სიძლიერის, ცხოვრებისეული პოზიციისა თუ ბედის გამოსახატავად არწივის ფრთაგაშლილი გულ-მკერდის სიმბოლიკის გამოყენება ლიტერატურაში თავისთავად შეიძლება არ იყოს ურიგო, მაგრამ ქვაში ამ აზრმა ძალზე უხეში სახე მიიღო და პატარა ანეკდოტური ამბის შეთხზვის მიზეზიც კი გახდა.

მაგრამ ეს კიდევ არა. არ გასულა დიდი ხანი, რომ დასავლეთის კლიმატისათვის დამახასიათებელი გადაუღებელი წვიმების გამო, ეს სანთელივით თეთრი ძეგლი სულ დალაქავდა, ჩამოშავდა, ჩამოიშალა. მაგრამ აქაც დავხუჭეთ თვალი, რადგან ბოლოსდაბოლოს, როგორც იქნა, ძეგლი შემოაკავეს. ვიფიქრეთ, სარესტავრაციოდ. შესაძლოა გარკვეული სამუშაოები ჩაატარეს კიდეც, მაგრამ როცა ძეგლი ისევ გამოჩნდა, მაინც ნახევრად ჩამოფცქვნილი იერსახე ჰქონდა. ახლა კი, როცა ძეგლს მთელი მარცხენა მხარი მოგლეჯილი აქვს და გულის არეც გარკვეულწილად დამსხვრეულია, თვალის დახუჭვა მართლა ვერ შევძელით.

იქნებ ჩემმა თანაქალაქელებმა იწყინონ ეს შენიშვნები, შემომეკამათონ: „იქნებ ჩვენც გვაწუხებდა ილიას ბედი და გეგმაც გვქონდა დასახული..." ან კიდევ „ძეგლის ამ მდგომარეობამდე მიყვანას გარკვეული საფუძველი ჰქონდაო".

ჩვენ ეჭვიც არ გვეპარება, რომ ყველა ღირსეულ ადამიანს აწუხებს ძეგლის მდგომარეობა. იქნებ ამიტომაცაა, რომ ახლა ძეგლისათვის გამჭირვალე პოლიეთილენის ნაჭერი შემოუხვევია ვილაცას და შემოუბაწრავს, რათა დაეფარა ჩვენი სირცხვილი, ჩვენი, რომელთაც ვერც სიკვდილის შემდეგ ვერ ავუგეთ საკადრისი ძეგლი ჩვენს სულიერ მამას.

ნანა ფირცხალავა

# „მკვახე შემახილის" ექო

## ღია წერილი აკაკი ბაქრაძისადმი

ბატონო აკაკი!

წავიკითხე თქვენი „მკვახე შეძახილი" (გამოხმაურება გ. ასათიანის წერილზე „სათავეებთან"), რომელიც ჩვენი ერის საჭირბოროტო პრობლემებს ამზეურებს. ამიტომაც საჭიროდ ვცანი გაგიზიაროთ ზოგიერთი მოსაზრება, მოგასმენინოთ ჩემი „ექო".

გ. ასათიანის პოზიციაზე მსჯელობისას თქვენ იხსენებთ ოციან წლებში ჟურნალ „ქართული მწერლობის" ფურცლებზე გამართულ პოლემიკას საქართველოს შესახებ, მაგრამ ამ ავტორის აზროვნებისმიერი ევოლუციის წარმოსაჩენად უფრო საინტერესო იქნებოდა გახსენება ჩემსა და მას შორის გამართული პოლემიკისა „ლიტერატურული საქართველოს" ფურცლებზე 1970 წელს, რომელიც აგრეთვე ქართული კულტურის, საქართველოს ისტორიული მისიის საკითხებს ეხებოდა. ალბათ გეხსომებათ, თუ რაგვარ ეროვნულ ნიჰილიზმს ქადაგებდა მაშინ გ. ასათიანი. მას ჩვენი ერის ისტორიული მისიის თვითმყოფადობაშიც კი შეჰქონდა ეჭვი. აბა, რა არისო უჩვეულო, უპრეცედენტო საქართველოს მისიაში — კითხვას სვამდა იგი. მე მას ვუპასუხე: უპრეცედენტოა-მეთქი თავად ქართველი ერის მარტვილობა ქრისტიანული კულტურის სახელით. („ლიტ. საქართველო", 1970 წ. 10 ივლისი). ეს მომენტი, მე ვგონებ, ყველაზე არსებითია როგორც ჩვენი ერის ისტორიული პროფილის, ასევე ქართველი კაცის ეროვნული ხასიათის გამოსავლენად. მსხვერპლისუნარიანობა, იდეისათვის თავგანწირვა, მოყვასისათვის თავგანწირვა — აი, რა არის ძირითადი ჩვენს ეროვნულ ხასიათში. ამ თვალსაზრისით, თქვენ უფრო მეტად უნდა გაგესვათ ხაზი ესოდენ მცირერიცხოვანი ერის მოწამეთა და მარტვილთა განსაცვიფრებელი სიმრავლისათვის, რაც, ჭეშმარიტად, განასხვავებს საქართველოს ისტორიას სხვა ქრისტიანი ერების ისტორიისაგან. წმ. ლუარსაბ მეფე, რომლის პიროვნებასაც თქვენ ახასიათებთ, მხოლოდ ერთ-ერთია ჩვენს მოწამეთა და მარტვილთა დიდებულ გალერეაში.

შემდეგ თქვენ იხილავთ ქართული ხალხური შემოქმედების პერსონაჟებს და ნაცარქექიაზე ჩერდებით. მისი დახასიათებისას თქვენ სავსებით მართალი ხართ. იგი სიზარმაცისა და ბაქიაობის განსახიერება კი არა არის, როგორც ზოგიერთ ზერელე კალმოსანს ჰგონია, არამედ ჭკუისა, მოხერხებისა. ოღონდ კარგი იქნებოდა გახსენება იმ კაცისა, რომელმაც პირველმა მოგვცა ნაცარქექიას ზღაპრის ამგვარი ინტერპრეტაცია. ეს იყო კოტე მაყაშვილი. გავიხსენოთ მისი ლექსი:

„ოხ, ნაცარქექიავ, შენა!
სალამი მშობლიურ გმირს!
ამეხსნა ბედკრული ენა
ღიმილი მომდის პირს,
დავწვები ლოგინში წყნარად
ძილითა შევიქცევ თავს,
ქაჯებო, დევებო, ფარად
მე ნაცარქექია მყავს".

ნაცარქექია ქართველი ოდისევსია, იგი ახერხებს ციკლოპის მოტყუებას და დამარცხებას. ოღონდ კარგი იქნებოდა, თუ მის შესახებ მსჯელობას განვავითარებთ და მასში მხოლოდ პოლიტიკურ მებრძოლს და დიპლომატს კი არ დავინახავთ, არამედ სულიერ პლანში მებრძოლს უნივერსალურ ბოროტებასთან. იგი მედიტატორია და მოაზროვნე, იგი ჭვრეტითი ნატურაა (ნაცარი აზრის სიმბოლოდ იშიფრება ყველა ზღაპარში). აქედანაა მისი გარეგანი პასივობა. ამ თვალსაზრისით იგი ზეეროვნული სახეა, ზოგადსაკაცობრიო სახე. ბოლოს ნაცარქექიას პარალელები გვხვდება მსოფლიოს ყველა ხალხთა ლიტერატურასა და ფოლკლორში (მაგ. „ათას ერთ ღამეში", გერმანულსა და რუსულ ზღაპრებში და ა. შ.). ასე რომ, მარტოოდენ ქართული ხასიათის ძიება ნაცარქექიაში გაგვიჭირდება. ალბათ ამიტომაც დაუკავშირა მღვდელმა გრიგოლ ფერაძემ ნაცარქექია წმინდა გიორგის სახეს (ჟურნ. „ჯვარი ვაზისა", პარიზი, 1928 წ.).

შემდეგ თქვენ მსჯელობთ სხვა ლიტერატურული სახეების ნათესაობაზე ნაცარქექიასთან და ახსენებთ ბათა ქექიას. ამ პერსონაჟის არქეტიპი კი, მე ვგონებ დამეთანხმებით, ნაცარქექია კი არ არის, არამედ კოლა ბრუნიონი. ასე რომ, რამდენიც არ უნდა ამტკიცოს საწინააღმდეგო მისმა ავტორმა, იგი უფრო „ფრანგი კაცია", ვიდრე ქართველი კაცი. საერთოდ კი, პლაგიატორების მოხსენიება ჩვენი ეროვნული მწერლობის კლასიკოსების გვერდით უხერხულიც არის.

როდესაც თქვენ ჩამოთვლით საქართველოს პირისპირ მდგარ მსოფლიო გოლიათებს: რომის იმპერიას, ბიზანტიის საკეისროს, არაბთა ხალიფატს და ა. შ. და შემდეგ რუსეთის ცარიზმზე ჩერდებით, ეს განცვიფრებას იწვევს. რაო, განა დღეს ასეთივე გოლიათის პირისპირ არ დგას საქართველო, სახელდობრ დღევანდელი საბჭოთა იმპერიის პირისპირ? თუ ჩამოთვლაა, სრული უნდა იყოს ეს ჩამოთვლა.

შემდეგ თქვენ პირუთვნელად მსჯელობთ ჩვენი ერისათვის დამახასიათებელ უარყოფით თვისებებზე, მაგრამ ძნელია პოვნა ცისქვეშეთში ისეთი ერისა, რომელსაც ზუსტად მსგავსი თვისებები არ გააჩნდეს. ილიას მკვლელობას კი, მოდით, ნულარ დავიბრალებთ, ვინაიდან ილიას მკვლელობა, ისევე როგორც კირიონისა, რუსეთის ესდეკების პარტიამ დაგეგმა, ერთი მოხუცებული ესდეკისაგან ეს ჭორი ჩემს სიყმაწვილეში. (ივანე მაჩაბლის კვიპროსზე გაპარვა დუხობორებთან ერთად ყველაზე მეტად სავარაუდოა). მ. ქვლივიძემ კი, ყველა ზემოხსენებულ გენიოსთა უბედობა მხოლოდ და მხოლოდ ქართველებს გადააბრალა. ასეთი მავნე აზრების პროპაგანდას უნდა ვერიდოთ. ნუ გავიმეორებთ რუსული იმპერიალიზმის აგენტების მონაჩმახს ქართველი ერის შესახებ.

თუ შურისძიების, როგორც ეროვნული თვისების ანალიზზე მიდგება საქმე, უწინარეს ყოვლისა, უნდა მოვიხსენიოთ ჩვენში არსებული სისხლის აღების წესი, რაც ჩვენი უდიდესი ეროვნული უბედურება იყო მუდამ (განსაკუთრებით მთის ტომებში), თუმცა იგივე მოვლენა ჩვენი დაცვაც იყო ჩვენი მეზობელი აგრესიული ტომებისაგან. სხვაფრივ კი, ჩვენი ერისათვის ყველაზე სამარცხვინო ლაქაა ტყვის სყიდვა, რომლის ერთგვარი გაგრძელებაც არის დღეს შვილებისათვის დედა ენის წართმევა და მათი მიბარება რუსულ სკოლებში. ორივე მოვლენას ანგარება და კარიერიზმი უდევს საფუძვლად. თუ ძველად დედა-სამშობლოს სწყვეტდნენ ყმაწვილებს, დღეს სწყვეტენ დედა-ენას, სულს უსახიჩრებენ, ფსიქიკას უცვლიან. განა ეს ნაკარქეტიპული, იდეალური სახე ქართველი კაცისა, სწორედ იგია, თუ გნებავთ, ანტიპოდი კვაჭი კვაჭანტირაძისა და არა მინდია (მოგვიტევოს მისმა აჩრდილმა მისი ხსენება ასეთ კონტექსტში). მინდია, ისევე როგორც ილიას განდეგილი, დაცემული ეპოპტია, დამარცხებული გმირი, გრიგოლ ხანძთელი კი გამარჯვებული ეპოპტია, ზეციურსა და ამსოფლიურს შორის ჭეშმარიტი ბალანსის მპოვნელი. ერთის მხრივ: მისტიკოსი, ნათელმხილველი, თეურგი და თაუმატურგი, საზეო პოეტი და ღვთისმეტყველი, მეორე მხრივ — პრაქტიკოსი: კლარჯეთის უდაბნოთა მშენებელი და განმამშვენებელი, მეფეთა მოძღვარი, ხალხის მსახური, სნეულთა მკურნალი, დაბრკოლებულთა განმმართველი, მწუხარეთა ნუგეშისმცემელი. ავთანდილი სწორუპოვარი რაინდია, დავითი მეფეა (უზენაესი სრულყოფა მეფობისა), გრიგოლ ხანძთელი კი, ისევე როგორც გიორგი ჭყონდიდელი, მამაა მეფისა, მისი მოძღვარი, მისი იდეალი, რომლის წინაშეც მოწიწებით ქედს იხრის მეფეცა და ერიც. მისი მორალი არსად არ არის შებღალული ცოდვით — დაცემით, ან ვნებით, იგი წმინდანია, კაცი ზეცისა და ანგელოზი ქვეყანისა, ე. ი. ზეცისა და მიწის ჰარმონიულად შემრწყმელი. რუსთველისთვისაც

რთველები (თუ კი მათ საერთოდ შეიძლება ვუწოდოთ ქართველები) აქ მხოლოდ დამაკავშირებლების როლს თამაშობდნენ. ჩვენ ისიც გვეყოფა, რომ ვახტანგ გორგასალანი და აშოტ დიდი ღალატით მოვკალით. ხოლო თუ გამართლდა ის ჰიპოთეზა, რომლის მიხედვითაც ილიას იმ „იმერელმა ბიჭმა" ესროლა, რომელსაც ახსენებდა ბერბიჭაშვილი და რომელსაც დღეს 3 ძეგლი აქვს თბილისში, მაშინ, მართლაც რომ, დაგვეკისრება ეს მძიმე ცოდვა. თუმცა ისიც საკითხავია, აგებს თუ არა პასუხს მთელი ერი ერთეული გადაგვარებული, დენაციონალიზებული ელემენტების ცოდვებისათვის? ზემოხსენებულის მსგავსი არამზადები ხომ არა თუ ერს, კაცობრიობასაც აღარ ეკუთვნიან?

ეროვნული თვითკრიტიკა სასარგებლო საქმეა, მაგრამ იგი საკუთარ ერზე ცილისწამებაში არ უნდა გადაიზარდოს. ასე, მაგალითად, რუსთაველის დევნა ვილაც „სულთამხუთავების" მიერ, როგორც მკითხაობს მ. ქვლივიძე, დასაბუთებული არ არის. ბ-ნ ქვლივიძეს ისიც უნდა მოეხსენებოდეს, რომ ბარათაშვილს ქართველებმა კი არ ამოხადეს სული შიმშილით, არამედ რუსის ჩინოვნიკებმა, გურამიშვილი ლეკებისა და თურქების მიზეზით მოსწყდა სამშობლოს და არა ქართველების მიზეზით, ბესიკს საკუთარმა ორპირობამ დაუკარგა ძვალთშესალაგი, საბა ორბელიანი ქართველთა მხრივ დევნის შედეგად კი არ გამოეწყო ბერის კაბაში, არამედ რწმენის შედეგად და ერისათვის თავდადების გამო, ხოლო მოჩხუბარიძე თავის თანამემამულეებს კი არ „ეჩხუბებოდა", არამედ ჩრდილოეთის ვეშაპს, რომელიც გადაულაპავს უპირებდა მის სამშობლოს, ხოლო გალაკტიონი ქვაფენილს ქვასავით (და არა შურდულივით) დაენარცხა იმის გამო, რომ მისი თვითმკვლელობამდე მიყვანის გეგმა დამუშავდა ჩვენი ერის უბოროტესი მტრების მიერ „სადაც ჯერ იყო", რასაც ალბათ ოდესმე ამხელს ისტორია, ისევე როგორც ილიას მკვლელობის ამბავს, წყარო კი ორივე შემთხვევაში ერთია. რომელი ალმოიკითხავს, გულისხმაჰყავნ! ის ვერსიაც, თითქოს ივანე მაჩაბლის გაუჩინარებაში ერთ-ერთი ქართველი მოღვაწის ხელი ერია, ესდეკებმა გაავრცელეს ამ მოღვაწის დისკრედიტაციისათვის. მე თავად მომისმენია ლები ბოროტებაა? რუსული ენის წინააღმდეგი არავინ არის, მაგრამ რა დაგვიშავა დედა-ენამ?

როდესაც სააკაძის კულტზე ვსაუბრობთ, ნუ დაგვავიწყდება მისი გამომწვევი სოციალური და პოლიტიკური მიზეზები, რომლებიც ისტორიის საერთო ფალსიფიკაციას უდევს საფუძვლად, რაც ემსახურება სავსებით შეგნებულ მიზანს ჩვენში ეროვნული პარამნეზიის გამოწვევისას. თუ გსურს ერი ან ადამიანი გახრწნა და გადააგვარო, მას არა მხოლოდ უნდა დაავიწყო წარსული, არამედ უნდა გაუყალბო კიდეც იგი. თავისი ჭეშმარიტი გმირები ბოროტმოქმედებად და უნიათო კაცუნებად უნდა დაუსახო, მედროვენი და მოღალატენი კი — გმირებად. ამიტომაც წერდა ერთი „რაპპელი" თამარ მეფის ბნელ სასახლეში დატრიალებული ბნელი საქმეების გახსენება დღეს აღარ არისო საჭირო ლიტერატურაში. ალბათ ამავე მიზანს ემსახურება ფილმ „დათა თუთაშხიას" ტენდენცია, რომლის მიხედვითაც რუსეთმა XIX საუკუნეში თურმე „გაათავისუფლა" საქართველო ბაგრატიონების ბატონობისაგან სამეფოს გაუქმებით და სახელმწიფოს მოსპობით. კომენტარები, ვგონებ, ზედმეტია.

ფრიად საინტერესოა თქვენი წერილის ის ადგილები, სადაც ეხებით ჩვენი ეროვნული ხასიათისათვის დამახასიათებელ შერწყმას სულიერისა და ნივთიერისას. ოღონდ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს დებულება გ. ასათიანს კი არ ეკუთვნის, არამედ რ. თვარაძეს (იხ. მისი წერილი „მთლიანი საქართველოს მეხოტვე"), რომელსაც თავდაპირველად ეკამათებოდა ამის გამო გ. ასათიანი, შემდეგ კი მის პოზიციაზე გადავიდა. დიახ, ერის რჩეულნი ჩვენში მუდამ ჰპოვებდნენ ჭეშმარიტ ბალანსს სულიერსა და მატერიალურს შორის, ზეშთასოფელსა და სოფელს შორის, მათთვის უცხო იყო უკიდურესობანი, ან ერთ-ერთისაკენ გადახრა. ფრიად საინტერესოა თქვენს მიერ გავლებული პარალელი ავთანდილსა და დავით აღმაშენებელს შორის. მაგრამ თუ სულიერისა და ნივთიერის ჭეშმარიტ შერწყმაზე მიდგება საუბარი, უწინარეს ყოვლისა, უნდა ვახსენოთ გრიგოლ ხანძთელი, როგორც ისტორიული პირი, ასევე ლიტერატურული სახე. გრიგოლ ხანძთელი არის ჭეშმარიტად ავთანდილი და ტარიელი როდი არიან იდეალები, არამედ „ბრძენი დივნოს" (დიონისე არეოპაგელი), რომელიც ფარული გმირია ვეფხისტყაოსანისა, ფარული მასწავლი და მოძღვარი როგორც ავტორისა, ასევე მისი გმირებისა.

დიახ, წმინდანი იყო მუდამ იდეალი ჩვენი წინაპრებისა და ჩვენთვისაც უნდა დარჩეს იდეალად, თუ გვსურს ჩვენი ეროვნული და კულტურული არსებობის შენარჩუნება დღეს, ოკეანის პირისპირ, რომელიც ნთქავს ყოველგვარ ეროვნულ კოლორიტსა და ნიუანსებს. ის ერი კი, რომელიც დაკარგავს რწმენას და კულტურულ უპირატესობას ვერ შეინარჩუნებს მომხდურზე, უთუოდ დამარცხდება. წმინდანი იყო და არის იდეალი განათლებული კაცობრიობისა, მას ვერცერთი სხვა იდეალი ვერ შესცვლის ვერც მომავალში.

რაც შეეხება მინდიას სახეს, იგი ძველი სამყაროს, ქრისტიანობამდელი სამყაროს ეპოპტია ახალ დროში შემორჩენილი. ამიტომაც მოხდა მისი ინიციაცია ქაჯების მიერ გველის ჭამით (ძველი სიბრძნის სიმბოლო). იგი გველისმჭამელია და არა თაბორის უქმნელი ნათლის ადეპტი, ამიტომაც მარცხდება იგი, თავისი მაღალი ეთოსის მიუხედავად. თან არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ იგიც ამსოფლიურისაკენ გადახრის გამო დაეცა (ვაჟას მინდია — ცოლის მიზეზით, კონსტანტინე გამსახურდიასი კი — სატრფოს მიზეზით). ამიტომ მას კვაჭი კვაჭანტირაძეს ნუ დავუპირისპირებთ, რომელშიც ამსოფლიურისაკენ გადახრამ გროტესკული სახე მიიღო. ღვთაებრივისა კეთილის ხატი მინდია ვერ იქნება, ასეთი ხატია გრიგოლ ხანძთელი და ჩვენი ჰაგიოგრაფიის სხვა პერსონაჟები.

როდესაც დავით აღმაშენებელს სავსებით მართებულად აცხადებთ ქართული ეროვნული ხასიათის ერთ-ერთ არქეტიპულ მოდელად, ამავე დროს თამარი და ქეთევანიც უნდა ახსენოთ, ეს უპრეცედენტო გმირები ჩვენი ისტორიისა, რომელთა ბადალ მონარქ ქალებს ვერ იპოვნით ვერცერთი ხალხის ისტორიაში. მთელი ევროპის დიდი მწერლები და ისტორიკოსები გადაჰყვენ მარია სტიუარტს, კურტიზანს, მკვლელსა და ყოველმხრივ ამორალურ ქალს, მხოლოდ იმიტომ, რომ მას თავი მოჰკვეთა მისმა მეტოქემ, ელისაბედ ინგლისის დედოფალმა, ქალური შურით და არა რაიმე იდეის გამო. სად იყო შილერი, სად იყო ცვაიგი ან რომელიც გნებავთ დიდი ევროპელი, რატომ უნდა შეენიშნა მხოლოდ საშუალო დონის პოეტს გრიფიუსს ქეთევან დედოფლის წამება? ვთქვათ ვერ შეამჩნიეს თამარ მეფე, ვინაიდან ევროპა მას არ იცნობდა, მაგრამ ქეთევანის წამება ხომ მთელი ევროპის თვალწინ მოხდა? რატომ არ დასძრა ხმა ევროპამ ამ უპრეცედენტო გმირობისა და მარტვილობის გამო, ან რად არ შეიტანა იგი რომის ეკლესიამ თავის მარტიროლოგიაში? (ქეთევანი ხომ კათოლიკედ აღესრულა). განა ბევრი ჰყავთ მისი ტოლი?? ან იქნებ რუსეთს ჰყავს მათი მსგავსი მონარქი ქალები? ჩვენს ბავშვებს დაწვრილებით რომ ასწავლიან თავიანთი პათოლოგიური მეფეებისა და გარყვნილი დედოფლების ისტორიას და საქართველოს ისტორია ფიქტიურ საგნად უქციეს, განა სამართალია ეს? აი, ასეთ საკითხებზე უნდა დავძრათ ხმა უწინარესყოვლისა.

ფრიად საინტერესოა თქვენეული ანალიზი „ეთერიანისა". სავსებით მართებულად საყვედურობთ გ. ასათიანს, რომელიც ამტკიცებს, თითქოს აბესალომი და მურმანი მხოლოდ პირად ბედნიერებაში ხედავენ თვითკმარ მიზანს ცხოვრებისას. (სხვათაშორის, ამასვე ამტკიცებს ე. ხინთიბიძე „ვეფხისტყაოსნის" გმირებზე). ამგვარი მიზნის პირველ პლანზე წამოწევა საერთოდ უცხო იყო ჩვენი წინაპრებისათვის, იგი მხოლოდ დღევანდელი დღის კარიერისტებმა დაიწერეს თავიანთ დროშაზე და ამიტომაც ყიდიან თავიანთ ერსა და წმინდათაწმინდას. ჩვენი წინაპრებისათვის კი ზნეობრივი განმართლებისა და განღმრთობის გზა იყო მთავარი და არა პიროვნული, ამსოფლიური ბედნიერება.

ქართული ხასიათის ერთ-ერთი უმთავრესი თვისებაა აგრეთვე რელიგიური შემწყნარებლობა, მისთვის უცხოა ფანატიზმი და უკიდურესი რიგორიზმი. ჩვენს ისტორიას არ ახსოვს აუტოდაფეები, ინკვიზიცია, ბართლომეს ღამეები. კათოლიკობას და მართლმადიდებლობასაც ორგანულად ათავსებდნენ ჩვენი წინაპრები XIV საუკუნემდე, ისინი, თავიანთი თანდაყოლილი, ბუნებრივი რელიგიური შემწყნარებლობის წყალობით მაღლა იდგნენ რომისა და ბიზანტიის ეკლესიებს შორის მომხდარ განხეთქილებაზე, როგორც ეს ბრწყინვალედ ნათელჰყო ჩვენმა დიდებულმა მ. თამარაშვილმა. დავით აღმაშენებელსაც ბუნებით ახასიათებდა ასეთი რელიგიური შემწყნარებლობა უნივერსალური გაგებისა, ამიტომაც დადიოდა იგი მეჩეთშიც და სინაგოგაშიც, ამიტომ აკრძალა მან თბილისის მუსულმანურ უბნებში ღორის დაკვლა (ამას მხოლოდ დიპლომატიური მოსაზრებით ვერ ავხსნით). დავით აღმაშენებლისებურ უნივერსალურ რელიგიურ შემწყნარებლობამდე გაცილებით უფრო გვიან მივიდა ევროპული კაცობრიობა (გოეთე და როზენკროიცერული მოძრაობა). აღსანიშნავია, რომ რელიგიური ვენდეტა დღესაც გრძელდება ევროპაში (ჩრდილოეთ ირლანდია), რაც ყოველთვის უცხო იყო ჩვენთვის.

როდესაც გ. ასათიანი ჩივის, ქართული კულტურა ჯერ-ჯერობით ჩვენი სამშობლოს საზღვრებში რჩება, მაშინ როდესაც ევროპელი ერების კულტურანი უნივერსალურ ასპარეზზე არიანო გამოსულნი და ვითომდაც ვერ გაუგია, თუ რა არის ყოველივე ამის მიზეზი, — ჩვენი ეროვნული ხასიათი თუ ისტორიული პირობები, მიკვირს, რად არ შეახსენებთ მას, რომ იმ ერებს თავიანთი საკუთარი სახელმწიფოები აქვთ და არ არიან იზოლირებულნი დანარჩენი მსოფლიოსაგან. მსოფლიო როგორ გაგიცნობს, თუ გეოგრაფიულ რუკაზეც კი სხვის ფარგლებში ხარ მოქცეული? თუმც აქ ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველომ, მიუხედავად თავისი მდგომარეობისა, მაინც შესძლო თავისი კულტურული მიღწევების გატანა მსოფლიო ასპარეზზე და დაანახა კაცობრიობას თავისი სიდიადე, რაც ჩვენს მტრებს მოსვენებას უკარგავს, ვინაიდან უკვე ძნელია ჩვენი ახი-

მილირება და მოხპობა უმტკივნეულოდ.

გ. ახათიანი რ. თვარაძესთან პოლემიკის დროს აცხადებდა, ჩვენი საუბარი ქართული კულტურის დიდ მნიშვნელობაზე და განსაკუთრებულობაზე მხოლოდ ირონიულ ჩაღიმებას იწვევსო უცხოელი სპეციალისტების მხრივ. თუ იგი ამ უცხოელ „სპეციალისტებში" იმ მოსკოველ შოვინისტებს გულისხმობდა, რომელნიც ვოსტორგოვების და კატკოვების საქმეს აგრძელებენ დღეს — მაშინ ეს მართალია. რაც შეეხება დღევანდელი დასავლეთის დიდ ინტელიგენტებსა და მეცნიერებს, მათ სულაც არ ჰგვრის ირონიულ ღიმილს მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურა, რომელიც სავსებით უნიკალურია ქრისტიანულ აღმოსავლეთში. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, დიდი ბელგიელი მეცნიერი ჟერარ გარიტი არ იტყოდა, თხუთმეტსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურა უმნიშვნელოვანესი და უმდიდრესი ლიტერატურააო ქრისტიანულ აღმოსავლეთში, დიდი დანიელი მეცნიერი ნილს ბორი არ იტყოდა შეყვარებული ვარო რუსთაველზე და მის სამშობლოზე, ცნობილი ამერიკელი მეცნიერი რ. იაკობსონი არ უწოდებდა „ვეფხისტყაოსანს" კაცობრიობის უდიდეს საგანძურს, ცნობილი ინგლისელი ლიტერატურისმცოდნე მ. ბოურა არ უწოდებდა რუსთაველს კაცობრიობის ყველაზე სერიოზულ მასწავლებელს, გამოჩენილი ამერიკელი კომპოზიტორი სტრავინსკი არ განაცხადებდა, გურული სიმღერის მსგავსი არაფერი მიგულებაო მსოფლიოში* და ა. შ.

საერთოდ, გ. ახათიანის ასეთ ნიჰილისტურ აზრებზე ფიქრისას მებადება აზრი, იქნებ ეს ავტორი არც კი იცნობს ქართველოლოგიის მიღწევებს დასავლეთში, ან ზემოხსენებულ გამოჩენილ პიროვნებათა აზრებს ქართულ კულტურაზე? მაგრამ ეს შეუძლებელია. ასეთი ამბები ბავშვმაც კი უწყის დღეს ჩვენში. აქ უფრო შეგნებულად გამიზნული თამაშია: რაც უფრო მეტად დაამცირებ და გააბიაბრუებ შენს ერს, მის ისტორიულ როლს და მის კულტურას, გარკვეული „ინსტანციები" მით უფრო დაგაფასებენ. ამის, მაგალითად კმარა „ლაზარელას" ავტორის აღზევება, ფილმ „თუთაშხიას" ტრიუმფი, უნიჭო და მდარე ლიტერატურის პროპაგანდა საზღვარგარეთ (ფრჩხილების გახსნა მკითხველს მივანდოთ).

ახლა ორიოდე სიტყვით მსურს შევეხო ჩვენი ტერიტორიის ეთნიურ აჭრელებას და ქართველი თავად-აზნაურობის უნიათობის წყალობით მის მოზრდილ ნაწილში უცხო ტომთა მომრავლებას. რამ გამოიწვია ეს გამცონარება და გაპასიურება ჩვენი თავად-აზნაურობისა? იმან, რომ რუსეთმა გააუქმა ჩვენი სახელმწიფო, მოახდინა ანექსია საქართველოსი და თავად-აზნაურობაც ფუნქციაწართმეულ, ნომინალურ წოდებად იქცა, რომელსაც აღარც ომის საკითხები ეკითხებოდა და აღარც მშვიდობისა. ქართველი არისტოკრატია, რომელმაც ხმლის ქნევით შეინარჩუნა საქართველო, რომელიც თავდადებით იბრძოდა დიდგორისა და ბასიანის, მარაბდისა და კრწანისის ავანგარდში, XIX საუკუნეში იმდენად გადაგვარდა, რომ ლოთობისა და მუცელღმერთობის მეტი არა ახსოვდა რა. (ქუთაისის ბაზარზე გამოდიოდნენ ხოლმე მთვრალი თავადები, ლეკურებს იშიშვლებდნენ და დაერეოდნენ საყასბოს გარშემო მოფუსფუსე, გასაცოდავებულ ქეციან ძაღლებს და ვინც ერთის დაკვრით გაკვეთდა ასეთ ძაღლს, იმ დღის პრიზიორად ითვლებოდა). ლელთ ღუნიასი არ იყოს, მდორე წყალში ბაყაყმა დაიბუდა — აი, რა მოგვიტანა XIX საუკუნის ყბადაღებულმა მშვიდობამ. ასე რომ, არც აქ არის არაფერ შუაში „ქართველი კაცის მცონარე ხასიათი". ეს გამოიწვია ისტორიულმა უბედურებამ. დავით კლდიაშვილისა და მიხეილ ჯავახიშვილის გმირებიც ამ გადაგვარებული საქართველოს შვილები არიან. — ასე რომ, ნაცარქექია ვერაფერი ანალოგიაა მათი (თუმც გ. ახათიანს კი ეოცნებება ეს მსგავსება). აქვე უნდა დავსძინოთ, რომ ჩვენი უდიდესი ეროვნული უბედურება იყო და არის აგრეთვე საქართველოს ეკლესიის გაუქმება რუსეთის მიერ. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სახელმწიფოს გაუქმებასთან ერთად ეკლესიის გაუქმებამაც მიგვიყვანა დღევანდელ ყოფამდე.

აკაკი წერეთელი შესანიშნავად გვიხატავს რუსეთის მიერ საქართველოს მოტყუებით ანექსიისა და რუსიფიკაციის პროცესს, აგრეთვე დევნას ქართული ეკლესიისას:

„ის, რაც პირობა დაუდვა,
არ აუსრულა არც ერთი,
გატეხა ფიცი და მტკიცი,
აღარ იწამა მან ღმერთი;
ხელში ჩაიგდო და ძველი
წესწყობილება დამალა,
შემოიტანა თავისი
და მოაყოლა თან ძალა.
ქვეყნის გამყიდველს და
ორგულს
არ ამადლიდენ ქებასა
და ყოველ ბიჯზე
სცდილობდნენ,
მთელ ქვეყნის გარუსებასა,
„ჯერ რჯული უნდა
წავართვათ,
გავხადოთ უნამუსოთო
და მერმე შევძლებთ
ადვილად
რომ კიდეც გავარუსოთო".
ეს თქვეს და კიდეც მაშინვე
შეუდგნენ გარუსებასა
და ქართველობის უარმყოფს
არ ამადლიდნენ ქებასა.
კათალიკოზის სანაცვლოდ
დაგვისვეს ეგზარხოსები,
ისინიც ისე გვდევნიდნენ
ვით ბაყათრობას — ოსები.
არ სჯობს, რომ სულ
გადარჯულდეს
ქართული ეკლესიაო?
და ვინც კი დაგვეხმარება
ავნუსხოთ მათი სიაო!"
. . . . . . . . . .
ასრულდა მტრების განზრახვა,
რჯულს გაჰყვა ქართველობაცა
და სათვალთმაქცოდ გადიქცა
დღეს დღევანდელი
მღვდელობაც.

(პოემა „რაჭა-ლეჩხუმი")

რაც შეეხება საქართველოს ტერიტორიის ეთნიურ აჭრელებას, ამას გეგმაზომიერად ახორციელებდა რუსის მთავრობა ჯერ კიდევ პასკევიჩის დროიდან, როგორც ამას შესანიშნავად ნათელჰყოფს ივანე ჯავახიშვილი, ასე რომ ჩვენი თავადები აქ არაფერ შუაში არიან.

თუმც, მე მგონი, თქვენ ყოველივე ზემოთქმული კარგად მოგეხსენებათ, მაგრამ რამდენადაც იმედი გქონდათ თქვენი წერილის ოფიციალურ პრესაში დაბეჭდვისა, აღარ დაუსვით წერტილები ყველა ი-ს. ამჯერად მომიტევეთ, რომ ასეთი წერტილების დასმა მე მომიხდა. მომავალში კი წინასწარ ნურასოდეს დასდებთ თქვენს აზრებს ცენზურის პროკრუსტესეულ სარეცელზე, ეს მხოლოდ სიმკვახეს წაართმევს შეძახილს.

გისურვებთ, კიდევ მრავალგზის მიგეწოდებინოთ ჩვენი მკითხველი საზოგადოებისათვის ასეთი ცოცხალი აზრით სავსე, სასარგებლო კამათის გამომწვევი წერილები.

პატივისცემით

**ზვიად გამსახურდია**

1981 წ.

მინაწერი: იმჟამინდელი კომუნისტური ცენზურის წყალობით ეს გამოხმაურება ა. ბაქრაძის წერილზე ვერსად ვერ დავბეჭდე, ამიტომ დაგვიანებულად ვაქვეყნებ მას.

* ამას წინათ თბილისის უნივერსიტეტის ერთ-ერთმა ლექტორმა პარიზიდან ჩამოიტანა ასეთი ცნობა: სორბონის უნივერსიტეტის სტუდენტებს, რომელნიც მაოიზმის ფსიქოზით იყვნენ შეპყრობილნი და ლეწავდნენ აუდიტორიებსა და სასწავლო ინვენტარს, მუსიკის ერთ-ერთი იქაური პროფესორი ასწავლიდა ქართულ საეკლესიო გალობას, რითაც კურნავდა მათ და უბრუნებდა ნორმალურ ცხოვრებას და სწავლის პროცესს. საკითხავია, რად არ იშველიებდა იგი ბახის ქორალებს ან მოცარტის მესსებს, რაღა ქართულ გალობას ასწავლიდა მათ? ალბათ გამოსცადა პრაქტიკულად მისი სასწაულებრივი ზემოქმედება ადამიანზე.

# საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ბატონ ზვიად გამსახურდიას

# საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ბატონ თენგიზ სიგუას

# „ლიტერატურული საქართველოს" რედაქციას

გთხოვთ გულდასმით წაიკითხოთ ჩემი ეს თხოვნა, რომელიც ეხება ბიძაჩემის (დედის მხრიდან) გრიგოლ რობაქიძის არქივს, რომელიც საზღვარგარეთაა, კერძოდ კი შვეიცარიაში. თუმცა თქვენ, ბატონო ზვიად, დიდი ხანია საქმის კურსში ხართ, საზოგადოებას კი მსურს ვაუწყო შემდეგი:

„ლიტერატურულ საქართველოში" გამოქვეყნდა სტატია „ორთა გოდება". მას შემდეგ, მე, როგორც გრიგოლ რობაქიძის მემკვიდრეს, მომეცა საშუალება გამომექვეყნებინა წერილი „საბჭოთა ხელოვნებაში" (1988, № 10) „გრ. რობაქიძის ბიოგრაფიული ცნობები", რომელშიც ხსენებული იყო აწ განსვენებული ევტიხი ჩერქეზია. მან დიდი ამაგი დასდო მთელს ჩვენს ოჯახს და გადაგვარჩინა რეპრესიისაგან. ჩემ წერილში „გრ.რობაქიძის ბიოგრაფიული ცნობები" ვაჩვენე, თუ რა დიდი პატივით ახასიათებდა ბატონი კონსტანტინე გამსახურდია თავის მეგობარ მწერალს გრიგოლ რობაქიძეს. ჩვენი ოჯახის ამგვარმა დახასიათებამ გაფანტა ის ეჭვები, რაც მაშინ გრიგოლ რობაქიძეზე და მის ნათესავებზეც ვრცელდებოდა.

ეტყობა „საბჭოთა ხელოვნებაში" დაბეჭდილმა წერილმა განაპირობა ჩემი გამოძახება საქართველოს მინისტრთა საბჭოში, ამხ. ოთარ ჩერქეზიასთან. ჩვენმა საუბარმა მიიღო სერიოზული ხასიათი გრიგოლ რობაქიძის არქივის ირგვლივ.

შევაგროვე მემკვიდრეობის დამადასტურებელი საბუთები და მათ შორის ბიძაჩემის სიცოცხლის უკანასკნელ წლებში ჩვენი ოჯახისადმი გამოგზავნილი სამი წერილი (ერთი 1959 და ორი 1961 წელს გამოგზავნილი) ამის მერე მივაკითხე მინისტრთა საბჭოს. შემოწმდა ყველა წარდგენილი საბუთი და გამოიტანეს დადგენილება. აღიძრა საქმე მოსკოვის „ინიურ კოლეგიაში" და გადაწყდა ჩემი გამგზავრება საზღვარგარეთ, როგორც მემკვიდრისა. საქმის დაჩქარებლად ჩემთან ერთად უნდა წამოსულიყვნენ ტელეოპერატორი და მინისტრთა საბჭოსთან არსებული საზღვარგარეთთან ურთიერთობის სამსახურის ერთი წარმომადგენელი. ეს იყო 1989 წლის 9 თებერვალი. ერთი თვის შემდეგ მივიღე წერილი „ინიურ კოლეგიიდან", რომელშიც მატყობინებდნენ: ყველა საბუთი მიღებულია, აყვანილია შვეიცარიელი დამცველი, რომელიც თანამშრომლობს ჩვენთანო. ამასთანავე ითხოვდნენ დამცველის ჰონორარის გადამხდელის საგარანტიო წერილს. საგარანტიო წერილის გამგზავნი არცერთი ორგანიზაცია არ აღმოჩნდა. ამ დროს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეა ნოდარ ჭითანავა. ბევრი ვეცადე მასთან მოხვედრას, მაგრამ ვერაფრით ვერ მოვახერხე. დაპირება მეორდებოდა — დღეს — ხვალ, დღეს — ხვალო — საშური დრო კი მიდიოდა. შეიძლება იკითხოთ, თუ ყველაფერი მზად იყო საზღვარგარეთ გასამგზავრებლად, რატომ არ წახვედით? რა თქმა უნდა, შემეძლო, მითუმეტეს, გამგზავრების ხარჯები სახელმწიფოსი იქნებოდა. მაგრამ მოვერიდე ტყუილუბრალოდ თანხების ხარჯვას, ვინაიდან გრიგოლ რობაქიძის არქივის ადგილმდებარეობა უცხოეთში ცნობილი არ იყო და, თქვენ წარმოიდგინეთ, უცხო კაცს რა დრო მეყოფოდა მისი ძებნისათვის. ვიფიქრე, უმჯობესი იქნებოდა დამცველს ჯერ არქივი აღმოეჩინა. რის შემდეგაც ჩემი გამგზავრება რეალურ შედეგს გამოიღებდა.

ვინაიდან ჩემგან მოითხოვდნენ გამეგო რა რაოდენობის თანხა იქნებოდა საჭირო დამცველისათვის არქივის ადგილმდებარეობის აღმოსაჩენად და მისი საქართველოში ჩამოსატანად, იძულებული შევიქენი „ინიურ კოლეგიის" გვერდის ავლით გამეგზავნა დეპეშა შვეიცარიაში (ბერნის საკონსულოში), რომელიც შეიცავდა ქვემოთ მოყვანილ კითხვებს:

„1. თუ გაქვთ მიღებული როსტომ ლომინაშვილის მემკვიდრეობის დამადასტურებელი ყველა საბუთი და თუ არის კიდევ რაიმე დამატებითი საბუთი საჭირო?

2. არის თუ არა ვინმე პრეტენდენტი მემკვიდრეობაზე საზღვარგარეთ?

3. ცნობილია თუ არა არქივის ადგილმდებარეობა?

4. „ინიურ კოლეგიიდან" მიღებულ წერილში არ არის აღნიშნული დაახლოებით რამდენი თანხა დასჭირდება დამცველს (დოლარი, შვეიცარიული ფრანკი). გთხოვთ, რაც შეიძლება მოკლე დროში შემატყობინოთ, რათა საქართველოს რესპუბლიკამ მიიღოს გადამწყვეტი ზომები ამ საქმის მოგვარებისათვის".

პასუხი აგვიანებდა.

მეორე დეპეშა, იმავე შინაარსისა, გავგზავნეთ საგარეო საქმეთა სამინისტროდან მინისტრის ხელმოწერით (4.10.89 წელი). რამოდენიმე ხნის შემდეგ მივიღე პასუხი:

„1. ყველა საჭირო საბუთები მიღებული გვაქვს, დამატებითი საბუთები საჭირო არ არის.

2. სხვა პრეტენდენტი გრიგოლ რობაქიძის მემკვიდრეობაზე არ არსებობს.

3. არქივის ადგილმდებარეობა ჯერჯერობით მიგნებული არ არის.

4. დამცველი არ არის თანახმა, რომ ჩვენ მივმართოთ სასამართლოს, ვინაიდან გრიგოლ რობაქიძის სიკვდილიდან გავიდა 27 წელი.

დამცველი მზად არის განაგრძოს მიწერ-მოწერა მემკვიდრე ლომინაშვილთან და გადასცეს მას ოთხი წიგნი, რომელიც აღმოჩენილია ციურიხის უნივერსიტეტის არქივში. 1. წიგნი „ადოლფ ჰიტლერი დანახული უცხო პოეტის თვალით" (50 ფურცელი), მიუნხენში გამოცემული სამი ქართული ჟურნალი, ხოლო, რაც შეეხება დამცველის ჰონორარს, ერთი საათის მუშაობაზე საჭიროა 250 შვეიცარული ფრანკი. საბჭოთა კავშირის ელჩი ნოვოჟილოვა".

ყველაფერი თითქოს სასიკეთოდ მიდიოდა და მაინც ჩავვარდი უხერხულ მდგომარეობაში: როგორმე უნდა მეშოვა სათანადო თანხა დამცველისათვის, რათა მას საქმე დაეწყო. დანარჩენს კი სახელმწიფო მომცემდა. მწერალთა კავშირი შემპირდა: დახმარებას გამომცემლობა „მერანი" გაგიწევთო, შევაწუხე რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ხელმძღვანელობა; დახმარება აღმითქვა ფინანსთა სამინისტრომაც, ოღონდაც ისინი საბჭოთა ფულს მანეთებით მომცემდნენ. გადახურდავებაში კი საქართველოს მინისტრთა საბჭო დამეხმარებოდა. აი, სწორედ ამ პერიოდს დაემთხვა გრიგოლ რობაქიძის სახელობის ფონდის შექმნა. ამის შემდეგ, ვინც კი მპირდებოდა დახმარებას, ყველამ, რბილად რომ ვთქვათ, ხელი დაიბანა და გრიგოლ რობაქიძის სახელობის ფონდზე მიმითითა. როცა საქმე კვლავ მიდგა დამცველისათვის ფულის ნაწილობრივ გადახდაზე, ასე მიპასუხეს: აღარ არის საჭირო დამცველი, ეს საკითხი მოგვარდება სულ უბრალოდ, ყოველგვარი გასამრჯელოს გარეშეო. თუ რა ჰქონდათ მხედველობაში, ჩემთვის დღემდე გაუგებარი დარჩა. შევწყვიტე უცხოეთთან კონტაქტები იმ იმედით, რომ ამ საქმეს ფონდი მოუვლიდა. ამის შემდეგ გავიდა რვა თვე და კვლავ მივიღე შეტყობინება—ვინ გადაიხდის დამცველის კუთვნილ თანხას. ამასთან მომყვა წერილი პირადად ჩემს სახელზე, რომელშიც მატყობინებდნენ, რომ არქივი აღმოჩენილია და ინახება ციურიხის გენეტიკურ-ფილოსოფიურ არქივში — 36 ათასზე მეტი დასახელების ერთეული. ამ წერილში ისიც იყო აღნიშნული, რომ არქივი უჩუქებიათ „ესთეტიკური კვლევის შვეიცარიელ მუშაკთა წრისათვის" სადაც ორი წლის შემდეგ დაიდებს ბინას. ამ ვადის ერთი მესამედის გასვლის შემდეგ ცოტა დრო რჩებოდა. იძულებული გავხდი განცხადებებით მიმემართა საქართველოს მინისტრთა საბჭოსთვის. (თავმჯდომარეა კვლავ ნოდარ ჭითანავა), მაგრამ ისევ უპასუხოდ დავრჩი. ორი თვის შემდეგ მივიღე ახალი შეტყობინება, რომელშიაც ნათქვამია:

ამხ. ლომინაშვილს:

ჩვენი შვეიცარიელი კორესპონდენტი გვატყობინებს, რომ დაწყებული საქმე შეწყდა, რადგან ვერ მიიღეს თქვენგან აუცილებელი ინფორმაცია, მათი წერილები (4.1.89 წ. 16.2.90 წელი) დარჩა უპასუხოდ. მათ უფიქრიათ, რომ თქვენ დაკარგეთ ინტერესი ამ საქმეზე. დაწყებული საქმე შეწყვეტილია". მინისტრთა საბჭოს თანამშრომლები, რომლებიც ამ საქმის კურირებდნენ, განცვიფრებულნი დარჩნენ და მირჩიეს ერთხელ კიდევ მიმემართა ამხ. ჭითანავასათვის.

მინდა თქვენი ყურადღება მივაქციო ერთ წერილზე, რომელზეც ხელს აწერს საქართველოს კულტურის მინისტრის პირველი მოადგილე ია გამრეკელი. (წერილის № 02/2649-12 11.10.89 წ).

მთლიანად გაცნობთ წერილის შინაარსს:

„საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო გაცნობებთ, რომ გ. ტაბიძის სახლ-მუზეუმი იხსნება 1989 წლის IV კვარტალში, გრიგოლ რობაქიძის სახლ-მუზეუმი — 1990 წლის მესამე კვარტალში და გთხოვთ შეიტანოთ დამატება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 31 ოქტომბრის № 506 დადგენილების № 2 დანართში".

იქნებ მართლა გაიხსნა გრიგოლ რობაქიძის სახლმუზეუმი და მე ვერ გავიგე, ან რის საფუძველზე გამოიტანეს ეს დადგენილება, რა ჰქონდათ მხედველობაში, შეიძლება ვერ მოასწრეს დამთავრება, მაგრამ მშენებლობის ფუნდამენტი ხომ უნდა იყოს ჩაყრილი? სახლ-მუზეუმი რომ გახსნილიყო, არქივის საკითხი დიდი ხნის გადაწყვეტილი იქნებოდა.

აი, ის მოკლე ისტორია, რაც არქივის კვლევა-ძიებისას გადამხდა. გთხოვთ, ბატონებო, მიუხედავად საქართველოში შექმნილი მძიმე მდგომარეობისა, ეგებ გამონახოთ დრო გრიგოლ რობაქიძის არქივის საკითხის მოსაგვარებლად.

**როსტომ ლომინაშვილი**

# ამირანის ბრძოლა გველეშაპთან

**როსტომ ჩხეიძე**

ამირანის თქმულების ერთ-ერთი უძველესი ეპიზოდი — გმირისა და გველეშაპის ორთაბრძოლა — სავსებით სამართლიანად გააზრეს ამირანის ხელახლა შობის აქტად, რადგანაც: უშუალოდ ამ აქტის ხსოვნასა და არქაულ ნიშნებს ინახავს ურჩხულის მუცლის ტკივილებიც, მისი წიაღის გაკვეთაც და ამირანის სახის რამდენადმე დამგვანებაც ახალშობილის გარეგან სახესთან (ზურაბ კიკნაძე).

საგულისხმოა, რომ მსგავსი ვითარება ასევე მკაფიოდაა შემონახული ჰერაკლეს ძველბერძნულ მითშიც. ისიც ხელახლა იბადება ზღვის დრაკონის წიაღიდან — შიგნიდან ჭრის დრაკონის მუცელს (მშობიარობის ტკივილებს რომ გულისხმობს) და კვლავ სამზეოს უბრუნდება. ამირანისა არ იყოს, ჰერაკლესაც თმა სულ გაცვენილი აქვს ურჩხულის მუცლის ხიძხურვალისაგან და ახალშობილს ისიც ამ გარეგანი ნიშნით ემგვანება.

საერთოდ: გველეშაპი, ვინც ეპიკური ტრადიციის მიხედვით კაცობრიობის მტერია, არქაული მითოლოგიური წარმოდგენებით — გმირის დედაა. თუმცა ეს მითოლოგიური სარჩული განსხვავებული სისრულითაა შენარჩუნებული სხვადასხვა გმირთა ბიოგრაფიაში. მაგრამ უნივერსალური არქეტიპული ფუძის აღდგენა მაინც ყოველთვის ხერხდება, რადგან რომელიმე რეალია უთუოდ გაგვიმხელს არქაული აზროვნების კვალის არსებობას. თუ ასეთი დეტალი არ გადარჩენილა, უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ეპიკური ტრადიცია სრულიად მოწყვეტილა მითოსურ აზროვნებას.

უნივერსალური არქეტიპული ფუძე-სახე კი ის გახლავთ, რომ გმირი გველეშაპმა თუ არ შთანთქა და მისი წიაღის შიგნიდან გაკვეთის მერე არ გამოაღწია ისევ სამზეოზე, სხვაგვარად გამარჯვებას ვერ ეღირსება.

და აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ როცა კოსმოგონიურ გადმოცემებში უზენაესი ღვთაება ებრძვის გველეშაპს, საერთო იდეოლოგიური კონცეფციის მიხედვით, ყოვლად წარმოუდგენელია ეს უზენაესი ღვთაება ოდესმე გველეშაპის წიაღში მოხვდეს. ხალხისათვის ეს ფაქტი დაფარული, გასაიდუმლოებული უნდა იყოს, და მხოლოდ ქურუმთა ვიწრო წრემ შეიძლება უწყოდეს საიდუმლოს ნამდვილი არსი.

თვალსაჩინოებისათვის ყურადღება მივაპყროთ რამდენიმე ნიმუშს როგორც ღმერთების, ასევე გმირთა ცხოვრებიდან.

თვითონ მარდუქი, ეპიკური ტრადიციის მიხედვით, პირისპირ ებრძვის და ამარცხებს თიამათს, ისე, რომ შთანთქმა არ უწევს. ასე იცოდნენ ძველმა შუამდინარელებმა, მაგრამ ჩვენამდე მოაღწია ერთმა მაგიურმა ტექსტმა, რომელიც გაკვრით, ბუნდოვნად, მაგრამ მაინც ხდის ფარდას ქურუმთა საიდუმლოს: რომ თიამათი მარდუქის „ძუძუს მაწოვებელია“; ანუ მარდუქი თიამათის წიაღიდან იბადება.

ზევსი, ბერძენთა უზენაესი ღმერთი, ერთადერთია თავის და-ძმებს შორის, ვინც გადაურჩება საკუთარი მამის, კრონოსის (ანუ: ურჩხულის) მიერ შთანთქმას.* ასე გვარწმუნებს ბერძნული მითოლოგიის ეზოტერული ტრადიცია, მაგრამ მისი გადაყლაპვის ხსოვნას გარკვეულად ინახავს ის დეტალი, რომ კრონოსს მოატყუებენ და ზევსის ნაცვლად ქვას გადააყლაპებენ.

რაც შეეხება გმირებს: არც გილგამეშის აქადურ ეპოსში ჩანს, რომ გმირს კედარის ტყის ურჩხული, ხუმბაბა, შთანთქავდეს: გილგამეში და ენქიდუ ისე ჰკლავენ ურჩხულს, რომ მის წიაღში არცერთი არ მოხვდება. და ეს უთუოდ იმის ბრალია, რომ „გილგამეშის ეპოსი“ უკვე მოწყვეტილია მითოსურ აზროვნებას და ხუმბაბას მხოლოდ მხატვრული დანიშნულება აქვს. მაგრამ არქაულ წარმოდგენათა გარკვეული კვალი მკრთალი სახით მაინც შეინიშნება: ხუმბაბას მოკვლა და კედარის ტყის გაჩეხვა პარალელურად მონაცვლე ქმედებანია და სწორედ მათი შინაგანი იგივეობა გვიმხელს ამ კვალის არსებობას — დაბურული ტყის გავლა და მისი გაკაფვის წყალობით იქიდან თავის დაღწევა მითოსურ-სიმბოლური აზრით ურჩხულის წიაღის გამოვლის ტოლფასია.

გადაყლაპვით თითქოს არც თეზევსი გადაუყლაპავს ურჩხულს (მინოტავრს), მაგრამ გმირის ყოფნა ლაბირინთში , სადაც მინოტავრს სძლია, და იქიდან გამოსვლა — სიმბოლური აზრით — ხომ სწორედ შთანთქმასა და ურჩხულის წიაღიდან თავდაღწევას გულისხმობს.

აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკაში“ — საერთოდ, ძველბერძნული ტრადიციის მიხედვით — იასონი ოქროს საწმისის დამცველ დრაკონს მედეას ჯადოსნური წამლის შეწევნით ამარცხებს და ეპოსი მინიშნებითაც არაფერს მიგვანიშნებს იასონის გადაყლაპვაზე დრაკონის მიერ; მაგრამ შემორჩენილა ერთი იკონოგრაფიული ძეგლი, ძველი ბერძნული ლარნაკი, რომელზეც გამოსახულია, თუ როგორ ამოანთხევს გადაყლაპულ იასონს დრაკონი.

ნიბელუნგების ძველგერმანული ეპოსის გმირს, ზიგფრიდსაც, დამარცხებული ჰყავს გველეშაპი და თუმცა ეს გმირული ღვაწლი ეპოსში აღწერილი არ არის, მაგრამ თვით ლაკონური ცნობითაც — ზიგფრიდმა მოკლული ურჩხულის სისხლში იბანავა და ამიტომ შეიქნა მისი სხეული მახვილგაუმტარი — შეიძლება შევიტყოთ მათი ორთაბრძოლის არქაული, უკვე დაფარული მხარე: სისხლში განბანვაც იმავე მითოსური სიმბოლიკით, რაც გილგამეშთან დაკავშირებით ითქვა, ურჩხულის წიაღის გამოვლის ტოლფასია.

ფარნავაზის ეპიკური თქმულების გამოქვაბული და „არსენას ლექსის“ წყალიც გველეშაპის წიაღის სიმბოლური ვარიაციებია.

სხვათა შორის, ეს მითოლოგიური არქეტიპი, გამოხატული უშუალოდ გველეშაპის მხატვრული სახით თუ მისთვის ნიშანდობლივი სიმბოლური ვარიაციებით, თავს ბევრგან იჩენს და, მათ შორის, ბიბლიურ ქრონიკებშიც: ასეთია იონას გადაყლაპვა და ამონთხევა ვეშაპის მიერ, ასეთია ორმო და საპყრობილე, სადაც იოსებ მშვენიერი მოხვდება... ასეთია უდაბნო, რომლის გამოვლის მერეც უნდა დაიწყოს იესო ქრისტემ თავისი მოწამებრივი მოღვაწეობა. ჰიმნოგრაფიაში ქრისტე სულაც გველეშაპის გამკვეთის მუდმივი ეპითეტით მოიხსენიება...

ეს სიმბოლიკა კვლავაც და კვლავაც იტრიალებს პოეზიასა თუ ბელეტრისტიკაში, სავსებით გაცნობიერებული მხატვრული დანიშნულებით თუ გაუცნობიერებლად, მაგრამ ამას ნუღა გავყვებით, გველეშაპთან ბრძოლის განსაკუთრებული მხატვრულ-იდეური დანიშნულება ისედაც ნათელია, და კვლავ იმას მივუბრუნდეთ, რომ ჩამოთვლილ ნიმუშებში — თუმც ღმერთებთან უფრო სხვა მიზეზით და გმირებთან სხვა — არქაული ფორმა სრულყოფილი სახით არსად არის შენარჩუნებული:

სწორედ იმ სრულყოფილი სახით, როგორც ამირანის თქმულების ცენტრალური ეპიზოდი გვევლინება.

როგორც წარმოგვიდგა ჰერაკლესა და ზღვის ურჩხულის ბრძოლის ეპიზოდში.

და კიდევ ორი თხზულება არსებობს, განსხვავებული ეპოქისა და ჟანრისანი, რომელთაც შესაბამის ეპიზოდში მთლად ასე სრულყოფილად არა, მაგრამ სხვა ეპიკურ თქმულებებთან შედარებით უფრო შეინარჩუნეს არქაული ფორმა: ამათგან ერთი ქართული იახსარის ანდრეზია, ხოლო მეორე — ანგლო-საქსური საგმირო ეპოსი „ბეოვულფი“.

ანუ: ფორმა აქაც არქაულია, ისიც საკმაოდ მკაფიოდ გამოკვეთილი, მაგრამ სრულყოფილების მხრივ ერთგვარად მაინც განსხვავდება ამირანისა და ჰერაკლეს თქმულებებისაგან.

ღვთის შვილი იახსარი, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის (ფშავ-ხევსურეთი, გუდამაყარი) თქმულება-გადმოცემათა სახელოვანი გმირი, ცნობილია ამ მიდამოებში დამკვიდრებულ დევებთან ბრძოლითა და მათი ამოწყვეტით. ეს თქმულებანი, ზოგი ლექსად და ზოგიც — პროზად, უმნიშვნელო განსხვავებით გვამცნობენ მისთვის განსაკუთრებულად რთული ორთაბრძოლის ამბავს უკანასკნელ დევთან, რომლის მოკვლითაც იახსარმა საბოლოოდ დააგვირგვინა თავისი გმირული ღვაწლი.

იახსარის პოეტურ ანდრეზში ეს ეპიზოდი ძალზე დაწურულია, ზოგიერთი რამ მხოლოდ მინიშნებული თუ ნაგულისხმევია, თუმც შინაარსი, ყველა სიუჟეტური რგოლი — რასაც პროზაული გადმოცემა შედარებით გაშლილად გვიამბობს — დაურღვევლადაა შენარჩუნებული.

ეპიზოდი იმით იწყება, რომ იახსარი დახვრის კლდეს მოფარებულ დევს („...წამავსთხარე თვალია“), რომელიც გაქცევას მოახერხებს და აბუდელაურის (ვარიანტით: ბაზალეთის) ტბაში ჩახტომით შეეცდება თავის შველას. „კარგად სცოდნიან მაგასა აბუდელაურ ტბანია“, იახსარის პირით გვაუწყებს მელექსე და ეს „კარგად სცოდნიან“ იოლად მიგვახვედრებს, რომ დევი ტბის ბინადარია და გადასარჩენად თავის სამყოფელს ამიტომ მიაშურა. პროზაული გადმოცემა ამ ფაქტს პირდაპირ გვამცნობს: „ტბის ძირას დევების სოფელი ყოფილიყო...“

იახსარი თან გადაჰყვება დევს ტბაში, ძირამდე ჩასდევს და ბოლოს მოუღებს, მაგრამ დევის სისხლი ტბის ზედაპირს დაფარავს და იახსარს გზა შეეკვრის, ტბიდან ველარ ამოდის („იქიდან ველარ ამავე, სისხლმა გამიბნა მხარია“) იახსარის მოყმენი ცხრა წელს (ვარიანტებით: დრო არ არის განსაზღვრული) ეძებენ ოთხრქა და ოთხყურა ცხვარს, რათა ტბის თავზე დაკლან. მათ იციან (პროზაული ვერსიით: მკითხავისაგან), რომ მხოლოდ ასეთი ცხვრის სისხლის ჩადენა გახსნის ტბის ზედაპირს. მართლაც, იახსარს გზა გაეხსნება, ბროლის ქვას ამოჰყვება და ქვაზე მტრედის ალით დაჯდება („...შამავიბერტყენ მხარნია“).

მართალია, დევის წიაღში არც იახსარი მოხვდება და, ამ მხრივ, უშუალოდ ზევსისა და მარდუქის, გილგამეშის, იასონისა და ზიგფრიდის ბრძოლათა ეპიკურ გააზრებებს უფრო მოგვაგონებს, ვიდრე ამირანისა, მაგრამ გამოხატვის მხრივ იახსარის ბრძოლის გაცნობისთანავე მაინც უფრო ამირანის თქმულება დაგვიდგება თვალწინ.

აშკარაა: ტბის შეკვრა მოკლული დევის სისხლით და იქიდან იახსარის გაჭირვებით — ხანგრძლივი დროის მერე — ამოსვლა საკმაოდ რელიეფურად წარმოგვიდგენს გველეშაპის წიაღის თანდათანობითი გამოჭრის გზას, მითუფრო, რომ თვითონ ტბაში ჩასვლაც უკვე დევის წიაღში მოხვედრის ფარდია. და ეს გაორმაგებული სიმბოლიკა, თანაც რელიეფურად გამოკვეთილი, გვარწმუნებს, თუ რაოდენ მტკიცე სიახლოვეს იჩენს ეს ეპიზოდი უძველეს წარმოსახვებთან.

ფორმის არქაულობის, მისი ტრადიციის გამძლეობაზე მეტყველებს ისიც, რომ იახსარის ანდრეზი საკრალური შინაარსის ძეგლია, არადა, ამბავი იმაზე გახსნილადაა გადმოცემული, ვიდრე საკრალურობა იგუებს.

ხოლო თუ როგორ ფარავს გასაიდუმლოების ხურჯილით გამოწვეული ტენდენცია ამგვარ მოვლენებს, თვალსაჩინოდ გვიდასტურებს კოპალას ანდრეზი: კოპალასი, ვინც, არსებითად, იგივე იახსარია (მთქმელები მათ ერთმანეთისაგან არ განასხვავებენ), მაგრამ რაც მის ირგვლივ ცალკე თქმულებანი შეიქმნა, მსგავსი ეპიზოდი მკრთალადაც არსად გვხვდება.

რაც შეეხება „ბეოვულფს“, მძვინვარე ურჩხულების, გრენდელისა და მისი დედის სამყოფელი აქაც ტბის ფსკერია, სიღრმიდან ოხშივარი რომ ამოდის და სისხლიანი ტალღები ტრიალებენ.

ამ ანგლო-საქსური ეპოსის მიხედვით, გითთა უფლისწულსა და მომავალ მეფეს ბეოვულფს თავისი ცხოვრების მანძილზე სამ უზარმაზარ ურჩხულთან მოუწევს ორთაბრძოლა: გრენდელისა და მისი დედის გარდა ცეცხლისმფრქვეველ ურჩხულებთანაც. რამდენადაც გმირი მხოლოდ ერთ ურჩხულს შეიძლება ებრძოდეს, ბეოვულფის ეპოსშიც — ამირანის თქმულებისა არ იყოს — სამი ურჩხულის გამოჩენას რაღაც სხვა მიზეზი, სახელდობრ კი, ქრისტიანული სამების პრინციპი უდევს საფუძვლად.

და თუმცა ყველა ეს ორთაბრძოლა ერთნაირი მხატვრული ძალითაა წარმოსახული, თუმცა — ერთი შეხედვით — ცეცხლისმფრქვეველ ურჩხულთან შერკინებას თითქოს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, რადგან ბეოვულფი ამ ორთაბრძოლაში მიღებული ჭრილობისაგან იღუპება, მაგრამ ის ერთადერთი ნამდვილი შეჯახება გველეშაპთან მაინც გრენდელის დედასთან ბრძოლის ეპიზოდია.

გამოხატვის არქაული ფორმაც მარტოდენ აქ ამიტომაც არის შენარჩუნებული.

გრენდელის დედასთან შერკინება უშუალოდ ტბის ფსკერზე კი არ აღსრულდება, არამედ გველეშაპის ბუნაგში, სადაც გმირი ურჩხულს იძულებით შეჰყავს: „მერე ჩაბღუჯა აბჯრიანა-მახვილიანად და ბუნაგისკენ წააწიალა“. და მთელი ეს სცენა მძაფრად გვიჩვენებს ბეოვულფის გასაჭირს, მის ლამის უნუგეშო ყოფას. ვიდრე საბოლოოდ გამარჯვებას იზეიმებდეს, გმირს ჯერ თავისი მძლავრი, ბევრგან ნაცადი ხმალიც უნდა გადაუტყდეს, მუზარადიც უნდა დაეფლითოს, არაქათიც უნდა გამოეცალოს და უღონოქმნილი მიწაზე გაკრულიც უნდა აღმოჩნდეს ურჩხულის მიერ...

ურჩხულის ბუნაგის სიმბოლური მნიშვნელობაც ცხადად და რელიეფურად ჩანს და ორმაგი სიმბოლიკის (წყალი და ბუნაგი) არსებობაც: იახსარის ანდრეზივით. და თუმცა ორთაბრძოლის მსვლელობა რაინდული რომანის სტილით უფროა შესრულებული, მაგრამ სიტუაციის საერთო შინაარსი სწორედ მის არქაულ საწყისს გვიმჟღავნებს.

ბუნაგში გადატანილი წვალება და დროებითი მარცხის განცდა ხომ სხვა არაფერია, თუ არა გველეშაპის წიაღში მოხვედრა.

და როცა ბეოვულფი ორთაბრძოლაში სძლევს ურჩხულს ბუნაგის კედლიდან ჩამოგლეჯილი გოლიათთა ნაქონი და მათივე ჯადოთი შელოცვილი მახვილით — „დაჰკრა კისერზე, რაც შეეძლო, ძალა რაც კი შემორჩენოდა, ძვალი, რბილი ერთად გაჰკვეთა, ქვე დაენარცხა გველეშაპის გრძნეული დედა“ — ბუნებრივია, ამით ყველაფერი არ მოთავებულა: ბეოვულფმა ჯერ თავი უნდა დაალწიოს ურჩხულთა ბუნაგს და მერე სისხლით გაულენთილი ტბაც ამოვლოს —

ბეოვულფმა, ცხარე ბრძოლებს
გადარჩენილმა,
ამოსცურა, გამოერიდა
გველეშაპთა მდუმარე გვამებს;
წყალი გახდა მშვიდი, კამკამა,
ტბა დაწყნარდა უზარმაზარი,
რადგან დემონებს ბოლო
მოეღოთ.

ბეოვულფი იახსარივით ამოდის ტბიდან და ისიც ხომ თვალნათლივია, რაოდენ მსგავსია ამ ორივე ძეგლში სიტუაციათა გარეგნული მხარე თუ შინაგანი სტრუქტურა.

ეს მკაფიო ტიპოლოგიური მსგავსება უკვე აღნიშნულია ჩვენს ლიტერატურაში: ვგულისხმობ ოთარ ჩხეიძის ბიოგრაფიულ რომანს ვასილ ბარნოვზე; იქ მსჯელობას თავისი ბუნებრივი სადინარი აქვს, აქ კი ეს დაკვირვება შემდგომი განზოგადებისათვის გამოგვადგება .

„ბეოვულფიცა“ და იახსარის ანდრეზიც, თავიანთი აღნაგობით: სიმბოლიკის გაშლითა და უფრო ღრმა ნიუანსობრივი სიახლოვით არქეტიპულ პირველსახესთან, წარმოგვიდგება ერთგვარ გარდამავალ საფეხურად, ერთი მხრივ, ამირანისა და ჰერაკლეს და, მეორე მხრივ, დანარჩენი ეპოსების გმირებს შორის — თითქოს მითოსური აზროვნებიდან თანდათანობითი დაცილების საფეხურებს ჰქმნიანო. ასე შთამბეჭდავად გამოიკვეთა ამ საერთო ფონზე ამირანის თქმულების ვერსიებში არსებული გველეშაპთან ბრძოლის ეპიზოდის არქაული, მითოსური წარმომავლობაცა და გაფორმებითაც ეპიკურ გააზრებათა შორის სწორედ ყველაზე უძველესი ფორმის შენარჩუნება. და კიდევ ერთი რამ გახლავთ განსაკუთრებით საგულისხმო: ამირანის ბიოგრაფიის ეს მნიშვნელოვანი მოვლენა სრულიად არ არის გასაიდუმლოებული. საკრალურობის რაიმე გავლენა რომ ეტყობოდეს, გმირის ყოფნა გველეშაპის მუცელში ასე გაშიშვლებულად ხომ არაფრისდიდებით არ წარმოგვიდგებოდა.

და ეს ფაქტი უთუოდ მეტყველი საბუთია იმის მტკიცებისას, რომ ამირანი თავდაპირველად ერთ-ერთი ღმერთი კი არ ყოფილა და თანდათანობით — საკრალური სამოსელის შემოძარცვის შედეგად — გადაქცეულა ადამიანად, არამედ ჯერ ადამიანი გახლდათ და, როგორც გამორჩეულმა გმირმა, შარავანდედით შემოსვასთან ერთად თანდათანობით შეიძინა მოკვდავი და აღდგენადი ღვთაების ნიშნები.

მაგრამ ამ ნიშნებით შემკობის მიუხედავად, ამირანი ხალხის ხსოვნაში ბოლომდე გმირად დარჩენილა და ხატად ამიტომ არ გადაქცეულა, ნიში ან სამლოცველოც ამიტომ არ დაუარსებიათ მის სახელობაზე.

ამრიგად: ხელშესახებად დასტურდება ოთარ ჩხეიძის ინტუიციური მიხვედრა ძირითადად დაფუძნებული ამირანის სახის ზოგადი შინაარსის გააზრებაზე („მთქმელებს აამაყებთ მორიგეს წინააღმდეგ ამბოხებული ადამიანი; ამიტომაც დასტოვეს ის ადამიანად, ხატად არ აქციეს, როგორც კოპალე და იახსარი, თუმცა მათზე ბევრად მეტ მდევსა და გველეშაპს მოუღო ბოლო. ის გმირად დარჩა, სიმბოლოდ მარადიული სიკეთისა, ოღონდ თუ აიშვა...“). და კიდევ — სრულებითაც არაა აუცილებელი, ამირანი შუა საუკუნეების საფალავნო რომანის გმირი იყოს, მისი სახელობის ნიში, სამლოცველო, ხატი რომ არ არსებობდეს და. ამასთან, არც გარკვეული არეალი, ლანდშაფტი ინახავდეს მისი მოღვაწეობის კვალს.

კოპალასა და იახსარის გმირული მოღვაწეობის კვალი იმიტომ კი არ არის დღესაც მკაფიოდ აღბეჭდილი ფშავ-ხევსურეთის ტერიტორიაზე, რომ მათი ანდრეზები ამირანის თქმულებაზე ბევრად გვიანდელია და კვალი არ დაკარგულა: აქ ადრეულობა-გვიანდელობა არაფერს წყვეტს. უბრალოდ, იახსარი და კოპალა სხვა რანგის მოვლენებია, ვიდრე ამირანი.

# საქართველო, ტფილისი

## საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

## საპასუხო წერილი მ. დ. ორახელაშვილს

## ლეო რუხაძე

8. „კომუნისტის" 130-ე ნომრიდან გავიგე, რომ ნაციონალიზაციის გამო მთელ ამ. კავკასიაში გადაუჭარბებლათ ხულ... 151 კაცი. იმავე წერილიდან ვტყობილობ, რომ რკინის გზის მოწაფეობის ეროვნულ სკოლებში „სწავლება იქნება სახელმწიფო ენაზე, სავალდებულო იქნება ოქტომბრის რევოლუციის ენის შესწავლა. რაც შეეხება ოთხწლიან საალმშენებლო ტეხნიკუმებს, საალმშენებლო ელექტრო-ტეხნიკური და მექანიკური განყოფილებებით, რომელიც ტფილისში იმყოფება, იქ სწავლება იქნება რუსულ ენაზე, სავალდებულო იქნება ადგილობრივი ენების შესწავლა". კიდევ კარგი, რომ საზაგირდოში ქართულათ ასწავლიან. მაგრამ საინტერესოა ოთხწლიან ტეხნიკუმში რატომ უნდა რუსულზე იქნეს სწავლება? ამას მოითხოვს პეშმარიტი ინტერნაციონალიზმი, სალი პედაგოგიური მოსაზრება, თუ იქნებ კულტურულათ დაქვეითებაც, ქართველი ერის ჩამორჩენილი ენა ვერ ასწვდება ოთხწლიან ტეხნიკურ სასწავლებლის მეცნიერულ მწვერვალებს?!

9. ხანდახან გაზეთი ასეთ სენსაციებს გვატყობინებს: თანამოხსენება (СОДОКЛАД) საქართველოს კომპარტიის ყრილობაზე კოოპერაციის შესახებ ვ. კანდელაკმა ქართულ ენაზე წაიკითხაო. ანდა კიდევ ტფილისის საბჭოს პლენუმზე არჩ. რუხაძის მოხსენების რეზიუმე ქართულათ გააცვნეს კრებასო. ასეთი ამბები მართლაც რომ სენსაციაა და აღსანიშნავიცაა გაზეთის ფურცლებზე. ბარაქალა, რა შორს წასულა საქართველოს სუვერენობა და რა შესანიშნავი ნაყოფი გამოუღია კომპარტიის XII ყრილობის რეზოლუციებს!.

10. „ზარია ვოსტოკას" ცნობით პროლეტარულ სტუდენტობის კონფერენციას დაუდგენია, რომ ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინერო ფაკულტეტიც დაიკეტოს და „გადატანილ იქნას ბაქოს რუსულ პოლიტეხნიკუმში. დავიჯეროთ, რომ ეს დაუჯერებელი ამბავი მართლაც მოხდება?!

11. საქართველოში შემდეგნაირათ გაუნაწილებიათ სტიპენდიები: (ჟურნალი „დროშა" № 9) რუსეთში — 100 სტუდენტი, თითეულს — 50 მ. = 5000 მ., ევროპა-ამერიკაში — 28 სტუდენტი, თითეულს 50 მ. = 1400 მან. ტფილისის უნივერსიტეტში და პოლიტეხნიკუმში 200 სტუდენტი, თითეულს 20 მან. = 4000 მან; ტფილისის უნივერსიტეტთან პროფესორებათ მოსამზადებლად — 7 სტიპენდია, თითეულს 20 მან. = 140 მან. აქ ყველაფერი გასაოცარია: რატომ 5000 მ. რუსეთის უნივერსიტეტებში (სადაც თვით რუს სტუდენტობისათვისაც აღარ მოიპოვება ადგილი და ათი ათასობით გარეთ მიერეკებიან), საქართველოს სტიპენდიანტებს და საქართველოში კი — 4000 მანეთი? მგონი უკვე ყველასათვის უდავოა, რომ ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი არავითარ შემთხვევაში არ ჩამოუვარდება თავის რუსეთელ თანამოძმეებს. ჯერჯერობით უმაღლესი ტეხნიკური სასწავლებელიც არის ტფილისში. რუსულ ენაზევე არსებობს კომუნისტური უნივერსიტეტიც. თვით რუსეთი ევროპაში გზავნის სტუდენტებს უფრო მაღალკვალიფიკაციისათვის. და რა მოხდა ისეთი, რომ გერმანულ-ფრანგულ-იტალიურ-ინგლისურ-ამერიკული მეცნიერება სულ 1400 მ. გვეყოფა თვიურათ, ხოლო რუსული კი 5000 მ. გვჭირია?! ამას ისიც დაუმატეთ, რომ ერთი მუშა საქართველო ინახავს რუსულ პოლიტეხნიკუმს და ნაწილობრივათ რუსულ კომუნისტურ უნივერსიტეტს. ან რომელი ანგარიშია, რომ რუსეთში წამოსული სტუდენტი ფოთელი მუშა, ან ლანისელი გლეხი თვიურათ მიიღებს 50 მ., ხოლო ტფილისში კი მანვე მხოლოდ 20 მ. უნდა მიიღოს. განა დღეს ვისმესთვის საეჭვოა, რომ ამ უკანასკნელ წლებში მდგომარეობა ისე დატრიალდა, რომ ტფილისში მეტი სიძვირეა, ვიდრე რუსეთში? ან განა 7 სამეცნიერო სტიპენდიის დანიშვნა 117 წლის საშინელ ეროვნულ-კულტურული ხარვეზის შემდეგ, დაცინვას არ წააგავს?.. რა ურყევი, მარადისი და ჭაბუკია ძველებური მარქსიზმი და მოხუცი მარქსი — ხალხს, რომელსაც ეკონომიური და პოლიტიკური უფლებები აეყარა, აღარც ეროვნული კულტურა შერჩებაო. მოქალაქე გ. საფაროვის წიგნი „ნაციონალური საკითხი და პროლეტარიატი" ამ დღეებში წავიკითხე:

«Стремясь создать культурную общность на почве территориально - политического объединения, религия кладет в основу этого культурного объединения общий язык церковных богослужений, общие обряды, одинаковую церковную организацию. Латынский язык католической церкви, церковнославянский язык православия, древне-еврейский язык иудаизма, арабский язык ислама X одинаково служат средствами овладения разноплеменными и разноязычными массами. «Царствие небесное» строится по образу и подобию земных королевств, со строгим подчинением низших высшим». (გვ. 17).

დამეთანხმებით პატივცემულო მამია, რომ დღევანდელ კომუნიზმის ხელმძღვანელთა მოვალეობაა ისე წარმართონ საბჭოთა პოლიტიკა, რომ მომავალ ისტორიკოსს არ ექნეს საფუძველი ამ ზემომოყვანილ კონტექსტში, იქ სადაც ნიშანია ჯვარით, (X) ჩაუმატოს: «И русский язык октябрьской революции».

12. ნეტავ უკვე ფორმალურათაც ხომ არაა გაუქმებული საქართველოს „სოვნარკომი", ვინაიდან მისი მოღვაწეობის შესახებ გაზეთებში ამ ბოლო დროს თითქმის არაფერი ჩანს, სამაგიეროთ კი ხშირათ ვხვდებით ასეთ ცნობებს: ამ. კავკ. სოვნარკომი ახალციხეში სამეურნეო სკოლას ხსნის, ამდენი და ამდენი ათასი გადაუგზავნა თავის სტიპენდიანტებს ევროპაშიო. და სხვა ამის მზგავსი აქტები, რომელიც კონსტიტუციის ძალით თითქოს საქართველოს მთავრობის კომპეტენციას შეადგენდა?

13. მიგაჩნიათ თუ არა პატივცემულო მამია, მეტათ უხერხულათ პირადათ თქვენი მდგომარეობა იმის გამო, რომ ფორმალურათ ითვლებით ს.ს.რ.კ-ის „სოვნარკომის" წევრათ, ფიზიკურათ კი შეუძლებელია თქვენთვის მონაწილეობის მიღება საკავშირო მთავრობის საქმიანობის მორალ-ურ-პოლიტიკურათ კი პასუხისმგებელი რჩებით. ამავე დროს დამეთანხმებით, შეუსაბამობაცაა ასეთნაირი სტრუქტურა, როდესაც საკავშირო მთავრობაში წევრთა და თვით თავმჯდომარის მოადგილეთ ითვლებით თქვენ და პარალელურათ თქვენთან ერთად ამ საკავშირო მთავრობასთან იმყოფება თქვენ მიერ ხელმძღვანებულ ამ.კავკასიის მთავრობის წარმომადგენელი. აშკარაა ეს ნაძალადევობა გამოწვეულია იმით, რომ ოდნავ მაინც შელამაზდეს ის არა საკმაოთ ლამაზი საქმე, რომ ს.ს.რ.კ-რი ფაქტიურათ იგივე რუსეთია და კალინინ-რიკოვი მართავენ როგორც ერთს, ისე მეორეს. და სწორეთ ამ [illegible]ხევედრილების რამოდენიმეთ შესახსუხტებლათ თქვენ და მოქ. ჩუბარიც რიკოვის მოადგილეებათ ბრძანდებით ჩარიცხული. მაგრამ ეს ხერხი ხომ, როგორც რუსები იტყვიან, ნამეტანი თეთრი ძაფებითაა ნაკერი.

14. საქართველო ევროპის მიერ უპირობოთ იყო ნაცნობი, ამრიგად, მას სავსებით შეაწიეს როგორც ყოფილი მეტროპოლიის ვალის ხვედრი ნაწილი, აგრეთვე ნაციონალიზაციით მიყენებული ზარალიც (მარგანეცი, ტყიბული, უცხოეთის იპოტეკური ვალები: გაგრა-ბორჯომ-აბასთუმან-ანანოვის და სხვა). როგორც მოსალოდნელი იყო სსრკ-ი იხდის ყოველგვარ ვალებს. საინტერესოა საკავშირო დელეგაცია აქვითებინებს თუ არა ვალების საერთო ჯამიდან საქართველოს ხვედრს ევროპის კაპიტალისტებს, საერთოთ იქნება თუ არა საქართველო თავისუფალი ამ ვალებისაგან, თუ 1921 წლის გასაბჭოება ქართველი მუშებისა და გლეხებისათვის გადაიქცევა ამ მხრითაც მრავალმილიონიან მძიმე ბეგარათ?

15. ბევრი იწერება გზებზე. ზოგს ჩოხატაურში გაყავს რკინისგზა, რაუდენ კალაძეს წყალტუბოში, კიდევ ვიღაცას ცხინვალში და სხვ. ამგვარი ფანტაზიები ისიც დღეს, როდესაც უკვე შევედით მტკიცე ბიუჯეტისა და ანგარიშიანობის ხანაში? თითქოს საკმარისი არ იყო ოზურგეთის პოლიტაგიტაციის რკინისგზის მაგალითი. განა სადავო და საკამათოა ის დებულება, რომ თუკი საქართველოში რაიმე სარკინისგზო ამშენებლობის შესაძლებლობა არის, რომ პირველ რიგში უნდა გაგრძელებულ იქნას: ა) ბორჯომის გზა ახალციხისაკენ და იქეთ (რასაკვირველია, იმ პირობით, თუ აღმოსავლეთთან „სმიჩკის" საფასურათ ახალციხეც გამზადებული არ არის ანგორისათვის მისაფეშქაშებლად), ბ) ხეთის გზა სოხუმისაკენ, ჯერჯერობით ოჩამჩირემდე მაინც, და ეს იმ შემთხვევაშიც კი, რომ არა მარტო აფხაზეთი, არამედ საქართველოც კი გამზადებული იყვეს ფორმალურათაც რუსეთისათვის საანექსიოთ, გ) და მესამე — გაგრძელება კახეთის გზისა ლაგოდეხ-ზაქათალისკენ, ან შირაქ-ზაქათალისკენ და ესეც იმ შემთხვევაშიდაც კი, რომ სიღნაღის მაზრაც უკვე განწესებული იყვეს აზერბაიჯანზე მისაჭრელათ (რასაკვირველია, აქ არ ვლაპარაკობ ასეთ დიდმნიშვნელთვან, უაღრესათ საჭირო, მაგრამ მძიმე საქმეზე, როგორიც არის საუღელტეხილო გზა). დიახ, ფრიად საჭირო და მნიშვნელოვანია ახალციხე-აფხაზეთ-ლაგოდეხის გზები არა მარტო კუთხური მიდგომით, არამედ მთელი საქართველოს, ამიერკავკასიისა და სრულიად საკავშირო ინტერესებისათვისაც. და ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ თუკი რაიმე გადარჩა ბაქო-ჯულფის გზას ამ. კავკ. რკინისგზის დანგრეულ მეორე ლიანდაგიდან და ამ.კავკ. „სოვნარკომის" ფინანსური შესაძლებლობიდან, სწორეთ ზემოხსენებულ გზების გაგრძელებას შეუდგებით.

16. გასული წლის განმავლობაში დახურული ეკლესიების რიცხვი საქართველოში, როგორც ამას ცომსომოლი აცხადებდა, 1800-მდე ავიდა. საოცარი მოვლენაა! მთელ სსრკ-ში რომელსაც უმრავს მხოფლიოს მეექვსედი, ყველა რჯულისა და სარწმუნოების: სამლოცველოები, ეკლესიები, კასტელები, მეჩეთები, სინაგოგები — ყველა ერთად აღებული არ დახურულა და დანგრეულა იმის ნახევარიც კი რაც ჩვენს პაწია საქართველოში. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს მოვლენა მოწმობს ქართველი ხალხის ფენომენალურ კომუნისტურ შეგნებას, მაგრამ ამ „მხურვალე" რწმენას რამოდენიმეთ ანელებს და აეჭვებს ის ფაქტი, რომ ქართველი ხალხი უცხოელთა უძიძაოთ ვერ ხელმძღვანელობს ვერც თავის კომპარტიას, ვერც პროფკავშირებსა და ვერც სახელმწიფო აპარატს. და უნდა მოგახსენოთ (იმედია ამას კლერიკალობათ არ ჩამომართმევთ), რომ დღევანდელ ეკონომიურ და ფინანსურ მდგომარეობაში თეატრებისა და სახალხო სახლების შენების ის ეპიდემია, რომელიც ჯერჯერობით ქუთაისის სობოროსა, ხონის მაცხოვრისა, სენაკის ეკლესიისა და სხვა საყდრების ნგრევაში გამოიხატება, სრული უაზრობა და სიგიჟეა. მით უმეტეს სრული ანგარიშიანობა ჩვენში ჯერ არ არის შემოსული და ღრმად მწამს, რომ სანამ ტაძრების ნგრევას დაამთავრებდენ, მოუსწრებს ნამდვილი ანგარიში და დანგრეულების აშენება შეუძლებელი შეიქნება. ქართველ ხალხს არ აქვს ეხლა ამის წელი და ისიც ამ მოსალოდნელი შიმშილის დროს. (ქუთაისი კი ყოფილი ცენტრი დასავლეთ საქართველოისა, დღეს მხოლოდ სამაზრო ქალაქათ დარჩა, მოსახლეობა შეუმცირდა და უმცირდება და მას, რასაკვირველია, იოლზე იოლათ შეუძლია წავიდეს ძველი საზოგადო შენობებითაც). საერთოდ კი სამაზრო-საამშენებლო პროექტიორობას ძლიერის ხელით უნდა შეეკვეცოს ფრთები. მაგალითად, სამწუხაროდ, სულ მალე დარწმუნდება საქართველოს „სოვნარხოზი", რომ რუსეთის მიერ მოძღვნილი ქუთაისის საქსოვი ქარხანაც ობიექტიურათ მითიური ტროიანელი ცხენის როლს ითამაშებს საქართველოს ფინანსებისათვის. მგონია, რომ ასეთივე აუწონელ-გაუზომელათაა დაწყებული თქვენ მიერ ბარდაკრული აბაშის ელექტროსადგური, რასაკვირველია კახეთისა და სხვა მრავალი ამგვარი წამოწყებანიც, და ვფიქრობ, რომ ბარაქალა იქნება თუ კი შესძლებთ მთელი თქვენი ფინანსური საშვალებებით, რომ დაასრულოთ ზემო ავჭალის მართლაც დიდმნიშვნელოვანი წამოწყება. და თუ კი რაიმე საალმშენებლო შესაძლებლობა და რესურსები მოიპოვება, ჩვენი სოფლებისა და მაზრებისათვის განა დღეს არის კიდევ იმაზე უმნიშვნელოვანესი საქმე, ანუ როგორც ეხლა მიღებულია — ფრონტი, ვიდრე სასოფლო-სამეურნეო კულტურის აღმავლობა (მელიორაცია, მიწათმოწყობა, თესლის შერჩევა, საქონლის ჯიშის გაუმჯობესება და სხვა)?

17. უკვე დიდი ხანია საშინელი ცნობებია საქართველოს გაზეთებში მოსავლის შესახებ და საოცარია ის, რომ არაფერი ნიშნებია იმისი, თუ ამ მოსალოდნელი კატასტროფის საწინააღმდეგოთ რაიმე სერიოზული მზადება იყოს (მმართველ წრეებში. ერთხანს მეგონა, შეიძლება აქ, მოსკოვშია გაერთიანებული მზრუნველობის საქმე-თქო, მაგრამ, აი, სწორეთ დღეს წავიკითხე რიკოვის განცხადება ს.ს.რ.კ-ში ნაწილობრივ მოუსავლობის შესახებ და რატომღაც სამზრუნველო ადგილებში არ არის მოხსენებული საქართველო და აზერბაიჯანი, რომელნიც, როგორც ჩანს, ყველაზე საშიშ მდგომარეობაში არიან ამ მხრით.

თქვენს წერილს, სხვათა შორის, შემდეგი სიტყვებით ათავებთ — პერსონალურათ სოციალდემოკრატების მიმართ არ განვიცდი არც აგრესიობისა და არც შურისძიების გრძნობასაო. გულახდილათ უნდა მოგახსენოთ, რომ ვერავითარი მიდგომით ვერ გავიგე: რა მორალურ-პოლიტიკური საბუთი და პსიხოლოგიური სარჩული უნდა ქონდეს თქვენ და თქვენი მეგობრების ჩვენდამი შურისძიების გრძნობას!! ვფიქრობ, რომ აქ მხოლოდ წინააღმდეგზე შეიძლება ლაპარაკი. და მე კი გარწმუნებთ (თუმცა ამას თქვენთვის აბა რა რეალური მნიშვნელობა უნდა ქონდეს!), რომ მიუხედავად იმ საშინელებისა, რომელიც ქართველ ხალხს დაატყდა თავს თქვენი და თქვენი მეგობრების კოშმარული შეცდომით, მიუხედავად ამისა, არ განვიცდი შურისძიების გრძნობას და არც პერსონალურათ გისურვებთ საერთოთ არაფერს ცუდს. და ასეთია ჩემი გრძნობა და განცდა იმიტომ, რომ დარწმუნებული ვარ შემდეგში: ქართველ ხალხის ოდესღაც საკმაოთ მაღალი ეროვნული მეობისა და შეგნების ლირსება რაოდენიმე საუკუნის განმავლობაში დააბნელეს ველურმა დამპყრობლებმა და მასშიდ აზიური ხანურ-ბეგური საერისთაო ბრძოლა და სისხლის აღების მეთოდები გაამეფეს. გახანებული მოსისხლე „ერისთავები" ხან შახს იხმარიებდნენ და ხან ხონოქარს. ამ უკანასკნელ მთეულ წლებში ქართველი ერი კვლავ აღორძინდა მუშათა კლასის მეთაურობით რევოლუციისა და სოციალიზმის დროშის ქვეშ. ის მოვლენა, რომლის მონაწილე შეიქნა ამ უკანასკნელ წლებში თქვენი ჯგუფი, არის რამდენიმეთ უკანასკნელი ისტორიული ანტიეროვნული რეციდივი. ღრმად მწამს, რომ მომავალში, ადრე თუ ცოტა გვიან, თქვენ და თქვენი დღევანდელი თანამგრძნობნიც ამ დიდ და მწარე გაკვეთილის შემდეგ, რა სოციალურ-პოლიტიკური რწმენისაც არ უნდა დარჩეთ, პატარა კულტურული ქართველი ერის და მისი მშრომელი კლასის კანონიერი, ღირსეული და საჭირო ნაწილი იქნებით...

მაპატიეთ, ამ გრძელი წერილით ესოდენ შეგაწუხეთ თავი.

პატივისცემით ლეო რუხაძე.
რუსეთი. ვლად. გუბ. ქ. სუზდალი. სამონასტრო, საპყრობილე. საკანი № 32. 8 ივლისი 1924 წელი.

დასასრული. დასაწყისი იხ. „ლიტერატურული საქართველო" № 1, № 5-6.

გია ლომაძე




## „ქალაქს რომ სტუმარი ყავდა...“

დილის რვა საათიდან გადაიკეტა ქალაქის ცენტრალური ქუჩები და უმალ ჩაიხერგა გარეუბნები ავტომანქანებით. გადაიკეტა ქალაქში შემოსასვლელი და გასასვლელი ყველა მაგისტრალი. მილიციელთა მიერ შებოჭილ აეროპორტისკენ მიმავალ მაგისტრალზე, სკოლის მოწაფეებით გადატენილ ავტობუსებს შორის, კრეისერული სისწრაფით მიჰქროდნენ გრძელნომრიანი შავი ვოლგები და ავტოინსპექციის ყვითელი მანქანები...

აეროპორტის ცარიელ შენობაში ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი მოცეკვავეები გაემზადებინათ უკვე; ვერცხლით ნაჭედ ქარქაშებში, უშიშროების მუშაკთა კატეგორიული მოთხოვნით მუყაოს ხანჯლები ედოთ. გარეთ კი ასფალტზე გაფენილ წითელ ხალიჩასთან საპატიო ყარაული გაშეშებულიყო და სამხედრო ორკესტრი რეპეტიციას გადიოდა. გარინდულნი, თითქოს ბრძანება სმენაზე, გამწკრივებულიყვნენ სამგზავრო ლაინერები; ყველა რეისი გადადებული იყო გაურკვეველი დროით და აეროპორტის შენობის გარეთ გაყვანილ, ნახირივით ერთად შეკუჩებულ მგზავრებს წითელ ალმებსა და თაიგულებს ურიგებდნენ. ნახირის მოდარაჯე ქოფაკებივით ტრიალებდნენ მათ ირგვლივ მილიციელები...

ქალაქში კი, პოლიტექნიკური ინსტიტუტის შენობასთან, მოედანზე ერთ ღამეში სოკოსავით ამოზიდულიყო ტრიბუნა-პავილიონი მაღალი სტუმრისთვის და მის თანმხლებ პირთათვის. ტრიბუნის უკან და მოედნის ირგვლივ განლაგებულ შენობათა სახურავებზე უშიშროების სამსახურის მეთვალყურენი ჩამწკრივებულიყვნენ. ტრიბუნის უკან მდგომი შენობის პირველ სართულზე მდებარე პურის მაღაზიის საპირფარეშოდ გადაკეთება მთავრდებოდა; ხუთნი მუშაობდნენ, ოცამდე ხელმძღვანელი მუშაკი თავზე ადგათ სერიოზული, შეშფოთებული სახეებით — ცხრა საათზე საპირფარეშო ახაკოვანი მაღალი სტუმრისთვის მზად უნდა ყოფილიყო; ვინაიდან სხვა უამრავ გასაიდუმლოებულ დაავადებებთან ერთად თირკმელები და პროსტატა აწუხებდა გენერალურ სტუმარს. შარდის შეუკავლობა სჭირდა და საპირფარეშოს სიახლოვე აუცილებელი პირობა იყო მისი სადმე გამოჩენისა, თანაც ეს ერთადერთი იყო, რასაც იგი თვითონ, სხვის დაუხმარებლად ახერხებდა..

მოედანზე ასთვრამეტ ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი ექვსასი მოცეკვავე რეპეტიციას გადიოდა; წრიულ ცეკვას ასრულებდნენ ხელიხელ ჩაკიდებულნი. რაც რეჟისორის ჩანაფიქრით ურღვევ ძმურ კავშირს და იმპერიის ქვეშევრდომ ხალხთა ერთობას განასახიერებდა. ვეება ხმისგამაძლიერებლებიდან გადმოღვრილ გარმონის ჭყვიტინს დოლის სათქაზუთქი ცვლიდა და შიგადაშიგ რეჟისორის მკაცრე, მოკლე, სხარტი ბრძანებები ისმოდა თითქოს ძაღლების წვრთნისას. რეჟისორი მთავრობის პავილიონ-ტრიბუნაზე იდგა და სტუმრის თვალით უყურებდა მოედანს; ექვსასი მოცეკვავე ასთვრამეტ ეროვნულ ტანსაცმელში ხელიხელჩაკიდებული უვლიდა ბუქნას მოედანზე და მოედანი ზემოდან ჭრელ, ნახატებგაცოცხლებულ, ამობურცულ ხალიჩას გავდა..

ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში კი, სადაც საზეიმო კონცერტი უნდა ჩატარებულიყო, რეჟისორს წყლით და ნიშადურით ასულიერებდნენ. სცენაზე სამი მსახიობი ქალი იდგა, სამივენი თავიანთი ამალით გარშემორტყმულნი, სახეაწითლებულები მძიმედ სუნთქავდნენ და ხანდახან თავიანთი მეტოქეობის და კონფლიქტის შედეგს, სავარძელში გადაწოლილ, თავგადავარდნილ რეჟისორს ჩამოჰყურებდნენ. კონფლიქტის არსი შემდეგში იყო: სამივე მსახიობი ქალი ითხოვდა ცეკვა „კინტოურში“ მთავარი სოლო პარტიის შესრულების უფლებას. რეჟისორის ჩანაფიქრით სოლო პარტია ქალს უნდა ეცეკვა; სოლო ერთი იყო, პრიმადონა სამი, სამივე სხვა და სხვა თეატრიდან და ყოველი თეატრის დასი თავის წარმომადგენელს უჭერდა მხარს, ვინაიდან კომუნისტური იმპერიის მმართველის თვალწინ შესრულებული სოლო პარტია ცეკვა „კინტოურში“ თავისი თეატრის პრესტიჟად და შემოქმედებით გამარჯვებად მიაჩნდათ. კონფლიქტი მეტად სერიოზული იყო. სამივე თეატრის მსახიობები მოჩხუბარი ძაღლებივით აძაგრულიყვნენ და, საერთოდ, მთელი ღონისძიების დასკვნითი ნაწილი ჩაშლის საფრთხის წინაშე იდგა. ცეკას კულტურის განყოფილების წარმომადგენელი, რომელიც მეთვალყურედ იყო დანიშნული ამ ღონისძიებაზე, გაფითრებული დატრიალებდა თავს გულწასულ რეჟისორს; არ შეეძლო და არც ჰქონდა უფლება, ეს კონფლიქტი გადაეწყვიტა და სამ პრეტენდენტს შორის მთავარი კინტო მას აერჩია. მალიმალ გარბოდა მისთვის დათმობილ დირექტორის კაბინეტში და ცეკაში თავის განყოფილების უფროსს ურეკავდა: „რა ჰქენით, მელიტონოვიჩ?“ —. მისი უფროსიც დამფრთხალი იყო ამ მოულოდნელი გარემოებით და პირველის გარეშე საკითხის გადაჭრას ვერ ახერხებდა.

[...]ვებულია! — თითქოს უშუალოდ ხელმძღვანელთან დარეკოს, ისეთი იერით ამბობდა კულტურის განყოფილების მუშაკი და ის ფაქტი, რომ უშუალოდ პირველს უნდა გადაეწყვიტა ეს კონფლიქტი, კიდევ უფრო ამძაფრებდა ვნებათა ღელვებს... ბოლოს და ბოლოს, ზემოდან მოკლე პასუხი მოვიდა, მოკლე და ლაკონური: „კინტოური მთლიანად იცეკვონ მამაკაცებმა, ხოლო ჩვენმა სამივე საამაყო მსახიობმა ქალმა შეასრულოს ცეკვა „სამაია!“— და იმწამსვე დაზავდა სამივე დასი. — ბრძენია! ბრძენი! — ქვეშევრდომული სიამაყით ყველას გასაგონად ჩაილაპარაკა გაცოცხლებულმა რეჟისორმა და კულტურის მოღვაწეთა სახეებს სიამაყის ღიმილმა გადაურბინა...

გარეთ კი, ქალაქის ქუჩებში, სავარაუდო მარშრუტის გასწვრივ ცნობისმოყვარე ქალაქელებით ივსებოდა ტროტუარები. კომკავშირელი აქტივისტები წითელ, პატარა ალმებს აჩეჩებდნენ ხელში. შენობების ფასადებზე სახლმმართველობის მუშაკები საკავშირო და რესპუბლიკის დროშებს ამაგრებდნენ...

ქალაქის მილიციის მუშაკებს წინა ღამითვე დაეკავებინათ ლოთები, მაწანწალები და ახლა მიწისქვეშა გადასასვლელებში ბოშა ქალებზე ნადირობდნენ. წივილ-კივილით და ჩოჩქოლით სხამდნენ მილიციის საბადრაგო მანქანებში. ყველა იზოლატორი გადატენილი იყო უკვე და ახლად დაკავებულები მილიციის სამმართველოს ეზოში მოჰყავდათ. ლოთები ჩუმად, ჯგუფ-ჯგუფად ისხდნენ სამმართველოს ეზოში. მაწანწალები კედლებთან მიყრილიყვნენ და ეძინათ, ბოშები ყაყანით არჩევდნენ საქმეებს და ყოველ ახალ მიყვანილ ბოშას ყივილ-ხივილით ხვდებოდნენ. ქალაქში დიდი სანიტარული დღე იდგა...

შუადღე დადგა. მოლოდინმა კულმინაციურ წერტილს მიაღწია. აეროპორტიდან მომავალმა ავტოინსპექციის მანქანებმა იმატა. ყოველი მანქანის გამოჩენას ქუჩების გასწვრივ მდგომი მოქალაქენი ჟრიამულით ხვდებოდნენ: — „ჩამოვიდა! ჩამოვიდა!“ ისმოდა აქა-იქ...

ოთხ საათზე აეროპორტისკენ კრეისერული სისწრაფით ჩაიქროლა რესპუბლიკის ხელმძღვანელის „ჩაიკამ“, უკან საპატიო მანძილზე შავი „ვოლგების“ მწკრივი მიუყვებოდა, რაც უდავოდ იმის მაუწყებელი იყო, რომ მაღალი სტუმარი კომუნისტური იმპერიის დედაქალაქიდან გამოფრინდა. ქუჩები გამოცოცხლდნენ; აივნებზე ხალხი გადმოდგა. ზოგი ქალაქელი გენერალური მდივნისადმი მიძღვნილ უწყინარ ანეკდოტს ყვებოდა. შორიახლო მდგომ მილიციელებს თითქოს არ ესმოდათ, მაგრამ ღიმილს ძლივს იკავებდნენ; სამაგიეროდ, კარგად ესმოდათ ბრბოში გარკვეული ინტერვალით გაბმულ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის მუშაკებს და ინსტრუქციის თანახმად, ყოველ სიტყვას, ყოველ ფრაზას იმახსოვრებდნენ. შესაბამისად იმახსოვრებდნენ სახეებსაც..

დიდი ქალაქის მანქანებით ჩახერგილ ქუჩებში მძღოლები ჯიუტად აჭერდნენ ხელს კლაქსონებს. ერთმანეთს ლანძღავდნენ, მთავრობასაც წყევლიდნენ და ყოველი მათგანი მხოლოდ მისთვის ცნობილი მარშრუტით აპირებდა გაძრომას ჩახერგილი ქუჩიდან, რაც საბოლოო ჯამში უფრო მეტ არეულობას იწვევდა. ალაგ-ალაგ ზოგი მანქანა ერთმანეთს წამოედო და საქმეს არჩევდნენ — ვინ იყო მტყუანი და ვინ მართალი. თითო-ოროლა ავტოინსპექციის მუშაკი გაოგნებული დარბოდა ერთი მანქანიდან მეორისკენ და მოხიგნალე მძღოლებს ნომრების ახსნით და საბუთების წართმევით ემუქრებოდა.

და ამ მყვირალა კლაქსონების ნაირგვარ ხმებზე აჭყვიტინებული მანქანებით ჩახერგილ გარეუბნის ერთ-ერთ ქუჩაზე მხოლოდ ცისფერი, შავზოლებიანი ავტობუსი იდგა მდუმარედ; კატაფალკაში, ფიჭვის კუბოში ივანე დიასამიძე იწვა. თავთან დადებულ სისხლისფერ ატლასის ბალიშზე ერთადერთი წითელი ვარსკვლავის ორდენი და სხვა ნაკლები ღირსების ჟეტონები მიემაგრებინათ. ავტობუსში მძინარე მძღოლის უკან ვეტერანთა კლუბის ორი წარმომადგენელი იჯდა დადარდიანებული და დაღონებული.

ეს ივანე დიასამიძის ბოლო დაბრკოლება იყო ამ ქვეყანაზე; სასაფლაომდე რომ მიეღწიათ, აეროპორტისკენ მიმავალი მაგისტრალი უნდა გადაეკვეთათ.

მიცვალებულს სახელმწიფო საზრებით მარხავდნენ.

## „კომპრომატი“

— ახალი ამბავი გაიგეთ, ბატონო ომარ?

— რა ახალი ამბავი? — ომარ ერაძემ, ერთ-ერთი ნახევრად ჰუმანიტარული დაწესებულების დირექტორმა, დაგვიანებული თანამშრომლების სიას თვალი მოწყვიტა და მოადგილეს ახედა; მოადგილეს თვეებილა აკლდა პენსიამდე, რის შემდეგაც ისევ ამ დაწესებულებაში აპირებდა მუშაობას და სწორედ ამ გარემოებიდან გამომდინარეობდა მისი უკიდურესი მლიქვნელობა ომარ ერაძისადმი...

— რა ახალი ამბავი? — გაიმეორა დირექტორმა.

— დიდი ცვლილებებია მოსალოდნელი, დიდი... — შეთქმულ ჩურჩულზე გადავიდა მოადგილე, ამბერკი ჩალიგავა და ვრცელ კაბინეტში მიმოიხედა, თუმცა მათ გარდა არავინ იყო.

— სად? ჩვენთან, სამინისტროში?

— ჩვენ სამინისტროშიც ბევრი რამ შეიცვლება მერე. ისეთი კაცის მოყვანას აპირებენ, რომ პირველ რიგში ჩვენთან შეცვლის ყველაფერს, ჩვენგან დაიწყებს!

— კაცო, იქნებ გამაგებინო, რა ხდება? ვინ მოჰყავთ? სად მოჰყავთ? — გაწყრა ომარ ერაძე.

— რესპუბლიკის ხელმძღვანელობაში! — თითქოს პირში დაგუბებული წყალი შეასხა სახეში დირექტორს ამბერკი ჩალიგავამ.

— ვინ?

— ჩვენი ყოფილი მინისტრი! — ჩალიგავამ უკითხავად გამოსწია სკამი და დირექტორის პირდაპირ დაჯდა მაგიდასთან. —ცენტრიდან გადმოჰყავთ!

— მდააა.. — გაწელა დირექტორმა, — ეგ თუ დანიშნეს, მაშინ მართლა ბევრი რამ შეიცვლება ჩვენთან!

— მეც მაგას არ ვამბობ, ომარ ემელიანოვიჩ? ჩვენი დაწესებულების თქვენს მიერ გამოზრდილ კოლექტივს დიდი იმედი გვაქვს, რომ არ დაგვივიწყებთ, მინისტრი როცა გახდებით! — ოფიციალური ტონით განაცხადა ჩალიგავამ.

— კარგი, კარგი, გეყოფა, ჩემო ამბერკი!— დაუყვავა ომარ ერაძემ.

მოადგილე გაბადრული სახით იჯდა და დირექტორის მხარმარჯვნივ დაკიდებულ სეიფს გასცქეროდა.

— ამხანაგო ჩალიგავა! — თავისკენ მოაბრუნა მოადგილე დირექტორმა — ახლავე შეუდექით თქვენი პირდაპირი მოვალეობების ასრულებას!

ამბერკი ჩალიგავა გაღიმებული წამოდგა და მდაბლად თავდახრილ კარებისკენ ზურგშექცევით წავიდა. — ისე, ემელიანოვიჩ! — თქვა კართან მისულმა,— კაი დრო კი გავატარეთ მინსკში!..

ომარ ერაძემ ყალბი მუქარით ხელი დაუქნია და გაიღიმა. — მდივანს გადაეცი, ნახევარი საათი არავინ შემოუშვას! — თქვა რბილად.

მოადგილე გავიდა თუ არა, ადგა, კართან მივიდა და შიგნიდან ჩაკეტა გასაღებით; მერე მახიურ სეიფთან მივიდა, გამოაღო, საბუთების დასტიდან დიდი ფორმატის კონვერტი ამოიღო, მაგიდაზე დადო და სავარძელში ჩაეშვა. მთავრობის ტელეფონს დაწვდა...

მოადგილის, ამბერკი ჩალიგავას ვერსია სრულიად დაუდასტურა ცეკას აპარატის ერთ-ერთმა ყველაზე ძველმა, საშუალო რანგის მუშაკმა, მისმა სკოლის მეგობარმა. ომარ ერაძემ კონვერტს დახედა და სიამოვნებისგან გაეღიმა. კონვერტი გახსნა, იქიდან დიდი ფორმატის ფოტოსურათები ამოიღო და მაგიდაზე გაშალა. სურათებზე მისი ერთ-ერთი თანამშრომელი შორენა პაიკიძე და ყოფილი მინისტრი მანუჩარ არმაიძე იყვნენ აღბეჭდილნი; ორივე დედიშობილა, მთვრალები და თითქმის ყველა იმ პოზაში, რაც სამოთხეში გაძევების შემდეგ დახვეწეს ეროტიულობის უსასრულო ბილიკზე ადამისა და ევას ნაშიერებმა. ყოველ ფოტოს ქვეშ წარწერა ჰქონდა: „გადაღებულია ქ. მინსკში დარგის წარჩინებული მუშაკების ექსკურსიის დროს“ და თარიღი...

— მაშინ კი, მინისტრობისას, მოხსნას მიპირებდა, — გაიფიქრა ომარ ერაძემ, — მომხსნიდა კიდევაც, ეს ფოტოები რომ არა. მერე კი, ფოტოები რომ იხილა ვაჟბატონმა, დაწინაურება დამიპირა, მაგრამ ვერ მოასწრო — ცენტრში გადაიყვანეს, ახლა აქ რომ ჩამოვა, პირველ რიგში, თუ ვინმე, მე უნდა დამაწინაუროს! — ფოტოსურათები სათუთად შეაგროვა და კონვერტში ჩადო. მერე თავისი ჩანთა-დიპლომატი გახსნა და იქ შეინახა...

— ამბერკის უყურე შენ! — გაიფიქრა, — უცებ არ იყნოსა? დირექტორად დავტოვებ აქ... დაიმსახურა!..

ნიორე დღეს უკვე მთელმა ქალაქმა იცოდა რესპუბლიკის ხელმძღვანელობაში მოსალოდნელი ცვლილებების შესახებ. მესამე დღეს მანუჩარ არმაიძის ნათესავების გამოძებნა და მათთვის შესაძლო თანამდებობის შინიჭება დაიწყეს. მეოთხე დღეს ზუსტ თარიღსაც კი ასახელებდნენ ახალი ხელმძღვანელის ჩამოსვლისა. მეხუთე-მეექვსე დღეს შაბათ-კვირა იყო და სიახლე ტრადიციულ საქეიფო სუფრებთან ირჩეოდა. აქ მომავალი თანამდებობის პირებად მანუჩარ არმაიძის თანაკლასელები, მეგობრები და უბნელები ფიგურირებდნენ...

ორშაბათ დილით კი ომარ ერაძეს უშიშროების კომიტეტიდან დაურეკეს; თავმჯდომარის მოადგილემ დარეკა, ომარ ერაძის შორეულმა ნათესავმა.

— შეგიძლიათ ჩვენთან მობრძანდეთ, ბატონო ომარ? — რიტუალური მოკითხვა-სალმის შემდეგ თავაზიანად იკითხა თავმჯდომარის მოადგილემ. — თერთმეტ საათზე!

ზუსტად თერთმეტ საათზე ომარ ერაძე სუკის მისაღებში იყო. დაუყოვნებლივ აიყვანეს კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილესთან.

უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ვარლამ ხაშმიაშვილი გულთბილად მიესალმა. სამუშაო მაგიდას თვალი მოავლო და საპატიო სტუმრებისთვის განკუთვნილ დაბალ მაგიდასთან სავარძელში ჩასვა, თვითონაც გვერდით მიუჯდა.

— გაფუჭდა ხალხი, ბატონო ომარ, გაფუჭდა! — თავაზიანი ღიმილით უთხრა ვარლამ ხაშმიაშვილმა, — თქვენნაირ დაფასებულ ადამიანს რომ უჩივლებენ!

— რა ხდება, ბატონო ვარლამ? — ყალბად გაიკვირვა ომარ ერაძემ, „ფეხები არ მომჭამოთ!“ გაიფიქრა გულში.

— საჩივარია თქვენზე, ბატონო ომარ, ცეკას კონტროლზეა და ფაქტები ჩვენ უნდა შევამოწმოთ!

— კი ბატონო, თქვენი ნებაა, — თქვა მშვიდად ომარ ერაძემ. — „სანამ ეგენი შეამოწმებენ, კაი დრო გავა და, როგორც დაიწყებს შემოწმება, ისევე შეაწყვეტინებენ!..“ — ოღონდ გამაგებინეთ, რა ხდება მაინც, ხომ იცით, ჩვენ დიდი კოლექტივი გვყავს და მეტად ჯანსაღი სიტუაციაა ჩემს დაწესებულებაში და სიმართლე გითხრათ, როგორც დირექტორს, ხელმძღვანელს მეშინია თქვენს შემოწმებას ათასნაირი ვნებათაღელვა არ მოყვეს.

— რა ვქნათ, ბატონო ომარ, ჩვენ ყველანი ჩვენს მოვალეობებს ვასრულებთ!

ვარლამი წამოდგა და სამუშაო მაგიდასთან მივიდა; უეცრად გარდაიქმნა თითქოს.

— აქეთ გადმობრძანდით! — მოიხმო დირექტორი.

ომარ ერაძე მშვიდად დაჯდა მინიშნებულ ადგილზე.

— ვალდებული ვარ გაგაფრთხილოთ, ამხანაგო ერაძე! — ოფიციალური ტონით მიმართა თავმჯდომარის მოადგილემ. — თქვენი დაწესებულების საქმე ამჯერად მეორადია. საჩივარი უშუალოდ თქვენს პიროვნებას ეხება და არც ფაქტები საჭიროებს შემოწმებას, ვინაიდან ყოველი მათგანი დადასტურებულია! — ვარლამ ხაშმიაშვილმა მაგიდის უჯრა გამოსწია და თხელი საქაღალდე ამოიღო, — გაეცანით! გადააწოდა ომარ ერაძეს.

პირველივე ფურცლის დანახვაზე ომარ ერაძეს ცივმა ოფლმა დაასხა. თავმჯდომარის მოადგილეს გახედა, იგი რაღაცას წერდა, თითქოს ომარ ერაძე არც არსებულიყოს მის კაბინეტში...

საქაღალდეში ყველაფერი იყო, ყველაფერი, რისგანაც ომარ ერაძემ თავისი ცხოვრება და კარიერა შექმნა: ყალბი სამხედრო ბილეთი და ფრონტული ორდენები, ოცდაათზე მეტი წლის წინ პირველადი პარტიული ორგანიზაციის საერთო კრების ოქმის ამონაწერი მისი პარტიიდან გარიცხვის თაობაზე, ყალბი საბუთები და დახასიათებებით სამი წლის შემდეგ სხვა ორგანიზაციაში მის პარტიაში მიღების დოკუმენტები. საკანდიდატო დისერტაციის ყალბი მოწმობის ასლი. ჩვენება იმ პირისა, ვინც ყალბი მოწმობა გაუკეთა. ორმოცდაათიანი წლების დასაწყისში მის მიერვე დაწერილი განცხადება შინაგან საქმეთა ორგანოების ნებაყოფლობით ინფორმატორობის თაობაზე; დაწვრილებითი ნუსხა ინფორმატორობის პერიოდში მიწოდებული ინფორმაციებისა და მისი პირადი ხელის-



ეროვნული ბიბლიოთეკა

მოწერებით ამ ინფორმაციაში მიღებული გასამრჯელოების უწყისები.

ომარ ერაძემ საქაღალდე გვერდზე გადადო

— რას მიპირებთ? — იკითხა ჩუმად.

კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ინტერესით შეათვალიერა. წამოდგა, საქაღალდე აიღო და სეიფში ჩაკეტა. — არაფერს არ გიპირებთ!—მოუბრუნდა ომარ ერაძეს.

— აბა, რისთვის დამიბარეთ?

— ჩვენ ყველაფერი ვიცით და ყველაფერი შეგვიძლია. — მშვიდად თქვა ვარლამ ხაშმიაშვილმა.

— მერე? — ომარ ერაძე დაძაბული იჯდა და მოსალოდნელი წინადადების ამოცნობაზე ფიქრობდა.

— მინსკში გადაღებული ფოტოსურათების [...]

„ხილბოსტანვაჭრობის“ № 127 მაღაზიის ნახევრად სარდაფში სამუშაო დღის დამთავრებისას ჩია ტანის მელოტი მოქალაქე ჩავიდა; შავი, რატინის დიდჯიბეებიანი პალტო ეცვა, ჰალსტუხი ეკეთა და იღლიაში შავი ბრტყელი ჩანთა ამოეჩარა.

— მეგობარო! — მიმართა თავაზიანად სა-[...]

— ემ, რა ვქნა, ბატონო გრიგოლი, რა ვქნა? ასე ვწვალობთ და ვხლაფორთობთ სუყველა.... — გული ამოუჯდა გამყიდველს.

— კაი, კაი ახლა, — დაუყვავა გრიგოლმა — ფრთხილად იმუშავე! შენი ცოლ-შვილის მტერი არ ვარ მე! — წითელი საწონი აიღო და პალტოს ჯიბეში ჩაიდო. სათვალე მოიხსნა, ბუდეში ჩადო, „გტ“ აქტი პორტფელში შეინახა.

— ამ ბალახის გარდა არაფერი გაქვს მაღაზიაში? — მწვანილს დახედა გრიგოლმა.

— კი, ბატონო, როგორ არა გვაქვს — დაფაცურდა გამყიდველი და დახლის ქვემოდან ვეებერთელა პარკი ამოიღო — ფორთოხალი გადავურჩიე ჩემ ბიჭებს დღეს, სულ ღერა-ღერადაა არჩეული, ძალიან დამავალებთ, [...]

ლად“. პიჯაკის მარჯვენა ჯიბეში გახსნილი დანა ედო შიშველი პირით სათუთად გაკეცილ ცხვირსახოცში ჩადებული, გარეთა გულის ჯიბეში კი უსაფრთხო სამართებლის პირი, რომელსაც ვირტუოზულად ხმარობდა და რამაც ოთხი ათეული წლის წინ მეტსახელიც შეხძინა — „ბრიტვა...“

— იწვიმებს — გაიფიქრა გრიგოლ ჩირგაძემ და ტროლეიბუსის გაჩერებისკენ ფეხს აუჩქარა...

ჩამომდგარი ტროლეიბუსის ორივე კარს ხალხი მიაწყდა, წვიმდა და ყველანი სალონში ახვლას ჩქარობდნენ. წინა კართან ჩოჩქოლი შეიქმნა.

— გზა! გზა, ამხანაგებო! — ღია კარებში უსამხრეებო სამხედროკიტელიანი და ქუდიანი [...]

## „ბრიტვა“

გრიგოლ ჩირგაძე, მეტსახელად „ბრიტვა“ — პროფესიონალი ქურდი -რეციდივისტი მეხუთე წელია ამ ქალაქში არ ყოფილა „საგასტროლოდ“; უყვარდა ადრე აქ ჩამოსვლა, ადრე, როცა სიტყვა სიტყვა იყო, საქმე — საქმე; ამფსონები ბლომად, ქალებიც ბლომად, „ძაღლები“ კი ახლანდელთან შედარებით გაცილებით ცოტანი და იმ ცოტაშიც უმრავლესობა ხანშიშესული, ოჯახის ხალხი...

ვილაც-ვილაცები „შეეკრნენ“ მერე, ვილაცებიც „შეიკვრნენ?, ზოგზოგმაც ერთმანეთი დახოცა „კანეცის“ ძებნაში და ახლა ძველი ნაცნობებისგან არავინღა იყო ამ ქალაქში, რომელიც უსაშველოდ გაზრდილიყო ოთხი ათეული წლის მანძილზე; მილიციელებიც ბლომად იყვნენ, სულ ახალგაზრდები და თვითონ „ბრიტვა“ კი ხანშიშესული. არავინღა იყო ძველი ნაცნობებისაგან, არავინ, არცერთი „რამკიანი“, ისეთი, მის ნდობას რომ იმსახურებდეს; თვითმარქვია, „გაბლატავებული“ ხულიგნებით გავსებულიყო ქალაქი და აქაიქ — „გადელეცებული“, გაჭორიკნებული ქურდები. არ უნდოდა მათი ნახვა და არც აინტერესებდა, არც იყო ვალდებული; დილით ჩამოვიდა. ამ ქალაქში და საღამოს მატარებლის ბილეთი უკვე ჯიბეში ედო. თვითონ უძველესი და საპატიო პროფესია ჰქონდა — ჯიბგირი იყო და ახლა, როცა საზოგადოებრივმა ტრანსპორტმა იმატა და, შესაბამისად, მგზავრთა რაოდენობამ იკლო, ჯიბგირობაც გართულდა; დიდ უნივერმაღებსა და საიუველირო მაღაზიებში ყოველ დახლთან თითო გადაცმული „ძაღლი“. ბაზრებში — „ხრეში“, წვრილი ფული, ხოლო ტროლეიბუსებსა და ავტობუსებში ხუთი „მიღებული“ „ლაპატნიკიდან“ დიდი-დიდი 100—150 მანეთი...

— ადრე კი, ადრე... — გაიფიქრა ძველმა [...]

[...] ნევით კაბინეტში უხმო ჩვენების ჩამოსართმევად...

გრიგოლ ჩირგაძე კი, პროფესიონალი ქურდი, მეტსახელად „ბრიტვა“ თავისი ხანგრძლივი „გასტროლების“ ბოლო პუნქტში — პროზექტურაში იწვა შიშველი, მწვანემონაცრისფრო მუშამბაგადაფარებულ მაგიდაზე; ქოლგის ლითონის წვერს თვალის ღრმულიდან ტვინამდე მიეღწია და სიცოცხლე ელვის გაკვესებასავით ჩამქრალიყო მის სხეულში. ჩია მკერდზე ორმოციანი წლების ტრადიციით სამებრ ლენინის და სტალინის პორტრეტები ჰქონდა ამოსვირინგებული, რისი უფლება მის სამყაროში მხოლოდ კატორღელებს ჰქონდათ — ბელადების პორტრეტებს ვერ ესვრიან, ჯალათები ვერ გაბედავენო! — ფიქრობდნენ იმდროინდელი პატიმრები. ბელადების პორტრეტებს არც ესროდნენ, სიკვდილმისჯილებს კეფაში ახლიდნენ ტყვიას...

გარეთ წვიმას გადაეღო; სისხლის სამართლის სამძებრო ექსპერტიზის პროზექტურის ეზოში კი პატარა, ნაცრისფერი ბეღურები წვიმისგან გაჩენილ გუბეებში მხიარულად ჭყუმპალაობდნენ...

## შუაღამის სადღეგრძელო

ღრუბლები დაბლა დაეშვნენ და ღამეული ქალაქის თავზე მიფრინავდნენ; ნელა, უხმოდ, მინიმალური სიჩქარით. ასტრონავტი სტერეო ეკრანთან იჯდა, ინფრაწითელ ღამეული ხედვის ოკულარებს შეზრდილი თითქოს და ხანდახან ვიდეო ჩამწერს რთავდა. ეკრანზე ერთმანეთს ენაცვლებოდნენ სახლები, მოედნები, [...]

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტარიელ ჭანტურია*

## მფრინავი თეფში

სულ ერთი წამით, სულ ორი წამით, სულ სამი წამით განათდა ცა მით...
ეს იყო ათას ცხრაას ოთხმოცდაათი წლის შვიდი იანვრის ღამით...

წინ გვედგა სუფრა ფიქრივით სავსე გებჟალიათი, ბაჟეთი, ღომით...
ეს იყო, როგორც გითხარი — ათას ცხრაას ოთხმოცდაათი წლის ღამით...

ვილაცა უცხო — უცხო პლანეტის მკვიდრი — ღვთაებრივ, ლურჯ მოსასხამით...
სულ სამი წამით, სულ ორი წამით სულ ერთი წამით განათდა ცა მით...

ვით ქრისტიანი აღდგომით, ანდა მაჰმადიანი ჰრელ ბაირამით —
ხარობდა ყველა, ელავდა ყველა და ჰქონდა რწმენა სულ ერთი წამით...

დაღლილებს მიწის დავიდარაბით — გვესმოდა ყველას, ვიცოდით ყველამ,
რომ მხოლოდ ციდან და მხოლთდ ციდან და სწორედ ციდან გვჭირდება
შველა!

სულ ერთი წამით განათდა ცა მით და... თითქო რაღაც დაშავდა, ამით...

●

რა იყო მალტას,
რა ითქვა მალტას —
რიგას ან თბილისს
ვინ ეტყვის მართალს...

ვართ ორ ზღვას შუა
გახიდულები,

ვართ ორ კაცს შუა
გაყიდულები!

ჩვენ მაინც რაღად
ვიყოფით ორად! —
რისი გულისთვის!
ო, რატომ,
ო, რად!

●

ვისი თვალიდან მოწვეთავ, ვისას ასველებ ლოყას!
შენი უკვდავი წახნაგი ახლა ვის უპეს ლოკავს!

უზომო სიხარულის ხარ, თუ უსაშველო დარდის!
ვის გამოც გაჩნდი — მიწაზე ნეტა თუ ისევ დადის...

სულ ბოლოს, როგორც იმედის — შენს გამოჩენას ველი!
უდაბნოშიც და ციმბირშიც — ხარ ერთნაირად სველი!

ყველაზე დიდო ხელმწიფევ, ყველაზე დიდო მონავ,
ვისი სულიდან მოწვეთავ, ვისი ფიქრიდან ქონავ...

ვარ მუდამ შენთან შეთქმული — თითქმის სამოცი წელი...
ჰირშიც და ლხინშიც — პირველმა სწორედ შენ მომე ხელი...

მშურს შენი სტალაქტიტების — ამართულების სვეტად!
ამ ცოდვილ დედამიწაზე კიდე კაი რომ წვეთავ...

●

ამ არეულ ქვეყანაში ისევ ისე ყვავის ნუში!
უცნაური კია, მაგრამ სულ არ გვაგდებს აინუნში!

ამ არეულ ქვეყანაში, ისევ წვება დაბლა ნეშო!
უნუგეშო — ბევრი რამ თქვეს! ბევრად მეტი — სანუგეშო!

ამ არეულ ქვეყანაში, როგორც ფსკერგახვრეტილ ნავში,
ვსხედვართ, მომლოდინე არცრის... ვწყევლით დაუნდობელ კავშირს!

მაგრამ ამ ძუნწ ქვეყანაშიც ძველებურად ყვავის ნუში!
მალე წამოეშველება ალუჩა და მისი ბუში!

წელან ატმის ციცქნა ტოტმა იმნაირად შემომხედა,
ვერ გავიგე, ვერც მან მითხრა, რა უხდოდა ჩემგან ნეტა!

დგას გზისპირას, და არისხებს მუნჯ დედოზარს — მნათესავით —
ნუში — ატმის მეზობელი და კეთილი ნათესავი...

## ვახტანგური

ჩემზე არანაკლებ იცი,
დანიელა, შე ურია —
სისხლი ჩემი,
სისხლი შენი
ღმერთმა რისთვის შეურია!

ამის ფასი რომ არ იცის,
იმის ფასი შაურია!
დანიელა, შე ქართველო,
უფრო სწორედ — შე ურია!

ქვეყნად ერთი იორდანე,
ქვეყნად ერთი შაორია!
ხან ერთი და ხან მეორე
გენატრება, შე ურია!

შენი ცრემლი, ჩემი ცრემლი
ღმერთმა როდის შეურია...
დაკარგულო ჩემო ძმაო!
შე ქართველო!
შე ურია!

●

განა განა, განა მალი
ან გვინეა-ბისაუ
შენზე მეტად იყო ღირსი,
დედავ, დასაფიცაო!
განა განა, განა ტოგო
ან ჩადი და კენია...
ჩემო კარგო, ჩემო ყველავ,
რაზე მოგიწყენია!
გამბიის და გაბონის და
ტოგოს ნაცვლად მრცხვენია!
ყველა მღერის, ყველა ცეკვავს,
შენ კი მოგიწყენია!
ზაირი და ანგოლა და
ნიგერი და ბენინი!
ყველას — დროშა საკუთარი
და არც ერთზე ლენინი!
ნეტავ, როდის გაანათებს
მზე ქართველებისაო! —
სწუხარ თვითონ განა, მალი
და გვინეა-ბისაუ!

1974

## დრო

ვის შერჩენია ერთი დრო,
უგულო დროს რომ შერჩეს! —
დროს — წარსულსა და მომავალს,
დროს —გენიოსს და ჩერჩეტს!
ინახავ ტახტზე მჯდომარეს!
სატრფოს ბრდღვიალა ბეჭედს! —
ვის შერჩენია ერთი დრო,
ამ თახსირ დროს რომ შერჩეს!

ფქვავს დღის და ღამის დოლაბი,
რასაც და როგორც შეძლებს!
იგი ჩააქრობს ჩემს ღიმილს!
იგი დაჩეჩქავს შენს ძვლებს!
ვის შერჩენია ერთი დღე,
შერჩეთ დღესა და ღამეს...
მითხარი რამე ისეთი —
გასახარელი რამე...

მიწა კი ბრუნააავს... მორჩილად
ვარ მინდობილი კერას...
წავალ — მეც შევუერთდები
ეკას, თამრიკოს, მერაბს —
იმ ნამდვილ საქართველოში
ამ საქართველოს ელჩებს!

ვის შერჩენია ერთი დრო,
კომუნისტებს რომ შერჩეს!..

●

იყოს დუელი დაშვებული?! —
გაქვს გასაყოფი ბარიერთან!
ბევრს აზღვევინებ დანაშაულს —
ბევრს დააყენებ ბარიერთან!

სინდის და ნამუსგარეცხილი —
გყავს ვითომ მეგობარი ერთი!
იყოს დუელი დაშვებული —
დააყენებდი ბარიერთან!

როგორც სინათლე — სიბნელესთან,
როგორც მოცარტი — სალიერთან—
დგახარ, მართალი, ბარიერთან! —
დგახარ უჩინარ ბარიერთან...

●

(სიყვარული — სიკვდილი)

მოულოდნელი მოსვლა — დენივით..
გვიმრისფოთლება ლურჯი საბანი! —
ჩემი და შენი — ორი ტევნილის
ზესაიდუმლო თავშესაფარი...

იცი შენ, რაა ბედნიერება,
რომელსაც ყველა ასე მისტირის:
ის, რაც შერჩება მეხსიერებას —
ერთი საბნის ქვეშ ორი სიკვდილი...

●

იმის მიუხედავად, რომ
ქვეყნის შხამ-სამსალა მასვეს —
ვისაც ვემსახურებოდი,
უნდა ვემსახურო მასვე!
ჯვარს მაცვეს და გარდამომხსნეს
და ჯვარს ხელმეორედ მაცვეს!
მაინც: ვისაც ვმსახურებდი,
უნდა ვემსახურო მასვე!
დიდხანს ლესეს, ლესეს, ლესეს,
და ლახვარი გულში მასვეს...
მაინც: ვისაც ვმსახურებდი,
მინდა ვემსახურო მასვე!

## „პედრო-პედრო-ტურბო-ტურბო!“

ორთაჭალის ტურფას —
თვალებმოხატულ ბოზს —
ვევაჭრები „პედროს“,
ვამჯობინებ „ტურბოს“.

ორს — თითოში, მანეთს
უკვე ნამეტურ ფასს —
ანანოსთვის ვიხდი! —
„რა ვქნა, მიყვარს „ტურბო!“.

მადლობას რომ მიხდის
კევის ღეჭვა-ღეჭვით,
ქრება ყველა დარდი!
მით უმეტეს — ეჭვი...

## ვეფხისტყაოსნის ახალი გამოცემა

ავთანდილი, ფრიდონი,
და, ცხადია, ტარიელი! —
საქართველო ესაა:
ტყვიაგაუმტარი ერი!

საქართველოს სხეულში
ჯინი ბუდობს და რა ჯინი:
თინათინი, ასმათი,
და, ცხადია, დარეჯანი!

ოცდაექვსი მაისი —
დილა, მართლაც საოცარი!
ხელში წიგნი მიჭირავს! —
ახლაც — ვეფხისტყაოსანი!

ნეტა ყველა უდაბნო
მწვანედ გადამალებინა,
და ლომ-ვეფხის ამბავი
ფილმად გადამაღებინა!

დაინახოს მსოფლიომ
ტყვიაგაუმტარი ერი —
ავთანდილი, ფრიდონი,
და, ცხადია, ტარიელი!

## სიმღერა

მიყვარს, როცა ვინმე მიყვარს,
თან — იმ ვინმეს ვუყვარვარ! —
მე ვუყვარდე, მე კი მძულდეს,
განა ქვა ან გულქვა ვარ!

კვლავ მოვიდა — კატასავით
ჩუმი და შემპარავი...
არ იქნება, ქვეყანაზე
არ უყვარდე არავის —
ამოდენა ქვეყანაზე
არ უყვარდე არავის!

არ იქნება, ქვეყანაზე
სულ არავის არ სძულდე—
ამოდენა ქვეყანაზე
სულ არავის არ სძულდე! —
აკი უნდა სიყვარულიც
სიზმარივით გასრულდეს...

მიყვარს, როცა ვინმე მიყვარს...

## 1991

მრავალ ახალ, მრავალ ახალ წელს
ეხვეოდე მრავალ ახალ წელს!
მხოლოდ ლომის, მხოლოდ ლომის
წილს —
მხოლოდ ახალ, მხოლოდ ახალ წელს!

ეხვეოდე ულამაზეს ყელს,
შვიდი ბეჭდით დამძიმებულ ხელს!
არ უკრთოდე თვით სიკვდილის ცელს
მრავალ ახალ, მრავალ ახალ წელს!

უუმაღლეს, უუმაღლეს მთას,
უუმდაბლეს, უუმდაბლეს ველს,
ტუნგოს, ლიმონს, ჩაის, რამას,
სელს—
შესცქეროდე მრავალ ახალ წელს!

შენი ჰქონდეს სულ იმედი მწირს!
ფეხს არასდროს არ ადგამდე მწერს!
კითხულობდნენ შურით შენს
ნაწერს—
მრავალ ახალ, მრავალ ახალ წელს!

მრავალ ახალ, მრავალ ახალ წელს
ეხვეოდე მრავალ ახალ წელს!
მრავალჟამიერ —მრავალ ახალ წელს!
მრავალჟამიერ — მრავალ ახალ წელს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დაწყვეტილი სერპანტინი

### პუბლიცისტის რეპლიკა

იყო საქართველო
  პოეტიზირებული!
შეგვრჩა საქართველო —
  პოლიტიზირებული!

### წუწილები

ბრუნავს კარუსელი.
ბრუნავს კარუსელი.
აქეთ — ცუდი ქართული!
იქით —კაი რუსული!

ბრუნავს კარუსელი!
ბრუნავს კარუსელი!

### ალტერნატივა

...ან საფეთქელში მივირტყათ ტყვია
და სამოთხეში ვაგოროთ კოჰი...

### წულის ნაყვა საკავშირო ყრილობაზე

დეპუტატმა
დეიპუტა თმა!

### პაროდია მუხრანის თემაზე

ალექსანდრე ორბელიანის უმცროსი ცოლისდის უფროსი მაზლის მონოლოგი, წარმოთქმული ატმიჰალაში, ნარდის თამაშის დროს, როცა მის პარტნიორს ახალი ნათქვამი ჰქონდა დავბა ჩარი.

ვით ოდესმე გვიმარჯვნია
დიდგორთან და ბასიანთან,
უნდა კვლავაც გავიმარჯვოთ
დიდ ლორთან და ბასიაკთან!

### ტურისტის სადილინო
(იუმორესკა)

ავივლი და ჩამოვივლი
ნეაპოლის ვიტრინებს,
ევრაფერს რომ ვერ ვიყიდი,
დავჯდები და ვიტირებ!

●

ამასწინათ, მეგობრებო,
ნაღდმა მეგობრებმა მითხრეს:
თურმე ერთი მეგობარი
მეგობრულად საფლავს მითხრის!

### ბუზღუნი

ლოყებს გაიფერადებენ,
დაისხამენ თითო ფლაკონს,
რომ წავიდნენ და ბუჩქებში
ვიღაც მყრალთან აიპლაკონ...

●

მაინც ვიტყვი, რაც უნდა
  ცუდი კაცი დამარქვან:
აუცილებელია
  ვლ. ლენინის დამარხვა!

●

საქართველო — მხოლოდ ჩემი —
ვინ გარგუნა შენ იჯარით!
აქ რატომ დგას შენი გემი!
აქ ვის იცავ შენი ჯარით!

●

### (კენედი)

ქვეყნის მეთაური,
მართლაც მითიური,
მოწყდა, ჩაიფერფლა,
როგორც მეტეორი!
როგორც მეტეორი...

### პერსპექტივა

ცეცხლმა პერესტროიკის — რუმინეთშიც იალა!
...ჩაის მისხამს, თან ჩუმად მეუბნება ციალა:
— ჩაუშესკუს და მის ცოლს ტყვია რომ დაახალეს,
ერთ კაცსა და იმის ცოლს ტანში გააყრიალათ!

ტანში გამაყრიალა!

### პოეტი მეცხრე მიკროფონთან

იცოდეთ ყველამ — საბჭოთა დერჟიმორდამ და ველმოჟამ —
საქართველოს და ქართველ ხალხს დღეიდან ფეხებს ვერ მოჰამთ!



მთა-თუშეთი
ზურაბ დათუაშვილის ფოტო

# თანამედროვის ჩანაწერები

●

მოვიდეს ადამიანი დედამიწაზე, დაიბადოს სიკვდილისა და ბნელეთის საშოდან სინათლით სავსე სამყაროში, მოხვდეს ფერთა მდინარებაში, უთვალავ სუნით საამო და დამათრობელი ნაყოფნი დახვდეს საცთურად და უარი თქვას?!

ყველაფერი ამაოა — თქვას და გაჩერდეს, ბნელეთის სამყაროსკენ მიიქცეს?!

●

განა ერთდაიგივეობაში არ გსურდა გეძია ნუგეში? განა ამ უწყინარ თამაშთა წიაღ არ სურდა შენს მარტოობას ნავთსაყუდლობა? და რა? რა ჰპოვე, თუ არა გული გადაფლეთილი, უნიადაგო მარცვალთ ცვენის ცქერა, თუ არა სასოწარკვეთა უკიდეგანო არარსებობის დუმილით გამოხატული.

●

მუდამ მიწყდება აზრი, რომლის გაფორმებას ვეშურები.

მყისიერად ჩნდება „მე", რომელიც აკვირდება „მე"-ს დაკონკრეტებას.

აქ ვჩერდები, აქ ფორმდება ვიღაცისთვის მსწრაფგადასახვლელი სივრცე, ვიღაცისათვის მუდმივ დაფარული.

●

შენ არ იცი, რა არის ამ ოთხი ნაბიჯის იქით, შენ არ იცი, რას იტყვი 30 სიტყვის შემდგომ, არ იცი, რა არის შენი ჟინიანობის მიზეზი, ცვალებადობა შენი ხასიათისა, დაფანტული ფოთლები, ვარსკვლავების ციაგი კითხვების იქით, შენ ზიხარ აქ და კითხულობ და არ იცი, ვინ დადის ამ ფანჯრის იქით, ვინ კითხულობს, ვინ ქვითინებს, შენ სევდიან თვალებს მაპყრობ, შენ ქვითინით ხელებს იწვდი და ისიც არ იცი, ვინ ვარ მე?!

●

რწმენა იგი დაკარგე და სიცოცხლე შენი, ასე უსასრულო შესაძლებლობათა ზღვა, გაჰქრა, ვით სიზმრის ტკბილი შეხება.

●

კაცისთვის ღირსეულია, თავისთავს რომ აღემატება და მის ნაწერებში წინააღმდეგობის აღმოჩენა ამის საბუთია.

●

პლატონთან პლატონია ჭეშმარიტი, არისტოტელესთან — არისტოტელე და შენ თავთან შენ უნდა იყო, თავადვე.

●

ნუ დაელოდები წუთს განკითხვისას, იგია შენთან. იგია ირგვლივ მყოფ ყოველ საგანში, იგია შენს დაბადებაში და იგივ იქნება შენს სიკვდილში.

●

ამაოება ამაოებათა, — ამბობ შენ სიცილით და ცრემლთა ღვრით აღიარებ მის უძლეველობას.

●

მთავარია არა აზრი, რასაც გადმოვცემთ, მთავარია კაცი, მისი სამყარო, რომელიც, ვინ იცის, მერამდენედ ნათქვამ აზრს აძლევს ახალ სიცოცხლეს და ადგილს უძებნის თავის სამყაროში.

ხელახლა ვიტყვი, ამბობს იგი და აზრი მაინც თითქოსდა პირველად მოვისმინეთ.

●

იმის ნაცვლად, ოდეს შეძრწუნებული სული მარტოოდენ უნდა მოსთქვამდეს ან შენი გალაღებული სული მხიარულებდეს, შენ იხედები იქით, დარბაზისკენ, ვიღაც მესამის სახეს დაეკითხები, რა ისახება აქ და უთითებ შენს მოძრავ სულზე.

●

ვინ გეკუთვნის: მხეცნი თუ ანგელოზნი? ვინ მეთქი? თავად შენმა სულმა უპასუხოს და სარკედ გექმნას ისინი.

●

თვალს ავახელ, ნისლის ბურანში მეოცნებედ იისფრად გაშეშებულ ხეებს ვკიდებ თვალს თუ სულში ჩავაბრუნებ დახურული თვალის მზერას, ორგანვე ის ნაზი გაშეშება და გარინდებაა.

●

რაც უფრო მარტოვდება ადამიანი, რაც უფრო მეტად ღრმავდება თვის თავში, მით უფრო იზრდება ხმა მასში. ხმა სიცოცხლის ძალისა, შეეხოს სამყაროს, შეეხოს ადამიანებს და შეახსენოს, რომ ის არსებობს.

●

რა შეიძლება შეესიტყვოს ჩემს სევდას, ცრემლებით სავსე სულს. სადღაც მდინარესავით რომ მიედინება და არსად თავდება?

●

დღევანდელი ბრძენი იმდენად ბრძენია, რომ ტოვებს ღვთაებრივი სიმშვიდის მყარ საყრდენს და ცვალებად ამაოებაში თანაცხოვრებით იმკის სიბრძნის მარცვალს.

●

გზა იგი უნდა გაიარო გაუქვალავი, რათა იხილო გზა იგი, მსგავსი შენი სულის მოძრაობისა.

თვალი სინდისიერი:

— თვალი იგი დაბრმავებული დაბორიალობს უსასრულო წყვდიადის სინათლეში და ერთი უფერო არ არა ეხილება ყოველდღიურად.

●

განა სიცხადე სავანთ ქვეყნისა არ არის ის, რაც ყველაზე მეტად აბრმავებს თვალს, რომელიც ხედავს ყველგან სიცხადეს?

●

ფრაზები, რომელთა შუა უნდა ჰოამწყვდიო სული, შენი სული, იგი, თავად რომ იძწყვდევს თავისთავს.

●

დაფანტული, დამჭკნარი ფოთლები წარმოისახო ერთი, მთლიანი ხის ნაწილად.

ხშირად ასე სურს თანამედროვე კაცს თავისთავზე საუბარი.

●

ამ წამს მოსმენილი სიტყვა, შენს განწყობილებაში ჩამოვარდნილი, ვით მარცვალი მიწაში ჩათესილი, ხედ, ყვავილად თუ ბუჩქად გარდაქცეული.

●

ყოველი ნამდვილი ადამიანი, კაცი მოაგავს და არც მოაგავს კაცს და ამავდროს ისინი იბადებიან, რათა დაპირისპირებული ერთობით კაცობრიობის იდუმალი სარკე გაამთლიანონ.

●

თითოეულ ჩვენთაგანს საკუთარი ენა აქვს, სამყაროს ენად რომ სურს გადააქციოს.

●

ადამიანის სული შეუცნობია და ყველაფერი, რაც მას უკავშირდება, განუსაზღვრელი.

●

— შენ არ იცი ბევრი რამ შენს შესახებ, მაგრამ, ყოველწამს, ადამიანი, საგანი თუ ცხოველი სარკედ აღიმართება შენს წინაშე.

●

დაფიქრება:

— შეყოვნებანი, აი, სკამი, რომელზედაც შენმა გაწვლილმა გზამ ფეხთ მოიკეცა და ხელახლა უკუდაბრუნდა.

●

გახაუზრება

— თანამედროვე ისევე ესაუბრება და სჯის წინაპრებს, ვით წინაპრის თავისთავადი არსებობა განსჯის თანამედროვეთა მდგომარეობას.

●

ცნობიერება ჩვენ გვესახება ჩვენი სულის სარკედ, იმ იდუმალ სარკედ, კაცობრიობის სიმრთელე რომაა ამოტანილი, ოღონდ ვინ ამბობს ამას? ვინ მოიფიქრა? როგორ მოიფიქრა? საიდან მოედინა და აგექვიატა მისი სარკეობა, და გრძნობ ისევ თავბრუდამხვევი სიგიჟის ტალღების სიახლოვეს, იმ სიტყვის დაუდგენლობას, იმ ბაგის გაურკვევლობას, რაღაცად რომ გვეჩურჩულება.

●

თითქოს ვგრძნობ, ვიღაც დაურღვეველის ხმას და ვამბობ: მე ვიცი ე. ი. მე ტკივილით ვსაზღვრავ სამყაროს ამგვარად.

მაგალითად ვიცი, რომ ადამიანი ცხოველისაგან განირჩევა თავისუფალი ნებით, იმ ნებით, რომელიც მას ამყოფებს იმად, რადაც მას სურს, რომ იყოს. ის ყოველთვის განეშორება იმას, რაც ის არის ბუნებრივი ზღვრებით და ის ყოველთვის უფრო მეტია, ვიდრე ის არის.

●

„ვიცი" — ვამბობ და როცა თვალებს, სულის თვალებს მივაპყრობ ამ სიტყვას, თითქოსდა შეძრწუნება სიბნელით ფარავს ამ ჩემს ცოდნას.

ვინ იცის? საიდან იცის? როგორ საუბრობს? ან სიტყვები, ეს უცნაური ნიშნები საიდან მოიგონა?.. და ეს შეძრწუნება, თვით ტკივილდასაზღვრული სამყაროს რეალურობის უარყოფას აჩერხებს.

●

სამყაროს კავშირი:

— ჩემს თვალებს, ჩემს სმენას მხოლოდ მდინარის ის განუწყვეტელი ხმა ჩაესმის, რაც ადამიანის გზაზე მავალი კაცის ცრემლით ქმნილა და ამ ცრემლის ტკივილით მოძრაობს.

●

ხელოვანი:

მე მტკივა და ჩემთვის ეს ტკივილია მთელი დვა, თქვენი თვალები, თქვენი ტანსაცმელი, თქვენი ბავშვები, თქვენი სიყვარული და ა. შ. და ა. შ.

მე მტკივა და ჩემთვის ეს ტკივილია მთელი სამყარო.

●

ალარაფერს შეუძლია შენს სულს შეეხოს, ალარაფერს შეუძლია იმგვარად შენი დამხობა, რომ ველარ წამოდგე, იმგვარი უარყოფა შენი მეობისა, რომ უკუშექცევით არ გამთლიანდე.

და ეს ჩაკეტილ წრე-ბრუნვაში ტრიალს მოაგავს, იმ წრეში ტრიალს. რითაც შემოიწერა იდუმალებით შებურვილი შენი „მე"-ობა, რომლისგანაც ვაი, რომ ალარასოდეს ალარა გაქვს ხსნა.

●

ისე ცხადადაა დაფარული ჩვენი საიდუმლონი, რომ სულ მიკვირს, რა აზრი აქვს ამ დაფარულობას.

●

ვფიქრობ, ბოლომდე არცერთ ჩვენ გრძნობას არ ძალუძს სამყაროს სავსებით ასახვა. ისევე, როგორც არ ძალუძს სავსებით მისი სავსეობისგან განრიდება.

ჟაკლენ სირაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შოთა და აკაკი

XIX საუკუნის დიდმა ქართველმა პოეტმა, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მეთაურთაგანმა აკაკი წერეთელმა რუსთაველი აღიარა თავის წინამორბედ პოეტად და მასწავლებლად. აკაკიმ რუსთაველს შესთხოვა:

სულმნათო! შენცა გვასწავე
ეგ საიდუმლო ძლევისა,
რომ აგვისრულდეს წადილი,
მგოსანი ვიქმნე ერისა.

(„რუსთაველის სურათზე")

„ვეფხისტყაოსანი" ქართულ ფოლკლორთან ერთად აკაკი წერეთლის შემოქმედების იდეურ-მხატვრული საფუძველია.

აკაკი მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე „ვეფხისტყაოსნის" ატმოსფეროთი სუნთქავდა. იგი სულ ყმაწვილი, გიმნაზიაში შესვლამდე, გაეცნო რუსთაველის შემოქმედებას. „ჩემს თავგადასავალში" აკაკი აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსანმა" ძლიერ გაიტაცა და „სხვა საფიქრელი" აღუძრა. საყურადღებოა, რომ აკაკის 1862 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტში საკანდიდატო ნაშრომად წარუდგენია „Несколько слов в пользу оригинальности «Барсовой кожи»". აქედან მოყოლებული ცნობილია აკაკის ლექციები და პუბლიცისტური წერილები „ვეფხისტყაოსნის" საკითხებზე: სამი ლექცია „ვეფხისტყაოსანზე" (დაწ. 1881 წ.) Лекция о «Барсовой коже» (წაიკითხა 1887 წ.), „რამდენიმე სიტყვა ბატონ ილია ჭავჭავაძის საპასუხოდ „ვეფხისტყაოსნის" გამო" (დაიბეჭდა 1887 წ.), „თანამედროვე ჰაზრები რუსთაველისაგან მე-12-ე საუკუნეში ნაწინასწარი (ლექცია)" (დაწ. 1908 წ.) და სხვ. ამ წერილებსა და ლექციებში აკაკი აღნიშნავდა, რომ „ვეფხისტყაოსანი" პოეტური წინასწარმეტყველებაა. მასში ალეგორიულად გადმოცემულია ქართული სინამდვილე, მთლიანი საქართველოს იდეა, ამ იდეის განხორციელების გზა — საქართველოს სხვადასხვა კუთხის შვილების შეთანხმებული გმირული მოქმედება. ტყვეობაში მყოფ ნესტან-დარეჯანს საქართველოდ მიიჩნევდა, ხოლო მის გამომხსნელს ტარიელ-ავთანდილ-ფრიდონს ამერ-იმერის ქართველებად. აკაკი საჯარო ლექციებსა თუ მეგობარ-ნათესავთა ოჯახებში თავისი ხელმძღვანელობით შექმნილ „ვეფხისტყაოსნის" შემსწავლელ წრეებში აღნიშნავდა: „ვეფხისტყაოსნის" შესწავლა ჩაგიდგავთ გმირულ სულს, თავისთავისადმი რწმენას... ალგაფრთოვანებთ... და როცა ქართველი დედა ამ წიგნს გაიგებს და შორას შეიგნებს, მაშინ წარმოშობს ტარიელს, ავთანდილს, ფრიდონს, თინათინს... ქაჯეთის ციხიდან მიჯნურს ნესტანს გამოიხსნის" (ი. იმედაშვილის „მოგონება").

ქართველი კაცის აზროვნებისა და საქართველოს ბედისათვის აკაკი შოთა რუსთაველის ნააზრევს უდიდეს მნიშვნელობას აძლევდა. ამიტომ იგი ყოველნაირად ილწოდა „ვეფხისტყაოსნის" სწორად გაგებისა და პოპულარიზაციისათვის. აკაკი იყო წევრი „ვეფხისტყაოსნის" ტექსტის დამდგენი კომისიისა, რომლის მუშაობა აისახა 1888 წლის გ. ქართველიშვილის გამოცემაში.

აკაკის ღრმად სწამდა და მრავალგზის აღნიშნავდა, რომ გმირული წარსულის მქონე, სახელოვან შვილთა მშობელი ერი უკვდავია. ღირსეულ შვილთაგან საქართველოს უკვდავების პირველმაუწყებელი აკაკისათვის შოთა რუსთაველი იყო. აკაკი რუსთაველს ერის მოძღვრის სიდარბაისლით მიმართავს:

შენ ნიშნად უკვდავებისა
ერს მოვლენიხარ განგებით.

(„რუსთაველის სურათზე")

რუსთაველმა ყველაზე უკეთ ცხადყო ქართველი ერის მდიდარი კულტურული წარსული, ქართული აზროვნების უკვდავება. აკაკის მთელ შემოქმედებაში გატარებულია აზრი:

არ მოკვდება ის ერი, ვინც
წარმოშვა რუსთაველი.

(„მარჯორი უორდროპის სახსოვრად")

აკაკისათვის რუსთაველი თავდებია საქართველოს სახელოვანი წარსულისა, რომელიც განაპირობებს სასურველ მომავალს. პოეტს სჯერა, რომ გამარჯვებული ქართველი ხალხი „მოძღვრადაც მხოლოდ რუსთველს და სხვას არვის აღიარებს" („ჩვენი აწმყო").

აკაკი რუსთაველს უწოდებს: მგოსანთ მთავარს (პიესა „განთიადი"), უკვდავების წყაროს („ბაში-აჩუკი"), „მგოსანსა შობილს დიდებულ დროში და სანეტაროდ მადლით გამსჭვალულს", რომლის ქნარი „სამოთხით იყო" („თამარ ცბიერი"). აკაკი აღნიშნავს, რომ რუსთაველმა უკვდავყო ქართული ენა. იგი მოხიბლულია შოთა რუსთაველის ენით, როგორც თამარისდროინდელი მთლიანი საქართველოს ენით („ენების გასამართლება"). ენა აკაკის ეროვნული მეობის ძირითად საზომად მიაჩნია. იგი დარწმუნებულია, რომ „რუსთაველის მშობელ ერს ენა არ შესძულდება" („წერილი პატარა მეგობრებს").

აკაკის მოსწონს და სწამს ტრადიციული აზრი: შოთა რუსთაველმა „ვეფხისტყაოსანი" მიუძღვნა საქართველოს გამაძლიერებელ მეფე ქალს, თავის ტრფობის საგანსა და ამამღლერებელს თამარს. აკაკისათვის ეს დიდი შემოქმედების ძალის მქონე, შთამაგონებელი ფაქტია (ლექსები: „რამ გამოიწვია „ვეფხისტყაოსანი", „ცოცხალი სურათები", „ხიზმარი"; პიესა „თამარ ცბიერი" და სხვ).

აკაკის შემოქმედებაში ხშირად გვხვდება „ვეფხისტყაოსნის" გმირები. პოეტს თავი სამშობლოს გამოხსნის მეათურად, ტარიელად წარმოუდგება და უხმობს ფრიდონსა და ავთანდილს ქაჯთაგან (მტერთაგან) ნესტან-დარეჯანის (საქართველოს) გამომხსნელად („ჭაღარა").

აკაკი 150

აკაკი ახალგაზრდობას ასწავლის, რომ საქართველოს მთლიანობის იდეა უნდა განახორციელოს განათლებულმა, ძლიერი გრძნობა-გონების მომავალმა ტარიელ-ავთანდილ-ფრიდონებმა ნესტან-თინათინებთან ერთად. მომავალ თაობას უნდა ამშვენებდეს სიყვარულის, მეგობრობისა და გმირობის ის მაღალი თვისებები, რომლებითაც უხვად არიან დაჯილდოებული „ვეფხისტყაოსნის" გმირები (საყმაწვილო მოთხრობა „პატარა ტარიელი" და სხვ.).

აკაკის შემოქმედებაში ტარიელი, ავთანდილი, ფრიდონი, ნესტანი, თინათინი და ვახტანგ გორგასალი, ბაგრატ დიდი, დავით აღმაშენებელი, თამარი, ქეთევან წამებული, ერეკლე მეორე, ცოტნე დადიანი ერთნაირად სახელოვანი და სამაგალითო ისტორიული პირებია.

„ვეფხისტყაოსანში" აღწერილი სიყვარული, მსგავსად გმირობისა და მეგობრობისა, აკაკისათვის მისაბაძი და შთამაგონებელია. აკაკის შემოქმედებაში ხშირადაა საუბარი რუსთველურ სიყვარულზე, რომელიც რჩეულთა ხვედრია. აკაკისთან აზრობრივად და ლექსიკურადაც ფიგურირებს რუსთაველის მოძღვრება მიჯნურობაზე. აკაკისათვისაც ამქვეყნიური სიყვარული („ხელობანი ქვენანი") საზეოს დარია, „ოდეს არ სიძვენ, შორით ბნდებიან". რუსთაველი მრავალ ღირსებასთან ერთად სავალდებულოდ თვლის მიჯნურის მიერ „მძლეთა მებრძოლთა მძლეობას". ნესტან-დარეჯანი და თინათინი თავიანთი მიჯნურისაგან საგმირო საქმეთა შესრულებას მოითხოვენ, რასაც აკაკი „ბაში-აჩუკსა" და „თამარ ცბიერში" „პირობის დადებას" უწოდებს. აკაკისთვისაც სიყვარული და „საქმენი საგმირონი" განუყოფელია. სიყვარული დაკავშირებულია საზოგადოებისათვის, სამშობლოსათვის სასარგებლო საქმის შესრულებასთან. აღნიშნულის რუსთაველიდან მომდინარეობას აკაკი თვით გვამცნობს „ბაში-აჩუკში", რომელიც „ვეფხისტყაოსნის" ძლიერი გავლენითაა დაწერილი. აკაკის გმირები ბაში-აჩუკი, ცოტნე დადიანი („ნათელა"), ნიკო („თამარ ცბიერი") — სატრფოსაგან საგმირო, სამშობლოს საკეთილდღეო დავალებებს იღებენ. რუსთაველისამებრ, აკაკის აზრით, სიყვარული, ამამაღლებელი გრძნობა, ზრდის სამშობლოსადმი, ერისადმი მხახურების მოთხოვნილებას.

აკაკის მხატვრული და პუბლიცისტური ნაწერები მოჩუქურთმებულია რუსთაველის აფორიზმებითა და გამონათქვამებით. მას განსაკუთრებით უყვარს აფორიზმები „ჭირსა შიგან გამაგრება ასრე უნდა, ვით ქვიტკირსა" და „სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი!" ცხადია, იმპერიის მუხრუჭებში მყოფ საქრთველოს გასამხნევებლად და საგმიროდ ეს აზრები ესაჭიროებოდა. ამიტომ აკაკი წერეთლის მთელი შემოქმედება ამ აზრის მტარებელია. ასევე საკმაოდ ხშირია აკაკისთან რუსთაველის. აფორიზმების გავლენით შექმნილი სტრიქონები: რუსთაველი — „სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი!" აკაკი — „ცოცხალ მონაზე უმჯობესია თავისუფლების ძებნაში მკვდარი" („ბაგრატ დიდი"), ან „სჯობს მონებაში გადიდკაცებულს თავისუფლების ძებნაში მკვდარი" („პატარა კახი") და სხვა მრავალი.

საყურადღებოა, რომ აკაკის პირველი დათარიღებული (1852 წ.) ლექსის ფორმა „ვეფხისტყაოსნიდან" მომდინარეობს („ერთგულება ოჯახისა მრავალს კეთილს გააჩენსა..."). აკაკიმ პოეტური მეტყველება ხალხური და რუსთაველური ლექსის ფორმით დაიწყო და მისი ერთგული დარჩა. ვ. კოტეტიშვილი აღნიშნავდა, რომ რუსთაველური გრძელი შაირი აკაკის საყვარელი ფორმაა. ამ ზომით აქვს დაწერილი მრავალი ლექსი და პოემა. აკაკის ნათელი, სადა პოეტური ენაც ხალხური შემოქმედებიდან და რუსთაველიდან იღებს სათავეს.

აკაკი „ვეფხისტყაოსანში" თამარისდროინდელი საქართველოს სინამდვილის, სამშობლოსა და თამარისადმი რუსთაველის სიყვარულის ალეგორიულად გადმოცემას ხედავდა. ალეგორია კი აკაკის უსაყვარლესი ხერხია. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ალეგორიულად წერა აკაკიმ რუსთაველისგან აიტაცა და გამოიყენა თავის შემოქმედებაში.

აკაკის შემოქმედებით მოხიბლული საზოგადოება უდიდესი დაფასებისა და მადლიერების გამოსახატავად, მას რუსთაველს ადარებდა. როდესაც ეს თვით პოეტის თანდასწრებით აღუნიშნავთ, აკაკის უთქვამს: „როგორ შეიძლება მიწიერი ზეციურს შემადაროთ?" (ი. იმედაშვილის „მოგონება").

ნიშანდობლივია, რომ აკაკი წერეთელს სამწერლო მოღვაწეობის 50 წლისთავზე „პატრი მიხაილ თამარაშვილისა და რომის ქართველ სტუდენტთა გუნდისაგან" მიუღია სურათი, რომელზეც ერთად გამოსახულია სულმნათი შოთა და საქართველოს ბულბული აკაკი. სურათს წარწერილი აქვს რუსთაველის სიტყვები: „ვის მივანდო სახლი ჩემი, შენგან კიდევ ვინც მეფერა?..." აკაკი წერეთლის შემოქმედების იდეურ-მხატვრულმა სიახლოვემ „ვეფხისტყაოსანთან" სძლია დროის სიშორე და ორი დიდი პოეტის სახელი ძლიერ დააახლოვდა — შოთა და აკაკი.





გალაკტიონ ღლონტი

# მიხეილ თუმანიშვილი—70

## მიხეილ თუმანიშვილის თეატრი

ნოდარ გურაბანიძე

ვიდრე ამ წერილის წერას შევუდგებოდი კიდევ ერთხელ გადავიკითხე მიხეილ თუმანიშვილის მშვენიერი წიგნი „რეჟისორი თეატრიდან წავიდა“. მისმა ერთმა ფრაზამ თითქოს ერთბაშად გაანათა ის სამყარო, სადაც ამ რეჟისორის მიერ აგებული თეატრი დგას:

„ჩვენ ყველანი ერთად ვაშენებდით ტაძარს — სპექტაკლს!“ — გასაოცარი ფრაზაა! ჩემთვის, პირადად, იგი თავს უყრის ყოველივე იმ წარუვალს, სულის ამამაღლებელს და მშვენიერს, რაც მან სიტყვის თეატრალურ ქმედებად გადაქცევის დროს შექმნა, რაც ფანტასტიკური ხილვებიდან გამოიხმო და რეალობად აქცია. მეტიც: „იდეა აზრის“ (მისი გამოთქმაა) „ფორმის იდეად“ აქცია და თავისი განუმეორებელი მხატვრული სინამდვილე, როგორც ახალი რეალობა, თვალწინ დაგვიყენა, თითქოს ამბობდეს — ესაა ერთ-ერთი ნიმუში ილუზიების თამაშისა.

მისთვის თეატრი წმინდათაწმინდა ადგილია, რეპეტიციები — რიტუალია, რომლის მონაწილენი განწმენდილნი უნდა იყვნენ წვრილმანი ვნებისაგან და ყოველდღიური ზრუნვისაგან. ძველ დროში რომ ეცხოვრა, ლიტურგიული დრამა ან მირაკლი იქნებოდა მისი ამაღლებული მისწრაფებების სამყარო, რადგან სწორედ აქ, მოციმციმე წმინდა სანთლების შუქზე ილანდება იდეისათვის წამებული სულის ქმედება.

მაგრამ მან ჩვენს დროში იცხოვრა და ხშირად იძულებული იყო თეატრში გათამაშებული სცენების მიღმა ეძია სულის თავშესაფარი, სცენისა თუ ცხოვრების კულისებში მოეუშუშებინა შემაშფოთებელი ჭრილობები.

...„რეჟისორი თეატრიდან წავიდა!“ რა გულის შემძრავი ტკივილით ამოხრილილი სიტყვებია, თითქოს განწირული სულის უკანასკნელი კვეთებაა...

...ვინ, რომელი რეჟისორი წავიდა თეატრიდან???

მან მხოლოდ თეატრისათვის იცხოვრა, თითქოს ალთქმული ჰქონდა მისთვის მარტვილობა. არასოდეს უცდუნებია ამქვეყნიურ სიკეთეებს, არ ამყოლია წარმავალ ვნებებს, არაფერი არ „უშოვნია“ — მე ისიც კი მგონია, რომ მას საერთოდ ერთადერთი კოსტუმი და ერთი ნაქსოვი ჯემპრი აქვს — და მიუხედავად ამისა, იგი ერთ-ერთი უმდიდრესი კაცია და ეს სიმდიდრე მის მიერვე შექმნილი თეატრია — „მიხეილ თუმანიშვილის თეატრი“.

შევიდეთ ამ თეატრში, ვთხოვოთ მაესტროს ასწიოს ფარდა, ძველი თეატრალური ლამპით წაგვიძღვეს და გაგვინათოს ეს მარად მომხიბლავი და მარად მიმზიდველი იდუმალი სამყარო, ისევე, როგორც ამას აკეთებს მისი ერთ-ერთი პერსონაჟი „ჩვენს პატარა ქალაქში“.

მაგრამ, მე აქ ჩამესმის მისი მოკრძალებული ხმა: „ახლა მეც ვფიქრობ — რით ვარ მდიდარი? რა დავაგროვე? შვიდი სპექტაკლი: „ადამიანებო, იყავით ფხიზლად!“, „როცა ასეთი სიყვარულია“, „ჰინზრაჰა“, „ანტიგონე“, „ესპანელი მღვდელი“, „ბაკულას ღორები“, „დონ ჟუანი“, „ჩვენი პატარა ქალაქი“. რატომ მაინცდამაინც ესენი? — ფაქტობრივად, ერთმანეთისაგან განსხვავებული პატარ-პატარა სამყაროებია“.

მეც, ამ წუთში, როცა ამ სტრიქონებს ვწერ, თვალწინ მიდგას „სამყაროები“ თავიანთი მრავალფეროვნებით, სიცოცხლით და მოძრაობით სავსენი, სადაც ადამიანები განიცდიან, იბრძვიან, ტირიან, იცინიან და ყველაფერი ეს ემორჩილება პლასტიკისა და ჰარმონიის კანონებს, მისნურ, ჯადოსნურ პროპორციებს.

შვიდი სპექტაკლი!

საკრალური რიცხვია!

ამის ნახევარიც კი საკმარისია, რომ რეჟისორი სამუდამოდ შევიდეს ქართული თეატრის ანალებში. ეს სპექტაკლები ორ სხვადასხვა თეატრშია დადგმული, მაგრამ ერთი რამაა გასაკვირი — თემურ ჩხეიძის ზუსტი თქმით: — „სადაც იყო, თავის თეატრს ქმნიდა“, რადგან, დავსძენთ ჩვენის მხრივ, მას ყოველთვის ჰქონდა (და აქვს ახლაც, ცხადია!) თავისი სათქმელი, თავისი ჯადოსნური სარკე, სადაც ეს ქვეყანა ისე ირეკლებოდა, როგორც ამას მისი გონიერი თვალები ხედავენ. ეს ანარეკლი უფრო ხშირად სხვაა ვიდრე სინამდვილე, მაგრამ იგი თავისი საკუთარი ხელოვნების სიმართლით სუნთქავს.

შევდივარ ამ წარმოსახულ თეატრში და მის კედლებზე ვხედავ უამრავ აფიშას: „პოეზიის სადამო“, კ. ბუაჩიძის „ამბავი სიყვარულისა“, გ. ხუხაშვილის „ზღვის შვილები“, ლ. ქიაჩელის „ტარიელ გოლუა“ და „გვადი ბიგვა“, ო. იოსელიანის „სანამ ურემი გადაბრუნდება“, შექსპირის „მეფე ლირი“, „ზაფხულის ღამის სიზმარი“ და „იულიუს კეისარი“, რასინის „ფედრა“, ა. სუხოვო-კობილინის „საქმე“... ეს სპექტაკლებიც კი, რომელთაც იგი თავის „სიმდიდრეში“ არ მოიხსენიებს (კიდევ რამდენიმე რეჟისორს რომ ეყოფა სახელის მოსახვეჭად!), აღსავსეა ორიგინალური რეჟისორული სვლებით, მეტაფორულ-პლასტიკური სახეებით და შესანიშნავად, ზოგჯერ კი ბრწყინვალედ შესრულებული როლებით, უამრავი გონებამახვილი დეტალით, მოულოდნელი რაკურსით, უცხო რეალიით.



აქ ერთი საოცრება კიდევ ისაა, თუ სად, როდის „დაიჭირა“ მისმა „თეტრალურმა“ მეხსიერებამ ამდენი რამ, როგორ დაიმახსოვრა და აღბეჭდა ყოველივე ეს — გარდაქმნილი ცხოვრებისეული საგნები თუ მოვლენები. იგი ხომ ასკეტური ბუნების კაცია: — გაურბის ხალხმრავალ თავყრილობებს, ვერასოდეს ვერ ნახავთ ბანკეტებზე თუ საზეიმო სუფრასთან, ვერ გააჩერებთ უქმად მოსაუბრეთა თუ უსაგნოდ მოკამათეთა საზოგადოებაში. ქუჩაშიც თითქმის ყოველთვის მარტო დადის, აჩქარებული ნაბიჯით, თავის ფიქრებში ღრმად ჩაძირული მიემართება თეატრისაკენ (მის შემხედვარეს ასე მგონია — ყველა გზა მისთვის მხოლოდ თეატრში მიდის). მ. თუმანიშვილის წიგნის უკანასკნელი სტრიქონია „მე თეატრში მივდივარ. აბა, სხვაგან სად უნდა მივდიოდე?“ ამ ასკეტურობას კიდევ უფრო ხაზს უსვამს მისი გამხდარი, მაღალი სხეული, გრძელი, თითქოს თაფლის სანთლისგან ჩამოქნილი თითები, რომელიც ზოგჯერ მექანიკურად, კრიალოსნის მარცვლებს ითვლიან, სახის მკვეთრი ნაკვთები. მაგრამ ამ შთაბეჭდილებას აქარწყლებს მომშვილდული, შავ წარბებს შეფარებული შუქმოელვარე თვალები (აქ ვერ ვიკითხავთ: — „თუ დრომ გადაუარა და ჩაუქრო ალები“ — რადგან ჭაბუკური ცეცხლია ისევ შიგ დაგზნებული), ძველი თეატრალები, ამ თვალებისა და შუაზე გაყოფილი, ყვრიმალებზე ჩამოშლილი შავი თმის გამო (ხელის ნერვიული მოძრაობით რომ ისწორებდა, რათა მეორე წუთში ისევ ჩამოშლოდა) კოტე მარჯანიშვილს ამგვანებდნენ.

საიდუმლო ისაა, რომ ეს ვითომდა ასკეტური ბუნების კაცი უაღრესად ინტენსიური შინაგანი ცხოვრებით ცხოვრობს, მისი ყოველი წუთი სავსეა ფიქრით, დაკვირვებით, ანალიზით, რეალურობის გათეატრალებით და თეატრალურობის გარეალურებით, შედარებით, ფერებისა და შუქ-ჩრდილების აღქმით.

...მისი გრაფიკული ჩანახატებიც კი პატარ-პატარა ეტიუდებია, სადაც წამიერი მოძრაობა, ადამიანთა ურთიერთობა ისეა დაფიქსირებული, თითქოს რომელიმე სპექტაკლის მიზანსცენები — პლასტიკური რეპლიკების სახითაა მოწოდებული...

...არც ისაა შემთხვევითი, რომ მისი მახვილი თვალი ხეების ფესვებში, გამხმარ ტოტში რაღაც უცნაურ ცხოველს თუ არსებას ჭვრეტს და დანის მარჯვე მოძრაობით ათავისუფლებს მას გაურკვეველი ფორმის ტყვეობისაგან, რათა ორიგინალური სახე მიანიჭოს...

თეატრში, რეპეტიციებზე იგი სულ სხვა კაცია, სხვა გუნებაგანწყობილებით სავსე, სადაც გონიერებას, ღრმა ანალიტიკურობას ფეთქებადი ტემპერამენტი ენაცვლება, განრიდებას — მძაფრი, თითქოს დამაელექტრონებელი კონტაქტები, რის შედეგად მოქმედებათა თუ განწყობათა მრავალვარიანტული მიკრო სამყაროები (ეპიზოდები) იქმნება, რათა შემდეგ ისინი, რაღაც მოუხელთებელი, მხოლოდ მისი ინტუიციისა და გონებისათვის მისაწვდომი გზით წარიმართონ.

„ჩვენ იმისათვის მოვედით, რომ ყველაფერი შეგვეცვალა თეატრში“, — ამბობს იგი თავის ალმსარებლობით წიგნში. ეს მესიანური იდეა უძღოდა წინ, როცა ბის დროს იბადებოდა, როგორც უკანასკნელი, დამაგვირგვინებელი აკორდი მისი ცხოვრებისა. ეს ცხოვრება კი ჩვენს თვალწინ იშლებოდა სინამდვილის უფრო სარწმუნო და მართალ სურათებად, ვიდრე თვით არსებული რეალობა იყო. ადამიანთა მოქმედება, მათი საქციელი მოვლენებზე უშუალო რეაქციის შედეგი იყო, არა მარტო ბუნებრივი, ფსიქოლოგიურად გამართლებული, ცხოვრებისეული, არამედ ამავ დროს თეატრალურად დახვეწილი, არტისტული (აქ არ შემიძლია არ გავიხსენო, ეროსი მანჯგალაძის შეუდარებელი „მამილო“ და მედეა ჩახავას — ლიდა პლაზა), ყოველი დეტალი — მეტყველი, ჟესტი — ზუსტი, შინაგანი არსებიდან წამოსული და ამდენად იმპულსური, თითქოს გაუცნობიერებელი, რადგან აქ არაფერი გახლდათ „დაყენებული“.

სპექტაკლის შემდეგ, მისი უკლებლივ ყველა მონაწილე სცენის რამპის გასწვრივ ერთ ხაზზე გამწკრივდა — ესეც უჩვეულო რამ იყო, მაშინ, თუ არ ვცდები, პირველი „დადგმული მადლობა“ გახლდათ — თითქოს ეუბნებოდნენ აუდიტორიას — ამ წარმატებას ყველანი თანაბრად ვიზიარებთო.

დაუვიწყარი, ბედნიერი წუთები იდგა, რომელიც არც ისე ხშირია ხოლმე თეატრში.

ამის შემდეგ მალე ვიხილეთ

იგი თავის თანამოაზრეებთან ერთად (თეატრალურმა ფოლკლორმა მათ „შვიდკაცა“ შეარქვა) ჰეროიკულ-რომანტიკული თეატრის უკანასკნელი ციტადელის — რუსთაველის თეატრის გარდაქმნას იწყებდა, მაშინ, როცა ამ თეატრის სცენაზე ორი დიდი აკაკი — ხორავა და ვასაძე — უმაღლესი ოსტატობის განუმეორებელ გაკვეთილებს იძლეოდნენ და რომელთა შემოქმედებითი და თეატრალური ავტორიტეტი შეუვალი იყო...

მ. თუმანიშვილის ძალა ის იყო, რომ იგი ახალი თეატრალური თაობის ლიდერად იქცა, სცენის ამ თაობის ძალა კი ის იყო, რომ ისინი უკვე მთელი თაობის სათქმელს ამბობდნენ. მათ აინტერესებდათ ადამიანის შინაგანი სამყარო, იქ მომხდარი ფსიქოლოგიური ძვრები, ცდილობდნენ ღრმად ჩასწვდომოდნენ ცხოვრების სიმართლეს, ამოეხსნათ მოვლენების შინაგანი იმპულსები, მოქმედებათა მიზეზების წარმომქმნელი ძალის საიდუმლო. თეატრალური ხერხებით გამოეხატათ დროის სათქმელი, რომელიც ამავ დროს პიროვნულ-ინდივიდუალური უნდა ყოფილიყო.

პირველი სპექტაკლი, რომელმაც ჭეშმარიტი აღიარება მოუპოვა რეჟისორს, იყო ი. ფუჩიკის რეპორტაჟის მიხედვით შექმნილი „ადამიანებო, იყავით ფხიზლად“.

ეს თეატრში მოსული ახალი თაობის ერთგვარი მანიფესტი იყო, იგი გარეგნულად თითქოს არც უპირისპირდებოდა რუსთაველის თეატრის ჰეროიკულ-რომანტიკულ სტილს, იმ დროისათვის უკვე საკმარისად ავტორიტეტშელახულს. აქაც იყო რომანტიკული „ალმაფრენა“, ზოგადი, საყოველთაო ხასიათის „მასშტაბური“ განზოგადება (კოტე მახარაძის — ფუჩიკის მგზნებარე მიმართვა მაყურებლისადმი „ადამიანებო, მე თქვენ მიყვარდით!“) მაგრამ ეს სხვა ბუნების რომანტიზმი იყო, რომელიც კონკრეტული ადამიანის უკიდურესი შინაგანი დაძაბულო-

ქართული თეატრის ერთ-ერთი ყველაზე ფეიერვერკული, ფერადოვანი, ხალისიანი, კომედიური ფათერაკებით, ჯანსაღი რენესანსული სულისკვეთებით პირთამდე სავსე — ფლეტჩერის „ესპანელი მღვდელი“ (1954 წ.) აქ ყველაფერი თეატრალურ გათამაშებას, წარმოსახვას, იმპროვიზაციას ემორჩილებოდა, კასკადზე გადმოღვრილი წყლის ნაკადივით მიედინებოდა, მოქმედებდა, მიდიოდა მსუბუქად, ძალდაუტანებლად, თავშესაქცევი ხალისიანობით. ყველა ეპიზოდი, ყველა სახე უაღრესად გამძაფრებული იყო, გროტესკული, მსუყე ფერებით დახატული, შეიძლება ვთქვათ — უკიდურესობამდე მიყვანილი —კიდევ ერთი ნაბიჯი და ჰარმონია დაირღვეოდა. „გროტესკი — ამბობს მ. თუმანიშვილი — თეატრალური თამაშის უმაღლესი ფორმაა, დანის ბასრ პირზე შიშველი ფეხით სიარულია. საზიზღარ სიცრუესა და უმაღლეს თეატრალურ სიმართლეს შუა გამავალი საზღვარია“. ამ ზღვარზე გადიოდა სწორედ ეს სპექტაკლი. პირველივე სცენა— წითელი კრამიტით დახურული ეკლესიის ფონზე, თეთრ მაღალ გალავანზე შემომსხდარი მღვდელი ლოპესი — ე. მანჯგალაძე და დიაკვანი — ე. აფხაიძე შეწუხებული, ცრემლმორეული სახეებით, მოთქმა-გოდებით და წამლერებით მოგვითხრობდნენ თავიანთი შეჭირვებული ცხოვრების გამო, მაგრამ ჩვენ იმის ნაცვლად, რომ გვეთანაგრძნო, ვხარხარებდით კომიკურ შეუსაბამობათა გამო; ეს მუცელგამნი, ფერ-ხორცით სავსე, ფრანსუა რაბლეს სამყაროდან აქ გადმომხდარნი, კრისტეს ფეხის მკვნეტელნი, სასოებისა და მონამეობრივი სათნოების ნიღაბს იფარებდნენ, რათა მეორე წამსვე ეჩვენებინათ თავიანთი ნამდვილი სახე, ხალისით მიელოთ მონაწილეობა სხვათა სასიყვარულო ინტრიგებში, სხვადასხვა გარიგებებში თუ ბუტაფორულ ცემა-ტყეპაში, საყოველთაო მხიარულ კარნავალში ჩაბმულნი მზად იყვნენ ყველაზე მკრეხელური სცენაც გათამაშებინათ: მიცვალებულს (?) დატირების რიტუალი ფარსული სითავხედით წარმოედგინათ: „გარდაცვლილ“ დიაკვანს, რომელსაც თეთრი ზეწარი ძლივს უფარავდა ვეება ღიპს და სახე წითლად უღაჟღაჟებდა, სახეწარკვეთილი, მაგრამ ნაღვინევი ლოპესი — მანჯგალაძე თავისი გამაოგნებელი ბარიტონით დასტიროდა ამ ფერხორცით სავსე იქედნურად გალიმებულ მიცვალებულს და მის გამო ასე მოსთქვამდა: „შეხედეთ, ხალხო, ცხვირი როგორ დაგრძელებიაო“. იგი ყოველ წამს ჰკარგავდა ვეება ჯვარს, რომელიც მის ხელში სხვადასხვა ფუნქციას ასრულებდა ხოლმე, პიესის „სერიოზული“ პარალელური სიუჟეტური ხაზი სპექტაკლის ამ გროტესკული სახეების გამო ასევე კომიკურად გაზვიადებულ ელფერს იღებდა. რეჟისორმა სასიყვარულო ისტორიები, რომლითაც სავსეა ეს პიესა, შეატრიალა, უკუღმა დააყენა, თვითდაპირისპირებამდე მიიყვანა. ისეთი გაზვიადებული სიმართლით წარმოადგინა, ისეთი თვითდაჯერებით გაათამაშებინა მსახიობებს, რომ ყველაფერი თეატრალური თამაშის საგნად აქცია. აქ ჩვენ ერთდროულად ვხედავდით მსახიობსაც და გმირსაც, ვგრძნობდით ირონიულ დამოკიდებულებას გამსახიერებელსა და განსასახიერებელს ანუ იმ ეფექტს, რომელიც შემდეგ ბრეჰტის „განსხვისების ეფექტის“ ცნებით გახდა ჩვენთვის ცნობილი. გ. გეგეჭკორის რაინდული სიყვარულის ისტორია რომანტიკული ტრფობის მსუბუქი პაროდია იყო, რ. ჩხიკვაძის — ლეანდროსა და მ. ჩახავას — ამარანტას ვნებიანი სიყვარული — ემსგავსებოდა მსუბუქ საჭადრაკო პარტიას, რომლის მონაწილენი, ურთიერთტრფობით თავბრუდახვეულნი „მცდარ“ სვლებს აკეთებენ ჭადრაკის დაფის შავ-თეთრი კვადრატებით დაფარულ სცენაზე, ხოლო კ. მახარაძის მოსამართლე თვითდაჯერებულობით, სიმართლის პათეტიკური ქადაგებით (იგი ქვევით, სცენაზე, იშვიათად ჩამოდიოდა, ზევიდან, მოედანზე გადებული, მორკალური ხიდი-ტრიბუნიდან თუ აივნიდან აფრქვევდა ტირადებს) თვით ამ პათეტიკას, ამაღლებულ სტილს ბუტაფორიულ „სიდიადეს“ ანიჭებდა.

თითქოს ამ თავბრუდამხვევი წარმატებით შემკრთალი რეჟისორი „გამოფხიზლდა“ და ლ. ქიაჩელის „ტარიელ გოლუას“ დადგმით (1955 წ.) ერთგვარი ხარკი გაუღო „რევოლუციური რომანტიკის ჰეროიკას“. თუ რა მოჰყვა ამას, იმაზე უკეთ ვერავინ იტყვის, ვიდრე თვით ამბობს თავის წიგნში „რეჟისორი თეატრიდან წავიდა“. რატომ გავურიე ეს ერთი წვეთი „შხამი“ ამ საიუბილეო კოქტეილში? მხოლოდ იმიტომ, რომ მეთქვა — კომპრომისებისაგან თვითონ ყველაზე ნიჭიერი შემოქმედნი არ არიან დაზღვეულნი და ის, რომ მათზე მწარედ არავინ განიცდის სისუსტისა თუ შინაგანი მერყეობის ამ წუთებს.

თითქმის ხუთი წელი დასჭირდა გონსმოსასვლელად. 1959 წელს ვიხილეთ მისი შემოქმედების ერთ-ერთი შედევრი პ. კოჰოუტის „როცა ასეთი სიყვარულია“ (მანამდე დადგა ნუშიჩის „ფილოსოფიის დოქტორი“ და კ. ბუაჩიძის „ამბავი სიყვარულისა“). ეს მისი ყველაზე პირობით-თეატრალური სპექტაკლი იყო, მხოლოდ მეტყველი, აუცილებელი დეტალებით თუ საგნებით იყო მინიშნული გარემო. ეს ნიშნები უმალ საცნობ მეტაფორულ სახეებს იძენდნენ, მოქმედების დროს გადაიქცოდნენ ქმედით, აუცილებელ რეალიებად, ჰქმნიდნენ სცენურ ატმოსფეროს, სივრცეს მოცულობით სისავსეს ანიჭებდნენ. — მეტაფორების თეატრი რეჟისორის ენაა: „რა საინტერესო აღმოჩნდა არა მხოლოდ მსახიობის, არამედ საგნების, ალეგორიების ენით სცენურ სიმბოლოთა შექმნა“, — იტყვის იგი შემდეგ. აქ უპირველესი და უმთავრესი მომენტი იყო გასათვალისწინებელი. სამყაროს მოდელი — მოცემული პირობით, თეატრალური პირობითობა იყო, სადაც ასევე პირობითი ცხოვრება მიმდინარეობდა, რომელსაც

(დასასრული მე-14 გვ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

(დასასრული)

ჰქონდა თავისი სიმართლე. ამ პირობითი სიმართლისა და თეატრალობის შერწყმა იძლეოდა ჭეშმარიტ ჰარმონიას, სრულქმნილ თეატრალურ სანახაობას. ამ მხრივ ეს სპექტაკლი, მართლაც შეუთავსებელის შეთავსების ნიმუში იყო. პირობით თეატრალურ გარემოში მოქმედი გმირების დაძაბული ფსიქოლოგიური ცხოვრება, მათი სულიერი ამაღლება და დაცემა, დრამატიზმით სავსე ეპიზოდები თითქოს სხვაგვარ გარემოში წარმოუდგენელიც კი იყო. ეს პირობითი თეატრალური გარემო ახალი თეატრალური სინამდვილის ზუსტი წარმოსახვით იყო გამართლებული.

ოომოცდაორი წლის იყო, თოთხმეტი სპექტაკლის ავტორი, აქედან სამი შედევრად შეგვიძლია მივიჩნიოთ — თითქოს ყველა საიდუმლოს მიაგნო, ყველაფერს ჩასწვდა, მაგრამ არ ისვენებდა მისი მაძიებელი გონება და სული. რუსთაველის თეატრის მცირე სცენაზე ახალ-ახალი ექსპერიმენტები წამოიწყო, იმპროვიზაციების დაუსრულებელ ნაკადს გაუხსნა სათავე. გ. ნახუცრიშვილის „ჭინჭრაქაში" (1968 წ.) ნიღბების, მიმეტური თამაშის, კოსტუმების კარნავალი გამართა. უბრალო ზღაპარი გადაიქცა ბრწყინვალე ალეგორიულ სანახაობად, ფანტასტიკური, დაუჯერებელი ამბების მხიარულ წარმოდგენად. სახემოხატული მსახიობები ერთობოდნენ, ლაღობდნენ, ფანტაზიორობდნენ, იცვლიდნენ ხმებს, უცნაურ პლასტიკურ ეტიუდებს ქმნიდნენ, ბაძავდნენ ცხოველებსა თუ ზღაპრულ არსებებს, მღეროდნენ, წარმოსახულ გოლიათებს ებრძოდნენ. აქ ყველაზე დაუჯერებელი ამბები შეიძლება ისე მომხდარიყო, რომ ნამდვილად ვიჯერებდით. ს. ზაქარიაძის უზარმაზარი დევი — ვიწრო მაისურში და ჯინსებში გამოკვეთილი, მაღალ „ბათინკა-ტრაქტორებზე" შემდგარი, რომლის გონება ემბრიონალურ მდგომარეობაში დარჩენილა, ხოლო სხეული უზომოდ განვითარებია — აგრესიული თამაშის, ალტკინების, ბავშვური წარმოსახვების სტიქიას ეძლეოდა და ათასნაირ ფათერაკში თუ კომიკურ სიტუაციაში ვარდებოდა და მაინც წარმოსახული სინამდვილიდან რეალობაში არ გადმოდიოდა. ბუფონადა, ატრაქციონი, აკრობატიკა ერთმანეთს ენაცვლებოდა და საზღვარი არ ჰქონდა თითქოს. აქ ყველაფერს წარმართავდა რ. ჩხიკვაძის — ქოსიკო — ფიზიკურად უძლური, ნახევრად ყრუ (ერთი ყური უზარმაზარი და მთლად წითელი ჰქონდა), მოხუცი, წელში მოკაკული „ბოროტი სული", რომელიც თავის ალხაზრდელ დევს მრავალ სახალისო ეტიუდებს სთავაზობდა ამოსახსნელად. ხომ შესანიშნავი იყო ტყის ბინადართა სახეები — დათვი — ე. მანჯგალაძე, მგელი — გ. გეგეჭკორი, მელა — მ. ჩახავა და ზ. ბოცვაძე, ტურა — ზ. კვერენჩხილაძე — (რად ღირდა მათი მზადება ფოლკლორული ოლიმპიადისათვის), მაგრამ სპექტაკლის ჰომერულ ფონს მაინც ს. ზაქარიაძე და რ. ჩხიკვაძე ჰქმნიდნენ. აქ მთელის სისრულით პირველად გამოჩნდა რ. ჩხიკვაძის საოცარი ნიჭი სახასიათო როლის შექმნისა, გროტესკული წარმოსახვის მისი შეუდარებელი უნარი.

ევროპულ ინტელექტუალურ დრამასაც პირველმა მიმართა — 1968 წელს დადგა ჟან ანუის „ანტიგონე", გარეგნული „სამკაულებიდან" ეს მისი ყველაზე „განძარცვული" სპექტაკლია, თითქოს ერთის ამოსუნთქვით დადგმული (სპექტაკლის გაფორმებაც მასვე ეკუთვნოდა).

ეს რაფინირებული რემინისცენცია ანტიკური დრამისა აქ უკიდურესი დაძაბულობის, პოლარულობის, „ჰო"-სა და „არა"-ს შორის შეურიგებელი ბრძოლის ასპარეზი იყო. ყოველი ეპიზოდი, ს. ზაქარიაძის — კრეონისა და ზ. კვერენჩხილაძის — ანტიგონეს შეჯახება, დაუნდობელი პაექრობა, ბოლოს, აზრისა და ემოციის სამკვდრო-სასიცოცხლო შერკინებად იყო გადაქცეული.

ერთდროულად ჩნდებოდა, მეუფეულად იბადებოდა და ბუნებრივი უშუალობით ხასიათდებოდა. ცალკეული ეპიზოდის პოლუსები ანგრევდნენ მონოტონურობასა და სიმეტრიას (ასევე ინგრეოდა სიმეტრიულად აწყობილი დეკორაციებიც).

...რუსთაველის თეატრის 100 წლისთავის საიუბილეო საღამოზე მსახიობები რეფრენით იმეორებდნენ „თაობა მიდის, თაობა მოდის"...

ეს ის დროა, როცა მ. თუმანიშვილს უკვე დამთავრებული აქვს თავისი წიგნი „რეჟისორი თეატრიდან წავიდა".

თეატრიდან წასული რეჟისორი — მიხეილ თუმანიშვილი გახლდათ: — „თაობა მიდის, თაობა მოდის". „წასული", სასოწარკვეთილებამდე მისული რეჟისორი თეატრალური ინსტიტუტის ერთ-ერთ აუდიტორიაში ზის და მის წინ მსხდომი სტუდენტები ზიარებასავით ელიან მისგან ყოვლისმომცველ სიტყვას. ამ უიმედობის, მწვავე განცდების ტკივილში იბადება „მეთერთმეტე აუდიტორიის თეატრი", რომელიც შემდგომ 1978 წლის 14 იანვარს კინომსახიობთა თეატრ-სახელოსნოს სახით მოგვევლინა.

სამოც წლამდე არაფერი აკლდა. ამ დროს რეჟისორები სტოვებენ თეატრს. მან კი სრულიად ახალი თეატრი, თავისი შემოქმედების გვირგვინი შექმნა. და ყველა გაგვაოცა თავისი ახალი თეატრალური, იდეებით, თითქოს ანაზდეულად მოვლენილი ენერგიით და რეჟისორული ოსტატობის ისეთი დონით, რომელსაც მხოლოდ სიბრძნე წარმოშობს. მან შეძლო ახალგაზრდა მსახიობების ნიჭის, სიცოცხლის ხალისისა და თვითდამკვიდრების ბუნებრივი სურვილის შეერთება თავის უმდიდრეს გამოცდილებასთან. მან ოსტატობა და სიბრძნე გადასცა მათ, მათგან კი ენერგია, უშუალობა, სიცოცხლის ახალი იმპულსები მიიღო.

„მიხეილ თუმანიშვილის თეატრში" უმთავრესი ფიგურა მსახიობი-შემოქმედია. ამ თეატრის დევიზად შეიძლება გამოდგეს თქმა „ადამიანი მშვენიერია", რეჟისორი თითქოს გვეუბნება: „შეხედეთ ადამიანს, იგი ბუნების საოცრებაა, დაუკვირდით, როგორ განიცდის იგი, როგორ ტირის, როგორ იცინის, ლაპარაკობს, უსმენს, რა ჰარმონიაა ხაზების, რა მშვენიერი შერწყმა მოცულობების, რა უცნაური მექანიკაა მოძრაობის. მაგრამ სცენა[illegible]ე ასული ადამიანი-მსახიობი უპირველესად [illegible]არტისტულად უნდა ხვეწდეს ამას. ხწორედ ასეთი არტისტები ჰყავს თავის მიერვე შექმნილ თეატრში, და სავსებით კანონზომიერია, რომ ამ თეატრმა საყოველთაო აღიარება მოიპოვა. გავიხსენოთ თანამედროვე თეატრის მეტრის პიტერ ბრუკის სიტყვები: „იქნებ წახვიდეთ თბილისში მოლიერის აღმოსაჩენად? რატომაც არა! იქ არის თეატრი, სადაც თუმანიშვილის დადგმით მიდის „დონ-ჟუანი", საუკეთესო სპექტაკლი, რომელიც მე აქამდე მინახავს".

ერთგან რეჟისორი ამბობს, რომ იგი სპექტაკლში ეძიებს ორ სიუჟეტს „ჰორიზონტალურსა" და „ვერტიკალურს". ჰორიზონტალურ სიუჟეტს წინ მიჰყავს მოქმედება, დინამიურს ხდის ამბების განვითარებას, ამწვავებს კონფლიქტურ დაპირისპირებას. „ვერტიკალურზე" — კი ასხმულია ალეგორიები, მეტაფორები, ქარაგმები, ნიშნები.

ამ ორი ნაკადის ორგანული მთლიანობა ავსებს მის სპექტაკლებს სიმძაფრით, გრძნობათა სიწრფელით, აზრის სიღრმითა და ჭეშმარიტი თეატრალობით. და ბოლოს, მას მივცეთ სიტყვა: „გაუმარჯოს ქართულ თეატრს — ძალზე ნიჭიერ, დაუდევარ, უთავბოლო, მაგრამ თხემით ტერფამდე თეატრალურ, ფიცხელ და ყოველთვის უკმაყოფილო ქართულ თეატრს!" („რეჟისორი თეატრიდან წავიდა".).

# ჯუმბერ ჭუმბურიძე — 70

დაბადებიდან 70 წელი შეუსრულდა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის პროფესორს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს ჯუმბერ ჭუმბურიძეს.

ჯუმბერ ჭუმბურიძე მეცნიერ-ფილოლოგთა იმ თაობის წარმომადგენელია, რომელსაც მძიმე და საპატიო ამოცანა დაეკისრა — ქართული უნივერსიტეტის დიდი ფუძემდებლების, უნივერსიტეტის პირველი მეცნიერული თაობის სახელოვანი საქმეები გაეგრძელებინა. ამ თაობის საუკეთესო წარმომადგენლებმა და მათ შორის ჯუმბერ ჭუმბურიძემ ეს ამოცანა ღირსეულად გადაჭრეს.

გამოჩენილი მეცნიერი, მამულიშვილი, ჭეშმარიტი ინტელიგენტი ბატონი ჯუმბერი სწორედ ის პიროვნება ბრძანდება, რომელსაც ადამიანებს, სულიერი შეჭირვებისა და მარტოობის ჟამს თუ რანაირად უნდა ედგეს ახლობელსა ახლობელს გვერდით. შინაგანი ზნეობრივი ხმისადმი ერთგულება მაღალადამიანური მრწამსის მქონე პიროვნების ნიშანია და ეს თვისება ამკობს სწორედ ბატონ ჯუმბერ ჭუმბურიძის თითოეულ ნაბიჯს საზოგადოებრივსა და მეცნიერულ მოღვაწეობაში.

ჯუმბერ ჭუმბურიძე ჩინებული აღმზრდელ-პედაგოგია. მისი ლექციები ყოველთვის ხასიათდება აკადემიზმით, მაღალმეცნიერული დონით. სტუდენტები პატივისცემით და კრძალვით არიან გამსჭვალულნი ერთობ გულისხმიერი, ახალგაზრდობის დიდი ქომაგის, მაგრამ ამასთანავე უაღრესად პრინციპული და მომთხოვნი ლექტორის მიმართ.

პედაგოგიურ და საზოგადოებრივ საქმიანობას ჯუმბერ ჭუმბურიძემ იმთავითვე შეუხამა ნაყოფიერი მეცნიერული კვლევა-ძიება.

მრავალმხრივია მისი ლიტერატურათმცოდნეობითი ინტერესები; მაგრამ განსაკუთრებული ადგილი მის საკვლევ ობიექტთა შორის რომანტიზმისა და ქართული კრიტიკულ-ლიტერატურული აზროვნების პრობლემებს უკავია. ხოლო ყოველი კულტურულ-ქრისტიანული ერის ისტორიაში რომანტიზმისა და კრიტიკული აზროვნების კვლევას უაღრესად მნიშვნელოვანი ადგილი რომ უჭირავს, უკვე ამის გახსენებაც საკმარისია იმ სირთულეების გასათვალისწინებლად, რომლის წინაშე იდგა ჯუმბერ ჭუმბურიძე, როცა ქართული რომანტიზმის პრობლემებს იკვლევდა და ჩვენი მრავალსაუკუნოვანი კრიტიკის ისტორიას ქმნიდა.

თუ ამას დავუმატებთ მის ბოლოდროინდელ ინტერესს ვაჟას სამყაროსადმი, აღმოჩნდება, რომ მეცნიერის ხედვის არეში და მისი ანალიზის ობიექტად მხატვრულ-კრიტიკულ აზროვნებაში გაწფენილი ქართული ეროვნული სულის უმნიშვნელოვანესი პრობლემებია ქცეული.

პროფესორ ჯუმბერ ჭუმბურიძის წიგნებს „ნარკვევები კრიტიკისა და ლიტერატურის ისტორიიდან" (1958 წ.), „ქართული კრიტიკის ისტორია" (II გამოც. 1974 წ.), „მწერლები და კრიტიკოსები" (197[illegible] წ.) გვერდს ვერ აუვლის ვერც ერთი მკვლევარი-კრიტიკოსი, ვისაც კი მიზნად დაუსახავს საზოგადოდ ქართული მწერლობისა და კრიტიკული აზრის განვითარების კვლევა.

აღსანიშნავია, რომ ჯუმბერ ჭუმბურიძის ორი ნარკვევი — ერთი ქართული რომანტიზმისა, ხოლო მეორე ქართული კრიტიკის ისტორიის შესახებ, გამოქვეყნდა გერმანულ ენაზე გერმანო-საქართველოს ერთობლივ ჟურნალში.

იგი თანაავტორია ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის სახელმძღვანელოსი (I ნაწ., მეორე გამოცემა, 1972 წ.), ამჟამად ამ სახელმძღვანელოს მეორე წიგნი მზადდება. მისი მონაწილეობით მომზადდა და გამოიცა სახელმძღვანელო-ქრესტომათია მე-19 საუკუნის ქართულ ლიტერატურაში (1978 წ.).

ყურადღებას იმსახურებს ჯუმბერ ჭუმბურიძის პუბლიკაციები. მან მეცნიერთა ყურადღება მიაქცია ბევრ საგულისხმო მასალას და დოკუმენტს ქართული ლიტერატურის ისტორიის და კრიტიკის თვალსაზრისით რომაა უაღრესად მნიშვნელოვანი.

საგანგებოდ აღსანიშნავია ის დიდი დამსახურება, რაც ჯუმბერ ჭუმბურიძეს გრიგოლ ორბელიანის შემოქმედების გამოცემის საქმეში მიუძღვის. აკაკი გაწერელიასთან ერთად მან მოამზადა და 1959 წელს დასტამბა გრიგოლ ორბელიანის თხზულებათა სრული კრებული, რომელიც რჩება დიდი პოეტის ლიტერატურული მემკვიდრეობის ყველაზე სრულ და მეცნიერულად სანდო გამოცემად.

ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობა გაშალა ჯუმბერ ჭუმბურიძემ ვაჟა-ფშაველას კაბინეტში. მისი თანაავტორობით და რედაქციით მომზადდა ამ კაბინეტის მიერ გამოცემული ათამდე წიგნი.

გრიგოლ კიკნაძის გარდაცვალების შემდეგ ამ კაბინეტის მუშაობას სათავეში თვითონ ჩაუდგა. მისი ხელმძღვანელობით კაბინეტი ინარჩუნებს მუშაობის იმ მაღალმეცნიერულ დონეს და სტილს, რომელიც აქ მისმა დამაარსებელმა დაამკვიდრა.



# მეცნიერის, აღმზრდელის, მოქალაქის გზა

ყოველნაირი უფლება აქვს ინტელიგენტის საპატიო სახელი ატაროს. მას დიდი ოჯახური გარემოდან მოდგამს ინტელიგენტისათვის დამახასიათებელი თაყვანისცემა ფაქიზი განცდებისა და მომხიბვლელი აზრებისადმი, რომელთა ქვაკუთხედი და მამოძრავებელი ძალა, პირველყოვლისა, მამულის სიყვარულია. ამიტომაც, სავსებით ბუნებრივია, რომ დემოკრატიული, დამოუკიდებელი საქართველოს ერთ-ერთი თვალსაჩინო მოღვაწის ნიკოლოზ ჭუმბურიძის ერთადერთ ვაჟს თავისი ცხოვრების [illegible]ანაარსად სამშობლოს სამსახური ექცია და თავდადებით ედვაწა მისთვის.

სამოცდაათი წლის მანძილზე ჩვენში არსებული მძიმე სოციალურ-პოლიტიკური პრესინგის გამო ბატონმა ჯუმბერმა, როგორც პოლიტიკური ემიგრანტის შთამომავალმა, ნათელი, მამულიშვილური გრძნობების რაინდულად მატარებელმა კაცმა, ბევრი სიმწარეც იგემა, მაგრამ ნამდვილი სიხარულიც განიცადა.

მისთვის სიხარულის მომნიჭებელი იყო ახლო ყოფნა, ურთიერთობა დიდ მასწავლებლებთან: კორნელი კეკელიძესთან, მიხეილ ზანდუკელთან, არნოლდ ჩიქობავასთან, გიორგი ახვლედიანთან, სიმონ ყაუხჩიშვილთან, კოტე ბაქრაძესთან, ვარლამ თოფურიასთან, პავლე ინგოროყვასთან, ალექსანდრე ბარამიძესთან; განსაკუთრებით სასიხარულო ფაქტთაგანი ის გახლდათ, რომ ჯუმბერ ჭუმბურიძეს ახლო მეგობრული და ინტელექტუალური ურთიერთობა ჰქონდა ისეთ პიროვნებასთან, როგორიც იყო გრიგოლ კიკნაძე. გრიგოლ კიკნაძის, მასწავლებლისა და უფროსი მეგობრის, ზნეობრივ-ინტელექტუალური ცხოვრების სტილმა ხელი შეუწყო მისი, როგორც მეცნიერის და მამულიშვილის შესაძლებლობების გაშლას. ჯუმბერ ჭუმბურიძე პიროვნული სინათლით, მხოლოდ ერთგულებით, თანადგომით პასუხობდა ამას. იმ დროს, როცა არალიტერატურული და ფსევდომეცნიერული საბჭოური ძალებისაგან გარიყული იყო გრიგოლ კიკნაძე, ჯუმბერ ჭუმბურიძე თავისი თანადგომით, კოლეგიალური და მეგობრული ურთიერთობით მაგალითს აძლევდა რწმენაშერყეულ

ჯუმბერ ჭუმბურიძის მეცნიერული ხელმძღვანელობით ბევრი საკვალიფიკაციო ნაშრომი მომზადდა და დღესაც მზადდება.

ბატონი ჯუმბერი აქტიურად მოღვაწეობს საზოგადოებრივ სარბიელზეც. იგი არის ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს წევრი, უნივერსიტეტისა და შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტთან არსებული სპეციალიზებული სამეცნიერო საბჭოების წევრი, ქართული ენციკლოპედიის ქართული ლიტერატურის სექციის წევრი, გოეთეს საერთაშორისო საზოგადოების საქართველოს განყოფილების პრეზიდიუმის წევრი და ა. შ.

პროფესორი ჯუმბერ ჭუმბურიძე, როგორც მამულიშვილი, ცხოვრობს საქართველოს ჭირ-ვარამზე ფიქრითა და მის მომავალზე ოცნებით. ბატონი ჯუმბერის ეს პატრიოტული განწყობილება და მოქალაქეობრივი პოზიცია კარგად ჩანს მის ბოლოდროინდელ სტატიებში და საჯარო გამოსვლებში. სწორედ „ლიტერატურული საქართველოს" ფურცლებზე გამოქვეყნდა მისი წერილი „რეალიზმის შესახებ", სადაც დიდი გაბედულებით და დამარწმუნებელი არგუმენტებით არის წარმოდგენილი ე. წ. „სოციალისტური რეალიზმის" კრიტიკა.

ბატონი ჯუმბერი ყველაფერს მისთვის ჩვეული სიჩუმით აკეთებს და სავსებით იფერებს დიდი ვაჟას სიტყვებს:

„ბევრი სიკეთის მოქმედსა
თავი არ დაურჩენია.
არ უყვირია სხვებსავით —
„ეს მადლი დამითესია",
ყოფილა ჩუმად თავისთვის,
როგორც ვაჟკაცის წესია.

ღვაწლმოსილი მეცნიერი და აღმზრდელი კვლავაც გატაცებით ეძიებს, იკვლევს, კითხულობს ლექციებს, კვლავაც აქტიურად შრომობს და იღვწის თავისი სათაყვანებელი მამულის საკეთილდღეოდ.

იუზა ევგენიძე,
ლადო მინაშვილი.

# ელდარ კერძევაძე

გარდაიცვალა ცნობილი ქართველი პოეტი ელდარ კერძევაძე.

ჩვენს სამწერლო ოჯახს კიდევ ერთი ჭეშმარიტი შემოქმედი გამოაკლდა, რომლის სიცოცხლეც სამშობლოს, მშობელი ერის უანგარო სამსახურის მაგალითს წარმოადგენდა.

ელდარ ხარლამპის ძე კერძევაძე დაიბადა 1942 წლის 7 იანვარს თიანეთის რაიონის სოფელ საყარაულოში. 1959 წელს დაამთავრა თბილისის რკინიგზის მეხამე საშუალო სკოლა. 1959-1961 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე. 1961 წელს იგი ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტად, რომელიც 1969 წელს დაამთავრა. უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ ელდარ კერძევაძე წლების მანძილზე მუშაობდა საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტში რადიოს ლიტერატურულ გადაცემათა რედაქციის რედაქტორად და პასუხისმგებელ მდივნად.

ელდარ კერძევაძის ლიტერატურული დებიუტი 1960 წელს შედგა, როდესაც გამოქვეყნდა მისი პირველი ლექსები. მას შემდეგ ელდარ კერძევაძის ნაწარმოებები სისტემატურად ქვეყნდებოდა ჩვენს სალიტერატურო პერიოდიკაში, გამოდიოდა ცალკე წიგნებად. იგი ათზე მეტი პოეტური კრებულის ავტორი იყო.

ქართველი მკითხველი იმთავითვე ინტერესით შეხვდა ელდარ კერძევაძის გამოჩენას სამწერლო სარბიელზე. პოეტური გულწრფელობითა და უშუალობით გამოირჩეოდა მისი შემოქმედება. ამიტომაც იყო, რომ ელდარ კერძევაძის პოეტური კრებულები, ისეთები, როგორიცაა „მწვანე ქუჩა“, „სინათლის ფრთები“, „ქარის ჩრდილები“, „ისევ თქვენთან ვარ“, „მახსოვს“, „თუკი ერთმანეთს გავუფრთხილდებით“, „მოვეფეროთ ერთმანეთს“, „სიყვარულია ეხლა მთავარი“ აღიარებითა და მოწონებით სარგებლობს ფართო საზოგადოებაში. ჭეშმარიტი პოეტი გახლდათ. მშობელი ქვეყნის ბედი თუ უბედობა იყო მისი პოეტური შთაგონების წყარო, მარად ეძებდა სიკეთისა და სიმართლის ფესვებს, ილტვოდა სინათლისაკენ, მეგობრობისაკენ, სიყვარულისაკენ, უხაროდა დღევანდელი საქართველოს დაუოკებელი ლტოლვა თავისუფლებისაკენ და თავადაც პოეტური მუზა ერის სამსახურში ჰყავდა ჩაყენებული. მოქალაქეობრივი პათოსი მის შემოქმედებაში მჭიდროდ იყო გადაჯაჭვული ნათელ ლირიზმთან.



ბევრს თარგმნიდა, მისი თარგმანებით ეცნობოდა ქართველი მკითხველი ვაჰან ტერიანის, ვლადიმერ მაიაკოვსკის, ალექსანდრ ბლოკის, ფეოდორ ტიუტჩევის, მიხეილ ლერმონტოვის პოეზიის ცალკეულ ნიმუშებს.

სიყვარულისთვის, მეგობრობისთვის იყო გაჩენილი. მუდამ მზად იყო, ყველაფერი გაეღო და დახმარებოდა მოყვასს, თვისტომს. ნამდვილი პოეტის ცხოვრებით იცხოვრა და, ალბათ, ამიტომაც უმტყუნა გულმა ასე ნაადრევად.

ქართველ მწერლებს დიდხანს ემახსოვრებათ ელდარ კერძევაძე, შესანიშნავი პოეტი და მოქალაქე, ღირსეული შვილი თავისი ერისა.

**საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა**

---

## „ახლა ისე მარტო ვარ...“

ღამე სძულდა?

არა, მთელი თავისი პოეტური სიცოცხლე ღამესთან გაატარა, როცა ყველას ეძინა, იგი ღამესთან ერთად თბილისის ქუჩებში დარიალებდა. მეგობარსა და ნაცნობს სახლში „მიუხტებოდა“. „რა გაძინებთ? ძილსა და ბანგად ქცევას მოეხსრებით, იფხიზლეთ, ძმებო“!.. ბახუსს შესთავაზებდი, გეგონათ დალევდა? არა, უკვე ნაკმარი ჰქონდა. ღვინო და არაყი კი არ აოკებდა, მახპინძლის გაფხიზლებით საზრდოობდა. თუ გვიან იყო, დარჩენას და მოხვეწნებას სთხოვდი, გაბრაზდებოდა, სახეს მომუჭავდა, გაიოცებდა: „ვაი შენს პატრონს“. და ღამის მდუმარებაში გადაიხვეწებოდა, დაგიტოვებდა საფიქრალ კითხვებს: „რას წერ? ყველაფერი დაწერილია და ნათქვამია, მაგრამ, არა, თქვით სათქმელი, იქნება ისეთი რამ ააგოგმანოთ, რაც რუსთაველსა და დანტეს არ დაუწერია?“ — მერე სიტყვას შებოჭავდა, თვალს მოჭუტავდა და შეკითხვას გაგიახლებდა— „მაგრამ, იტყვით რო?“ თუ იქით შეეკითხებოდი, შენ თუ გვეტყვი ახალსო, მაშინ კი ჩაიქირქილებდა: „მეც მათი ნათქვამი უნდა გავიმეორო, ნუ ითაკილებთ, ეს ღვთის სიტყვაა, თუ ღამეს დაუსაფრდებით და იდუმალ ნაუბარს გაიგონებთ და მერე აზრად დაქსოვთ, არ თქვათ, რომ ჩემია, ეს ღვთისაა, სიყვარულისაა! წერეთ, წერეთ! რა გაძინებთ ამ მშვენიერ ღამეში?“

ეჰ, ძმაო ელდარ, აწი საქართველოს ღამე უშენოდ გადლევდება.

ძმასა და მეგობარს ელტვოდი და მარტოობაში გარბოდი, ხან შენ დასდევდი თბილისის ღამეს, ხან — ის.

სიცოცხლეს ექილიკებოდი და სიკვდილს ებრძოდი... ასე, ამ ორ ნაპირს შუა გახიდული, მარადუამგაფხიზლებული იდექი და საქართველოს თავისუფლებას გახცქეროდი, ქართველი კაცისა გჯეროდა.

ხუმრობდი, ბრაზობდი, სიმართლეს პირში ახლიდი.

გულზე ლექსის ლვედი გერტყა, რის ინფარქტი, რა ინფარქტი, ლექსის მადლით ცხოვრობდი, ეგ იყო შენი დიდებაცა და ორდენიც!

მთელი შენი ცხოვრება პოეტურ სივრცეში დააბიჯებდი და შინაურებმა ვერ გაგიგეს.

მუდამ აჯანყებულმა ღამე მიატოვე და ბოჰემაში გარდაიცვალე.

**ავთანდილ ადეიშვილი**

---

## ჩემო ელდარ!

ჩემო ელდარ, თავზარდაცემული ვერ ვალაგებ სათქმელს, თუმცა სათქმელისა და მოსაგონარის მეტი რა მაქვს... წახვედი ჩვენგან უშურველი გულის ადამიანი, უდარდელი კაცის იერით რომ ცხოვრობდი. გიმტყუნა იმ მოუსვენარმა გულმა, მუდამჟამს მეგობრებისკენ რომ მიილტვოდა, შენც აყოლილი იყავი მის ფეთქვას... საკუთარ თავზე საზრუნავად დრო აღარც გრჩებოდა...

შინაგანად სუფთა, ყველას მიმართ პირუთვნელი და მოსიყვარულე, ყველაზე ჯანმრთელი გვეგონე ჩვენს შორის, ისე იხარჯებოდი გრძნობით. საერთოდ თუ გეძინა, ვერც წარმომედგინა.

სამი დღის წინ მამამ გაგითბო სამარე...

არ მშორდება შენი ერთი ლექსი, რომელიც ასე იწყება:

როგორ გატყუებთ ჩემი იერი,<br>
უზრუნველობის მსუბუქი<br>
ლანდი...<br>
გგონივართ ლაღი და ბედნიერი,<br>
სულ მხიარული...<br>
სულ დარდიმანდი...<br>
თქვენ არ გინახავთ ჩემს თვალზე<br>
ცრემლი...

ვით ვანუგეშოთ შენი ოჯახი, ვით ვინუგეშოთ თავი, გარდა იმისა, რომ უფრო გვიყვარდეს ერთმანეთი.

**ნოდარ ბართაია**

---

## ელდარ კერძევაძე

●

ვხედავ ხსოვნის საფლავიდან<br>
ამოპარულ ლანდებს,<br>
ისე ცხადად, ლამის ყველა<br>
გაადამიანდეს...<br>
ლამის მეთქი, რაღა ლამის,<br>
— ცოცხალია ყველა,<br>
საუბრობენ, თუთუნს წევენ,<br>
მიმოდიან ნელა,<br>
ოღონდ, თითქოს სინათლეა,<br>
მაგრამ მაინც ბნელა...<br>
რამდენია თურმე ვისაც<br>
ჰფარავს<br>
ცივი ლოდი,<br>
კი ვიცოდი, მაგრამ ამდენს<br>
მაინც არ ველოდი...<br>
ეჰ, რამდენი ჩამოვთვალო,<br>
გრძელი არის მწკრივი, —<br>
აგე, შოთა, „ოჰკომალი“,<br>
ვაჟა, შუქრი, გივი,<br>
სხედან, ჭადრაკს ამღერებენ<br>
ოტია და ვოვა,<br>
უცებ სევდამ ყველაფერი<br>
მოასალამოვა, —<br>
გარდაცვლილთა ცოცხლად<br>
ნახვა,<br>
— მუდამ სევდას ბადებს,<br>
აწი სანთელს ავანთებ და<br>
გამოვაცხობ ქადას,<br>
დროა უკვე შევაშველო<br>
ჩემი სულიც ჰადესს,<br>
მაგრამ მტრის ჯავრს სამარეში<br>
ვერა, ვერ წავიღებ,<br>
ამიტომაც შეგთხოვ, ღმერთო:<br>
—ცოტაც დამაცადე!

### მარტის თოვლი

მარტმა მაინც გააკეთა თავისი,—<br>
თოვლი მოდის ფაფუკი და<br>
ფხვიერი...<br>
რა იქნება ნეტა ამ დღეს<br>
გაისად?<br>
სად ვიქნები მე —<br>
ერთი წლით ხნიერი...<br>
მარტი არის,<br>
მაგრამ რა მემარტება,<br>
სისხლს მწოვს ისევ —<br>
მარტოობის ობობა,<br>
ვბერდები და სიბრძნე არ<br>
მემატება,<br>
სიჭაბუკეც აღარ მემშვიდობება.

### ხუმრობისნაირი

ჩამომიზამთრა დალაქმა სახე —<br>
თოვლივით თეთრი<br>
ქაფქაფა ქაფით,<br>
დაუსვა დანა —<br>
ზამთარი გაჰქრა, —<br>
გამოჩნდა ჩემი<br>
სამიწე სახე.

### შეწყვეტილი სიყვარული

ჯერ არ ჩამწვარა ჩვენი<br>
წარსული,<br>
დღემდე ანთია ორი სანთელი,<br>
ცხოვრება ასე თუ<br>
დავასრულეთ, —<br>
მწამს იქ სამოთხეს<br>
შევემატებით.<br>
გაფანტა ქარმა ჩვენი ფიქრები,<br>
სიყვარულისთვის ვერ ვპოვეთ<br>
ჩერო.<br>
მაგრამ, იქ მარად ერთად<br>
ვიქნებით<br>
და სიყვარულიც იქ<br>
გავაგრძელოთ.

---

## ნახვამდის, ძმაო!

ცრემლები აღარ მაწერინებენ ამ სტრიქონებს...

საშინელ სიზმარში მგონია თავი — გავახელ თვალებს და კვლავ დაგინახავ ღიმილიანს, თბილს, მოსიყვარულეს, — მომეთბილები და მეტყვი შენებურად- ნუ გეშინია, ავთო!..

აღარ ვიცი, როგორ დაგემშვიდობო, რა გითხრა — ახლა ვხვდები, როგორ ძვირფასი ყოფილხარ, ჩემო ძმაო!

დილით ადრე მოხვედი ჩემთან — დავიღუპეო, — მითხარი, — წუხელ, ღამით მამის გარდაცვალების ამბავი შემატყობინესო. აკი იწინასწარმეტყველე ერთ ლექსში ასეც! რა ვიცოდი მაშინ, თუ რამდენიმე დღის შემდეგ ასეთ საშინელ გუნებაზე დაგვაყენებდი ყველას — შენს ოჯახს, ახლობლებს, მეგობრებს...

ლამაზი სიტყვა გამოიგონე — „ლვილვა“ — ანუ „კაცი, რომელიც უნილბოდ ცხოვრობდა“... მართლაც, მთელი სიცოცხლე უნილბოდ დადიოდი, თავაწეული, ამაყი, მართალი... უნილბოდ ცხოვრობდა შენი პოეზიაც — ჭეშმარიტი და ნაღდი პოეზია.

ბოლო დროს გულმა დაგალატა — თითქოსდა არ იმჩნევდი, არ ეპუებოდი, სიცილ-სიცილით ეთამაშებოდი სიკვდილს. ხომ შენი სიტყვებია:

ასეთ ხასიათზე თუ დაგიხვდი,<br>
წარბსაც ვერ შემიხრი,<br>
სიკვდილო...

— მაინც მოგერია, მაინც დაგჯაბნა!..

მრავალი ღამე მოგიპარავს იმ ქალაქისათვის, ახლა რომ საოცრად დააკლდები!

არავის ჰგავდი და არავინ გგავდა!

ბევრს უყვარდი და ბევრი გიყვარდა, თუმცა ცოტამ იცოდა რა ტკივილს დაატარებდი...

— „ისევ თქვენთან ვარ“, — ასე ჰქვია შენს ერთ წიგნს. მართლაც ჩვენთან ხარ და მჯერა, რომ, ოდესმე, ჩვენი სულებიც შეხვდებიან ერთმანეთს...

**ავთანდილ ჩხაიძე**

# მადლიანი საქმე

საქართველოს რადიომაუწყებლობამ შესანიშნავი ტრადიცია დაამკვიდრა: უკვე რამდენიმე წელია, სისტემატურად, სამშაბათობით, ვისმენთ მუსიკალურ გადაცემებს რუბრიკით — „მსოფლიო საოპერო სცენის ვარსკვლავები“. გადაცემებს უძღვება თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი, ვოკალის დარგის ჩინებული მცოდნე და წარმომადგენელი, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი, საქართველოს სახალხო არტისტი ნოდარ ანდღულაძე. როგორც მოსალოდნელი იყო, ნოდარ ანდღულაძის მუსიკალური საუბრები მაღალპროფესიულია და ამდენად, მეტად ფასეული. რამდენ შედევრს გავეცანით და რამდენი შესანიშნავი მომღერალი „აღმოვაჩინეთ“ ამ გადაცემათა წყალობით. მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.

სრულიად განსაკუთრებული ადგილი დაიკავა ამ გადაცემებში მუსიკალურ საუბართა მთელმა ციკლმა, რომელიც მიეძღვნა ყველა დროის უდიდესი მომღერლის ბენიამინო ჯილის შემოქმედებას. ბენიამინო ჯილიმ ხომ უზარმაზარი შემოქმედება დატოვა. ჩემი თაობის ადამიანებისათვის, განსაკუთრებით სასიხარულო და აღსაზრდელი იყო ჯილიზე საუბრების მოსმენა: ჩვენ წილად გვხვდა ბედნიერება, გვენახა ჯილი „ცოცხლად“ ეკრანზე, ომისშემდგომ წლებში გერმანულ ნადავლ ფილმებში — „ნუ მიმატოვებ“ და „შენა ხარ ჩემი ბედნიერება“. (ჯილის მონაწილეობით ფილმების უმრავლესობა გადაღებულია გერმანიაში 30-იან წლებში, სადაც იგი დიდი პოპულარობით სარგებლობდა). პატარა, ჩასუქებული, ტენორებისათვის ხშირად ესოდენ დამახასიათებელი გარეგნობით, დინჯი, დარბაისელი. აი, ზერელე, არასრული პორტრეტი მომღერლისა. ამ სენტიმენტალურ ფილმებში თითქმის სრულად იყო გამოვლენილი ჯილი — ბელკანტოს უდიდესი ხელოვანი, თავისი უსასრულო, ულევი კანტილენით, რომელიც ხან უფაქიზესი ლირიზმით ქღერს, და ხან — უმძაფრესი ტრაგიზმით. როგორც ბატონმა ნოდარმა აღნიშნა თავის საუბრებში, ბენიამინო ჯილიმ ბელკანტოს ყველა მშვენიერება შემოგვინახა. ამის საილუსტრაციოდ მან თავი მოუყარა და მსმენელებს გააცნო უბადლო, უნიკალური ჩანაწერები ჯილის შესრულებით, თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დოცენტის გოჩა ბეჟუაშვილის პირადი ფონოთეკიდან: დეგრიეს სიზმარი მასნეს ოპერიდან „მანონი“, ედგარის სიკვდილის სცენა დონიცეტის ოპერიდან „ლუჩია დი ლამერმური“, 1951 წელს ბუენოს-აირესში ჩატარებული კონცერტის ჩანაწერი: არიები და დუეტები ვერდის ოპერიდან „ბედის ძალა“ და სხვა. თითოეული სიმღერის შესრულებას შესაფერისი კომენტარი ახლავს, რაც საგულისხმო ცნობებს მოიცავს და მსმენელი მას დიდი ინტერესით აღიქვამს. ვთქვათ, ამგვარი: ჯილის ძლიერ აღარდებდა ბელკანტოს ბედი, მისი მომავალი. იგი გადაგვარების გზაზეაო, წუხდა თურმე მომღერალი, ჩვენ არ უნდა დავუშვათ, რომ ბელკანტო გადაგვარდესო. ანდა, ჯილი თავისებურად ფლობდა თურმე ხმას: ახალგაზრდობაში მას უმღერია მაღალი ხმით — მამაკაცის სოპრანოთი. საინტერესოა, იტალიელი კრიტიკოსების შენიშვნები „ჯილისეული ჰედონიზმის“ თაობაზე და სხვა. ეს მუსიკალური საუბრები ერთგვარად გზამკვლევიცაა ვოკალური ხელოვნების მოყვარულთათვის, სიმღერისა და მისი შემსრულებლის ერთ მთლიანობაში, სრულად აღსაქმელად.

ნოდარ ანდღულაძის მუსიკალური საუბრებისათვის ბუნებრივია თხრობის სისადავე, დახვეწილი სტილი; სრულებით არ არის გადატვირთული მრავალსიტყვაობით, რაც უთუოდ მისაბაძია. ხოლო ის ქართული, რომლითაც იგი საუბრობს, სწორედ რომ საუბრის დიდებული თემის საკადრისია. მუსიკალური საუბრებიდან აშკარა და ნათელია, რომ გადაცემის ავტორი მთელი სულით და გულით არის ჩართული ამ საქმეში. დაბოლოს, ის რად ღირს, რომ „მსოფლიო საოპერო სცენის ვარსკვლავების“ მოსმენის შემდეგ, ადამიანი ერთგვარად ამაღლებული ხდება. დიდი მადლობა ეთქმის ბატონ ნოდარს ამისათვის.

**ნანა ჟანჩაველი**

# ეროვნულ-დემოკრატიული და დემოკრატიული პარტიების გაერთიანებული კონფერენცია

## 1991 წლის 8 თებერვალი, დავით აღმაშენებლის ხსენების დღე

ამა წლის 8 თებერვალს ქალაქ თბილისში გაიმართა ეროვნულ-დემოკრატიული და დემოკრატიული პარტიების გაერთიანებული კონფერენცია, რომელსაც ამ პარტიების გაერთიანების საკითხი უნდა გადაეწყვიტა.

სხდომას თავმჯდომარეობდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პოლიტიკური მდივანი მამუკა გიორგაძე.

კონფერენციას მიესალმა ესტონეთის ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის თავმჯდომარე ქალბატონი ლაგლე პარეკი, რომელმაც ისაუბრა ამ ორი პარტიის გაერთიანების დიდ მნიშვნელობაზე.

ორივე პარტიის ლიდერებმა საკუთარი პარტიების პოზიციები გააცნეს კონფერენციას. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მხრიდან ეს გააკეთა პარტიის თავმჯდომარემ გიორგი ჭანტურიამ, დემოკრატიული პარტიის მხრიდან — პარტიის მთავარი კომიტეტის წევრმა თენგიზ შარმანაშვილმა. შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ორივე პარტიის წარმომადგენლებმა. კონფერენცია დატოვა დემოკრატიული პარტიის წევრმა ქალბატონმა მაყვალა ჩახვაშვილმა, რომელიც ამ გაერთიანების წინააღმდეგ გამოვიდა (მას არავინ არ გაჰყოლია).

ერთსულოვნად გადაწყდა პარტიების გაერთიანება ერთ პარტიად. გაერთიანებული პარტია ატარებს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სახელს, ოღონდ მეოთხე ყრილობამდე სახელს დაემატება სიტყვა „გაერთიანებული“. პარტიის დროშად მიღებულ იქნა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ტრადიციული სამფეროვანი დროშა (შავი და თეთრი ზოლები ბოლომდე), ხოლო პარტიის გერბია წმინდა გრაალი.

გაიმართა კამათი თეოდემოკრატიის თაობაზე: კონფერენციამ გადაწყვიტა ამ პრინციპული მუხლის პროგრამაში დატოვება დატოვებულ. იქნა პარტიის თავმჯდომარის სტატუსი, რომელსაც ირჩევენ პარტიის ყრილობაზე ყოველწლიურად. მსჯელობა იყო პარტიის წევრთა სტატუსზე, გაერთიანებული პარტიის პრესაზე და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე. გაერთიანებული ეროვნულ-დემოკრატიული პარტია არის მემკვიდრე არამარტო ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის, არამედ დემოკრატიული პარტიის ტრადიციებისაც, რაც აისახება პარტიის პროგრამის პრეამბულაში.

გადაწყდა ორი კომისიის შექმნა: პირველი იმუშავებს გაერთიანებული პარტიის პროგრამასა და წესდებაზე, მეორე კომისია კი ორივე პარტიის ადგილობრივ კომიტეტებს გააერთიანებს, იმუშავებს პარტიულ სტრუქტურებზე.

კონფერენციაზე მიღებულ იქნა პროკლამაციის ტექსტი 17 და 31 მარტს დანიშნული რეფერენდუმის თაობაზე, იყო მსჯელობა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მიერ ორგანიზებული მიმდინარე აქციის შესახებ. დადგინდა — იმის გამო, რომ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის დამფუძნებელი კრება (იატაკქვეშეთში) გაიმართა 8 თებერვალს (1983 წელს), ორი პარტიის გაერთიანება განხორციელდა ასევე 8 თებერვალს (1991 წელს) — წმინდა დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს, 8 თებერვალი გამოცხადდეს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ღირსშესანიშნავ, სადღესასწაუ ლო დღედ.

გაერთიანებული ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მეოთხე ყრილობა, კონფერენციის გადაწყვეტილებით, გაიმართება 1991 წლის მაისის მეორე ნახევარში. პარტიის ყრილობაზე მიღებულ იქნება ახალი პროგრამა-წესდება, ჩატარდება მთავარი კომიტეტის არჩევნები. მეოთხე ყრილობამდე გაერთიანებული პარტიის მთავარ კომიტეტს წარმოადგენენ შემდეგი პირები: გიორგი ჭანტურია, მამუკა გიორგაძე, თენგიზ შარმანაშვილი, ვახტანგ ტალახაძე, გურამ ჩახვაძე, ირინა სარიშვილი, ვასილ ჰყოიძე, ვანო ხუხუნაიშვილი, დავით კვარაცხელია, ნიკო გონაშვილი, გია ზუმბაძე და პარტიის საზღვარგარეთის ბიუროს მდივანი თენგიზ გუდავა.

**(გაერთიანებული) ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პრესცენტრი.**

# დღესასწაულების სასახლეში

ასე ჰქვია ამ სახახლეს, თუმცა ხშირად რიტუალების სასახლეს უფრო ამბობენ ხოლმე. ახლახან აქ გაიხსნა თემურ ტაილურიშვილის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა. თემურ ტაილურიშვილმა 1977 წელს დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემია არქიტექტურის განხრით; არის როგორც პრაქტიკოსი, ასევე თეორიული მიმართულების არქიტექტორი. არქიტექტურასთან ერთად მუშაობს მხატვრობაში.

ფერწერაში მისი ამოცანაა ანტიკური ხელოვნების საფუძვლიანი შესწავლა და მისი ხიდთეზი თანამედროვე აბსტრაქტულ ხელოვნებასთან. გამოფენაზე საინტერესო ფერწერული ტილოებია წარმოდგენილი.



# „ამირანი“, 1990

სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოებამ და საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირმა გამოსცეს ოპოზიციური ლიტერატურულ-მხატვრული, საზოგადოებრივ-პოლიტიკური კრებული „ამირანი, 1990“, რომლის შემდგენელ-რედაქტორი ნოდარ წულეისკირი მკითხველისადმი მიმართვაში წერს:

„პირველი ქართული უკუაღმდგართა და უკუმთქმელთა ალმანახი სამოცდაათიან წლებში არალეგალურად გამოსცა ზვიად გამსახურდიამ — „ოქროს საწმისი“, რომელმაც წარუშლელი კვალი დატოვა ჩვენს სულიერ ცხოვრებაში.

ამჟამად საქართველოში აურაცხელი ოპოზიციური გაზეთი და ჟურნალი გამოდის. ხელისუფლების მიერ აღიარებული და დაშვებული ჟურნალები და გაზეთებიც კი უკუმთქმელნი და უკუაღმდგარნი არიან ხელისუფლების წინააღმდეგ. მიუხედავად ამისა, მკვეთრად გამოხატული ლიტერატურულ-მხატვრული ოპოზიციური ჟურნალი ხელისუფლების მიერ აღიარებული ოპოზიციურად და, ამავე დროს ნებადართული, არ გაგვაჩნია.

„ამირანის“ გამოცემა ამის პირველი ცდაა“.


მთავარი რედაქტორი ელიზბარ ჯაველიძე.

სარედაქციო კოლეგია: თამაზ ბიბილური (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ზვიად გამსახურდია, ლაშა თაბუკაშვილი, ჯუმბერ თითმერია, ანა კალანდაძე, ნოდარ ნათაძე, გურამ ფანჯიკიძე, ოთარ ჩხეიძე, თამაზ ჩხენკელი, სარგის ცაიშვილი, ბივი ძნელაძე, თამაზ წივწივაძე, თამაზ შილაძე.

პასუხისმგებელი მდივანი ბივი ჯოხაძე

მორიგე რედაქტორი უჩა შერაზადიშვილი



რედაქციის მისამართი: 380005, თბილისი, ბუდიაშვილის მოედანი №2

ტელეფონები:

მთ. რედაქტორის მისაღები — 99-84-04.
მთ. რედაქტორის მოადგილის — 99-91-89
პასუხისმგებელი მდივნის — 99-67-10
განყოფილებების — 99-72-89; 99-71-63; 99-08-65. 95-36-68.
რედაქციაში შემოსული მასალა არ უნდა აღემატებოდეს მანქანაზე ნაბეჭდ 14 გვერდს.
მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ლიტერატურული საქართველო

„LITERATURULI SAKARTVELO“
THE NEWSPAPER OF WRITERS OF THE REPUBLIC OF GEORGIA

გამოდის პარასკეობით

ИНДЕКС 66436 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17. საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბა, თბილისი, მ. კოსტავას ქ. 14.